პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№133(12812) 9 ივნისი სამშაბათი 2009 ფასი 60 თეთრი

## გრანდიოზული პროექტი

ბრაზილიური კლუბი საქართველოს ჩემპიონატში

» გვერდი 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყენია, მჭედლიძე და კიდევ მინუს ოთხი



» გვერდი 2



## ატლანტა ჩემი სახლია

» გვერდი 13

ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან

## კაკა რეალისთვის მზად არის

სუპერვარსკვლავმა გუშინ სამედიცინო შემოწმება გაიარა

» გვერდი 10





## შოთა კუმანთან იმუშავებს

ახალი კონტრაქტი ალკმაართან

» გვერდი 3

## ქართული რაგბის გამლუქები

» გვერდი 14

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბანეთი–საქართველო
ამხანაგური მატჩები

ეროვნული ნაკრები

# ყენია, მჭედლიძე და კიდევ მინუს ოთხი



ტირანაში გამგზავრების წინ, ეროვნულ გუნდს თბილისში გუშინ მზადების ბოლო დღე ჰქონდა. ნაკრების თავკაცმა **ექტორ კუპერმა** გუნდი ორჯერ ავარჯიშა. დილის 10 საათზე ჩატარებული წვრთნა ფიზიკურ დატვირთვებზე იყო ორიენტირებული, საღამოს ვარჯიში კი უკვე ტაქტიკურ-სტრატეგიული ხასიათისა გახლდათ.

თავიდანვე გამცნობთ, რომ მოლდოვასთან მატჩმა ნაგებასთან და განბილებასთან ერთად ტრავმირებულებიც დაგვიტოვა. სამწუხაროდ, ეროვნული დანაკლისის ზრდას ვერ ასცდა. „დნეპრის" ფორვარდმა **ბექა გოცირიძემ** მოლდოვასთან მატჩში მხოლოდ 26 წუთი ითამაშა. ტრავმის გამო ის **გიორგი სეთურიძემ** შეცვალა. შეხვედრის შემდეგ ბექამ გვითხრა, რომ ტრავმა უმნიშვნელო არაა და ალბანეთში მისი თამაში საეჭვო იყო. გოცირიძის მდგომარეობა გაუარესდა და ის შეკრებიდან გაათავისუფლეს. სხვადასხვა დონის ტრავმის გამო გუნდს ასევე გამოაკლდნენ „შალკეს" ნახევარმცველი **ლევან ყენია** და „რუბინის" წევრი **დავით კვირკველია**. სამწუხაროდ, დანაკლისი მხოლოდ ამით არ ამოიწურება. „ორჰუსის ნახევარმცველი **დავით დევდარიანი** და თბილისის „დინამოს" კაპიტანი **ლევან ხმალაძე** გუშინ საღამოს წვრთნაზე ნაკრებს თან ახლდნენ, მაგრამ ოდენ გაწელვითი ვარჯიშებით იყვნენ დაკავებულები.

*„კოჭი ისევ მაწუხებს. დასანანია, მაგრამ მოლდოვასთან მატჩის დარად ალბანეთშიც ვერ ვითამაშებ. ასე რომ, თბილისში ვრჩები, გუნდს ტირანაში ვერ მივყვები", - გვითხრა ლევან ხმალაძემ.*

*„ბოლო მომენტამდე მჯეროდა, რომ კარგად ვიქნებოდი და ალბანეთში მაინც შევძლებდი თამაშს, მაგრამ რა გაეწყობა, ნატკენი ფეხი არ მიშვებს. საღამოს ვარჯიშის დაწყებამდე ნაკრების ექიმმა გამსინჯა და ყოველგვარი იმედი გადამეწურა. არა და კუპერმა გამომიძახა, ჩემი საქმეში ნახვა უნდოდა. მეც მინდოდა მწვრთნელის მოლოდინი გამემართლებინა, მასზე კარგი შთაბეჭდილება დამეტოვებინა, მაგრამ ეს ტრავმის გამო შეუძლებელია. იმედი მაქვს, კიდევ მომეცემა თავის წარმოჩენის შანსი", -დანანებით აღნიშნა დევდარიანმა.*

ასე რომ, ჯერ კიდევ მოლდოვამდე შეკრებიდან გათავისუფლებულ **ლევან მჭედლიძეს გოცირიძე-ყენია-კვირკველია-ხმალაძე-დევდარიანის** კვინტეტი დაემატა. იმედია, ამ გამოკლებულ 6 ფეხბურთელს აღარავინ დაემატება. მართალია, „ვიტ ჯორჯიას" მცველ **ლექსო კვახაძეს** გუშინ კუნთი ჰქონდა დაჭიმული და ექიმების რჩევით კუპერმა დაასვენა, თუმცა კვახაძის გუშინდელი მდგომარეობა საგანგაშო ნამდვილად არ იყო. ექიმები იმედს გამოთქვამენ, რომ ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას" კაპიტანს ტირანაში თამაში შეეძლება.

ამდენი მოთამაშის გამოკლების შემდეგ ექტორ კუპერმა გუნდს ერთი ფეხბურთელი დაამატა - „ვიტ ჯორჯიის" ნახევარმცველი **ირაკლი კლიმიაშვილი.** კლიმიაშვილი კუპერის „სამშაბათობებზე" ხშირად იყო მიწვეული. მას ეროვნულში უკვე აქვს ნათამაშები, თუმცა კუპერის ნაკრებში მაინც ახალი ფეხბურთელია.

რაც შეეხება ვარჯიშს, წვრთნა რომელიც საათ-ნახევარს გაგრძელდა, 19 ფეხბურთელი მონაწილეობდა. უკვე მოგახსენეთ, რომ კიდევ სამი მოთამაშე, ხმალაძე, დევდარიანი და კვახაძე მხოლოდ გაწელვით ვარიჯებით შემოიფარგლნენ. მოთელვის შემდეგ კუპერმა გოლკიპერთა ტრიო მეკარეების მწვრთნელ **მამუკა აბუსერიძეს** ჩააბარა. ნაკრების თავკაცმა და მისმა ასისტენტმა **ხოსე ფანტაგუციმ** შემადგენლობა ორად გაყვეს. მათ ფეხბურთელები განივ და დიაგონალურ გრძელ გადაცემებზე ავარჯიშა, რასაც მოძრაობებში მოკლე პასებზე აქცენტირება მოჰყვა. არგენტინელმა თავკაცმა შეგირდებს გუშინ ორკარა არ ათამაშა და სხვა კომპონენტებზე გაამახვილა ყურადღება. მან ჯერ ერთი, მერე მეორე ფლანგის გამოყენებით, მრავალსვლიანი კომბინაციები გააკეთებინა, რომელიც კარში დარტყმებით მთავრდებოდა. კუპერს კარში დარტყმებისას ფეხბურთელთა სიზუსტე არ მოეწონა და წვრთნის ბოლოს სწორედ ამ კომპონენტზე ავარჯიშა გუნდი.

კუპერმა ფეხბურთელები ერთად შეკრიბა, მეკარეებს მონაცვლეობით კარის დაცვა დაავალა. მერე კი ყველა ფეხბურთელს კარში ზუსტი დარტყმა და გოლი მოსთხოვა.

ვარჯიშიც ამით დასრულდა. აშკარად ჩანდა, რომ „ლელოს" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულმა **ზურაბ ხიზანიშვილის** ინტერვიუმ ნაკრების ფეხბურთელებზე რაღაცნაირად იმოქმედა. თავად ზურამ „ლელოს" განუმარტა:

*„ალალად გეუბნებით, ნამდვილად არ მითქვამს, თითქოს „საქართველოს ჩემპიონატიდან არჩეული ფეხბურთელებით" საქართველოს ნაკრების საქმე წინ არ მიდის. უბრალოდ, აღვნიშნე, რომ საქართველოს ჩემპიონატის დონე დაბალია და ნაკრების საქმე წინ ამიტომაც არ მიდის-მეთქი (აუდიოჩანაწერის არაერთგზის მოსმენისა და შემოწმების შემდეგ დავრწმუნდით, რომ ხიზანიშვილი სწორედ ამას ამბობს. ჩანაწერი მატჩის შემდეგ, ხმაურის ფონზეა გაკეთებული და უზუსტობაც სწორედ ამან განაპირობა. უნებლიე უზუსტობისთვის ხიზანიშვილს ბოდიშს ვუხდი - ავტ), მხოლოდ ეს აღვნიშნე... ნამდვილად არ მინდა, ამ გაუგებრობის გამო, ჩემს სიტყვებს ვინმემ ის ინტერპრეტაცია მისცეს, რაც არა თუ არ მითქვამს, არამედ არც კი მიფიქრია. მინდა, ეს მკითხველმაც იცოდეს", - აღნიშნა ზურაბ ხიზანიშვილმა.*

შემდეგ ირაკლი კლიმიაშვილს გავესაუბრეთ: *„ძალიან გამეხარდა, როცა ექტორ კუპერმა ეროვნულ ნაკრებში მიხმო. ყოველთვის მზად ვარ ეროვნული გუნდში სათამაშოდ, ახლაც კარგ ფორმაში ვარ. გუნდთან ადაპტაციის მხრივ არანაირი პრობლემა არ მქონია. ძალიან მინდა რამდენიმე წუთით მაინც მომინიოს თამაშმა, თავს გადავდებ და ნაკრებს სარგებელს მოვუტან".*

კუპერმა ალბანეთში 20 ფეხბურთელი იახლა:

მეკარეები - **გიორგი ლომაია** (ლოკომოტივი), **გრიოლ ბედიაშვილი** (ვიტ ჯორჯია), **ზურაბ მამალაძე** (ზესტაფონი);

მცველები - **ზურაბ ხიზანიშვილი** (ბლექბერნი, ინგლისი), **გიორგი შაშიაშვილი** (ერგოტელისი, საბერძნეთი), **გიორგი ფოფხაძე** (ვიბორგი, დანია), **უჩა ლობჟანიძე** (ზესტაფონი), **გურამ კაშია** (დინამო თბილისი), **ლექსო კვახაძე** (ვიტ ჯორჯია), **დავით გიგაური** (გაგრა);

ნახევარმცველები - **ლევან კობიაშვილი** (შალკე, გერმანია), **ლუკა რაზმაძე, ირაკლი კლიმიაშვილი** (ორივე ვიტ ჯორჯია), **გიორგი მერებაშვილი** (დინამო თბილისი), **მურთაზ დაუშვილი** (ზესტაფონი), **გიორგი სეთურიძე** (ოლიმპი);

თავდამსხმელები - **ალექსანდრე იაშვილი** (კარლსრუე, გერმანია), **რატი ალექსიძე** (დიორი ეტო, უნგრეთი), **ოთარ მარცვალაძე** (ანჟი, რუსეთი), **ვლადიმერ დვალიშვილი** (სკონტო, ლატვია).

დღეს ეროვნული გუნდი იქაური დროით 19 საათზე ბოლო მატჩისწინა ვარჯიშს გამართავს.



საქართველოს ნაკრების გუშინდელი ვარჯიშები

ავტორის ფოტოები



ამირან სანაია

## ტრავმირებულ განუგრავას სანაიაც დაემატა

ტირანაში გამგზავრების წინ **კახა ცხადაძემ** გუშინ გუნდი ერთხელ ავარჯიშა. წვრთნა, რომელიც საგურამოში ჩატარდა, საათ-ნახევარს გაგრძელდა. დანაკლისს ვერც 21-წლამდელები ასცდნენ. მოლდოვის ახალგაზრდულ ნაკრებთან რუსთავულ მატჩში დაშავებულ **გიორგი განუგრავას**, ფრანგული „ლე მანის" მცველი **ამირან სანაიაც** დაემატა. როგორც ცხადაძის თანაშემწე **გელა ინალიშვილმა** გვითხრა, ტრავმის გამო სანაია ტირანაში ვერ ითამაშებს. ამას ემატება ისიც, რომ „ვიტ ჯორჯიას" ნახევარმცველი **ირაკლი კლიმიაშვილი ექტორ კუპერმა** ეროვნულ გუნდში გადაიყვანა. შესაბამისად, ცხადაძეს თავდაპირველი 25 ფეხბურთელიდან 22 დარჩა და აქედან, ალბანეთში წასაყვანად 18 მოთამაშე უნდა შეერჩია.

საგურამოს წვრთნაზე კი იყო ტრადიციული მოთელვა, გაწელვითი ვარჯიშები, „კვადრატი", გრძელი და მოკლე პასები, ბოლოს კი „ორკარა". მოგვიანებით, ინალიშვილმა იმ 18 ფეხბურთელის ვინაობა გვამცნო, რომლებიც ეროვნულ გუნდთან ერთად დღეს ტირანაში გაემგზავრნენ: **როინ კვასხვაძე, გიორგი ხიდეშელი** (ორივე ზესტაფონი), **რევაზ თევდორაძე** (გაგრა), **თორნიკე თარხნიშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, თემურ შონია** (ყველა სპარტაკი ცხინვალი), **ვაჟა ნემსაძე, გულვერდ თომაშვილი, ლევან კაკუბავა, ვალერი ბოლქვაძე** (ყველა დინამო თბილისი), **ლაშა თოთაძე** (დინამო კიევი, უკრაინა), **გიორგი ივანაშვილი** (ციურიხი, შვეიცარია), **დავით თარგამაძე** (ფრაიბურგი, გერმანია), **მიხეილ ბარაბაძე** (ჰიკი, დანია), **გიორგი კბილცეცხლაშვილი** (ოლიმპი თბილისი), **დავით ხურცილავა, გიორგი ადამაძე** (ორივე ვიტ ჯორჯია), **ვახტანგ ფანცხავა** (ლე მანი, საფრანგეთი).

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ტირანაში შუაევროპული დროით 16 საათზე ივარჯიშებს. 10 ივნისს კი ასევე 16 საათზე ერთმანეთს ალბანეთისა და საქართველოს 21-წლამდელები შეხვდებიან.

გვერდი მოამზადა
**დავით ცაბაძემ**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

მეტოქე — ალბანეთი


ალბანელთა ფორვარდი ერიონ ბოგდანი (№22)

## საქართველოს ნაკრების საყურადღებოდ:
# კუპეს ლობიო არ უყვარს

დღეს საქართველოს ნაკრები ჩავა ძალზე განსაკუთრებულ ქვეყანაში. ალბანეთი მართლაც ისეთი ადგილია, თუ იქ მივლინებით არ მოხვდი, ძნელად თუ გაგიწევს გული სამოგზაუროდ. ალბანეთში 3 წლის წინათ გახლდით, როცა საქართველოს ნაკრებს **კლაუს ტოპმიოლერი** თავკაცობდა და **ჰანს-პეტერ ბრიგელის** მიერ გაწვრთნილ მასპინძლებს 0:0 ეთამაშა. ტირანა მაშინ უსაშველოდ ნაცრისფერ ქალაქს ჰგავდა, თუმცა 3 წელიწადი ცოტა არის და, თურმე, ბევრიც - დღეს ალბანეთი უკვე ნატოს წევრია, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო და ევროპული საზომით ჩამორჩენილი ქვეყანა გაიწევრიანა.

ალბანეთის ყველაზე დიდი ეროვნული გმირი **სკანდერბეგი** გახლავთ, ვინც მე-15 საუკუნეში ოსმალეთის იმპერიას ეომებოდა. 1953 წელს „მოსფილმმა" მასზე ფილმიც კი გადაიღო - „ველიკი ვოინ ალბანიი სკანდერბეგ", რომელშიც მთავარ როლს **აკაკი ხორავა** ასრულებდა.

ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში მილიონამდე მაცხოვრებელია. სკანდერბეგის ძეგლი ქალაქის ცენტრს ამშვენებს. ალბანელი გახლდათ **დედა ტერეზაც**, რომელსაც ძეგლი ტირანის უნივერსიტეტთან დაუდგეს. ცნობილ ალბანელებს თუ ჩამოვთვლით, **ენვერ ხოჯაზეც** უნდა ვთქვათ. ის სიყრმეში ფრანგულის მასწავლებელი გახლდათ. ალბანეთი **ბენიტო მუსოლინის** ფაშისტურმა იტალიამ რომ დაიპყრო, ხოჯა კომუნისტურ პარტიაში შევიდა და ფაშისტებს პარტიზანულ შეტაკებებშიც კი ებრძოდა, ომის დროს მოსკოვშიც ჩავიდა **იოსებ სტალინთან** და მას მერე სტალინისტური კურსიდან არ გადაუხვევია.

ომის დასრულების შემდეგ ხოჯა ალბანეთის ლიდერი გახდა. სტალინის გზით მიჰყავდა ქვეყანა, საბჭოთა ბელადის გარდაცვალების შემდეგ კი ხოჯა თანდათან გაებუტა საბჭოთა კავშირს და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს, „რკინის ხელით" მართავდა ალბანეთს და სამშობლო სრულ საერთაშორისო იზოლაციაში მოაქცია. ხოჯას უყვარდა რეპრესიები და ძალაუფლება. ჯანმრთელობა რომ გაუუარესდა, ექიმებმა პენსიაზე გასვლა ურჩიეს, მაგრამ ნაინფარქტარმა და ინსულტგადატანილმა დიქტატორმა არ დაუჯერა მათ და სამთავრობო რეზიდენციაში დალია სული - ის ალბანეთს თითქმის 40 წელიწადი მართავდა და მეგობრებიდან ბოლოს **ფიდელ კასტრო, კიმ ირ სენი** და **ნიკოლაე ჩაუშესკუ** შემორჩა.

ალბანეთი არცთუ პატარა ტემპით ვითარდება, მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე იქ უხვად შედიოდა იტალიური კაპიტალი. ალბანეთში ტაქსისტებმა არ იციან ინგლისური, მაგრამ ყველა „ამტვრევს" იტალიურს. იტალია ალბანელებისთვის ყველაზე სასურველი მეზობელია, რომელთანაც სახმელეთო საზღვარი არ გააჩნია.

ალბანეთის ნაკრებს კი ხორვატი **იოჟეფ კუცე** თავკაცობს. ალბანელები არ ერიდებიან ნაკრებში უცხოელი მწვრთნელის მიწვევას, თუმცა, ჩვენგან განსხვავებით, მათ მილიონებს არ უხდიან. მაგალითად, ბრიგელს თვეში 17 ათასი ევრო ჰქონდა ჯამაგირად.

კუცე მოხეტიალე მწვრთნელია, ალბანეთამდე იაპონიასა და რუანდაშიც კი უმუშავია. თავის დროზე კუცე აზარტული თამაშების მოყვარული გახლდათ, რასაც ლამის გადაჰყვა კიდეც. მერე აზარტსა და გამარჯვებისკენ სწრაფვას სხვა კალაპოტი შეურჩია და ეს თვისებები მწვრთნელობაშიც ეხმარება. კუცეს მიმზიდველი, ავანტურისტული ფეხბურთი უყვარს. მისი ხელმძღვანელობით ალბანეთმა პირველი მატჩი რამდენიმე დღის წინათ, 6 ივნისს გამართა და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში შინ 1:2 წააგო პორტუგალიასთან. ალბანეთს 7 თამაშიდან 6 ქულა აქვს და ჯგუფში ბოლოსწინა, მეხუთე ადგილზეა.

ამ დროისთვის ალბანეთის ნაკრების პირველ მეკარედ ითვლება **ისლი ჰიდი**, რომელიც უკრაინულ „კრივბასში" თამაშობს. დაცვაში საუკეთესო ოთხეულად ესენი მიიჩნევიან - **ელვინ ბექირი** („ვლაზნია"), **კრისტი ვანგიელი** („არისი", საბერძნეთი), **დებატიკ კური** („ვორსკლა", უკრაინა) და **ენდრი ვრაპი** („ელბასანი). შუა ხაზში პირველი კაცი გამოცდილი, 32 წლის **ერვინ შკელა** უნდა იყოს, ვინც გერმანულ „კოტბუსში" თამაშობს. ბოლო დროს დაწინაურდა **ლორიკ კანა**, რომელიც „მარსელის" ფეხბურთელია. თავდასხმაში კი ალბანელებს საუკეთესო, რა თქმა უნდა, **ერიონ ბოგდანი** ჰყავთ - ეს გამოცდილი თავდამსხმელი იტალიურ „კიევოში" თამაშობს.

ალბანეთის ნაკრები ხვალ საქართველოსთან ლობიოს ჭამას ნამდვილად არ დააპირებს, ყველანაირად ეცდება, რომ ახალი მწვრთნელის ხელში პირველი გამარჯვება მოიპოვოს.

**დავით თავართქილაძე**

მწვრთნელი

# შოთა კუმანთან იმუშავებს
## ახალი კონტრაქტი ალკმაართან

...გამოჩნდა ამსტერდამის „აიაქსის" ვარიანტი, მაგრამ... **შოთა არველაძე** „ალკმაართან" კონტრაქტს გააგრძელებს - გუშინ კლუბი და ჩვენებური მწვრთნელი ყველაფერზე შეთანხმდნენ და მალე ახალ ხელშეკრულებასაც გააფორმებენ.

შეგახსენებთ, რომ შოთა შარშან დაინიშნა „ალკმაარის" მთავარ მწვრთნელ **ლუის ვან გაალის** ერთ-ერთ თანაშემწედ და წლეულს ამ გუნდთან ერთად ჰოლანდიის ჩემპიონიც გახდა. ვან გაალი „ალკმაარიდან" „ბაიერნში" მიიწვიეს, არველაძეს კი სამსახური მისმა ყოფილმა კლუბმა „აიაქსმა" შესთავაზა. ცხადია, „ამსტერდამ არენაზე" მუშაობა ბევრად უფრო მიმზიდველია, მაგრამ შოთას ხელმეორე აიაქსელობა ამ ეტაპზე არ გამოვიდა.

უწინდელი კონტრაქტით არველაძეს „ალკმაარში" 2010 წლის ზაფხულამდე უნდა ემუშავა, ახალი ხელშეკრულებით კი კლუბში 2011 წლის ზაფხულამდე დარჩება და გაუმჯობესებული პირობებიც ექნება. მოკლედ, შოთა „ალკმაარში" ახალი მთავარი მწვრთნელის, **რონალდ კუმანის** ასისტენტი იქნება.

**დავით თავართქილაძე**

ოფიციოზის კომენტარი

# ფედერაციაში კუპერზე აზრები იყოფა?
## უჩა უგულავა: მოლდოვასთან საშინელი თამაში იყო... მაგრამ მწვრთნელს ოთხი წელი უნდა ვაცალოთ

ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა, პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და ვიცე-პრეზიდენტები - გოგი ქავთარაძე და უჩა უგულავა, ფიფას კონგრესზე გახლდნენ და მოლდოვასთან საქართველოს ნაკრების მარცხი ცოცხლად არ უნახავთ. თბილისში დაბრუნებულთაგან უგულავა მოვიხელთეთ და რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

**- რა საკითხები განიხილებოდა ფიფას კონგრესზე?**

- ფიფას კონგრესზე სამი დღით ვიყავით. ალბათ უკვე იცით, რომ ფიფამ ეროვნულ ნაკრებში ფეხბურთელთა ნატურალიზაციაზე ახალი კანონი მიიღო. გარდა ამისა, განიხილებოდა ეგრეთ წოდებული „6+5" წესი, რაც იმას გულისხმობს, რომ ნებისმიერმა კლუბმა სასტარტო შემადგენლობაში მინიმუმ 6 ადგილობრივი ფეხბურთელი უნდა ათამაშის და მაქსიმუმ 5 ლეგიონერი. ამ წესის დანერგვა ვერ მოხერხდა. მოგეხსენებათ, ევროკავშირში ამ გაერთიანების წევრ ყველა ქვეყნის მოქალაქეს უფლება აქვს, ევროკავშირის ნებისმიერ სახელმწიფოში იმუშავოს ყოველგვარი სამუშაო ვიზის გარეშე, ანუ ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეები ამ გაერთიანების სახელმწიფოებში უცხოელებად არ ითვლებიან. ამის გამო „6+5" წესის მიღება ვერ მოხერხდა, თუმცა დღის წესრიგში ისევ დგას და მომავალ კონგრესზე ამ საკითხს ერთხელაც მიუბრუნდებიან.

**- როგორი რეაქცია მოჰყვა საქართველოს ნაკრების მორიგ წარუმატებლობას ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობაში?**

- ფაქტია, მოლდოვასთან საშინელი თამაში იყო. ალბანეთთან მატჩის შემდეგ შევიკრიბებით და სერიოზულად დავილაპარაკებთ.

**- ანუ, სერიოზულად დაელაპარაკებით ექტორ კუპერს?**

- არა, ფედერაციაში, ერთმანეთში ვილაპარაკებთ.

**- როგორია პირადად თქვენი პოზიცია? კუპერთან კონტრაქტი უნდა გაგრძელდეს?**

- კუპერის კვალიფიკაციაში ეჭვი არ მეპარება. მიმაჩნია, რომ ვინც უნდა იყოს ჩვენი ნაკრების მწვრთნელი, მას 4 წელი უნდა დავაცადოთ გუნდის გაწვრთნა. ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ ეს არის ჩემი და არა მთლიანად ფეხბურთის ფედერაციის პოზიცია.

**დავით თავართქილაძე**


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ექტორ კუპერი

ინტერვიუ


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## გიორგი სეთურიძე
# მაყურებელმა სტიმული მომცა

**საქართველოს ნაკრებმა მოლდოვასთან სამარცხვინოდ წააგო. უკვე ცხადია, რომ ქართული ფეხბურთი ისეთ მძიმე მდგომარეობაშია, რომ მალე მის ხსენებაზე ხალხს ალერგია დაეწყება. ასეთ დროს უხერხულია, რომელიმე მოთამაშეზე კარგის თქმა, მაგრამ ფაქტია - მოლდოვასთან გიორგი სეთურიძემ ძალიან კარგად ითამაშა. ნაკრების დებიუტი რუსთავის „ოლიმპის" მარჯვენა ნახევარმცველი ის იშვიათი გამონაკლისი გახლდათ, რომელმაც კუპერის მოწონება დაიმსახურა.**

***„ჩვენ გვჭირდება ისეთი ბრძოლისუნარიანი, მოტივირებული და თამამი ფეხბურთელები, როგორიც გიორგი სეთურიძეა. სამომავლოდ ნაკრებში სწორედ ასეთ ფეხბურთელებს დავეყრდნობი"*, - განაცხადა კუპერმა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე.**

**ძნელი სათქმელია, კუპერს კიდევ მიეცემა თუ არა სეთურიძესთან მუშაობის საშუალება, მაგრამ სეთურიძე რომ ნაკრებს სჭირდება, ეს 6 ივნისს ცხადად გამოჩნდა. ნაკრების დებიუტანტმა ყველა გამოცდილ მოთამაშეზე უკეთესად, სასარგებლოდ და თამამად ითამაშა.**

**- გიორგი, დებიუტანტისგან ასეთ სითამამეს ბევრი ვერ წარმოიდგენდა.**

- სითამამე კი არასდროს არ მაკლდა, არც ცხოვრებაში და არც რუსთავის „ოლიმპში". თუმცა რა არის დასამალი, სულ სხვაა საქართველოს ნაკრებში თამაში და სულ სხვა ჩვენს ჩემპიონატში გამოსვლა. აქაური პირველობის თამაშები ლამის ვარჯიშის მსგავსია, სტადიონზე ხალხი არ დადის და უემოციოდ ვთამაშობ. შეუძლებელია, 20-30 კაცის დასწრებაზე ის ემოცია და სტიმული გაგიჩნდეს, რაც ეროვნული ნაკრების მატჩის დროს. სხვათა შორის, ასეთივე მოტივირებული ვიყავი გერმანიაშიც, „კარლ ცაისში" გამოსვლის დროს. სადაც დატვირთვა და მოწინააღმდეგის კლასი ჩვეულებრივზე მაღალია, მეც სხვა სტიმული მიჩნდება, მით უფრო, როდესაც ტრიბუნაზე 7-8 ათასი ადამიანია. თქვენ გგონიათ, ასეთ დღეში მხოლოდ მე ვარ? ეროვნულ პირველობაზე ამის ნახევარი ხალხი რომ დადიოდეს, სულ სხვა თამაშებს იხილავდით. ისე, სიმართლე გითხრათ, საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ, სანაკრებო დონზე თამაში რთული აღმოჩნდა. ნებისმიერი ჩვენგანი ჩვეულებრივზე მეტად ნერვიულობს, ნაკლებად თავდაჯერებულია და სწორედ ამ ბარიერის გადალახვაა ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა.

**- აშკარად ჩანდა, რომ ეროვნულ ნაკრებში დებიუტმა უდიდესი სტიმული მოგცა, ძალიან მონდომებული თამაშობდი.**

- რა თქმა უნდა. რამდენი ხანია ნაკრებში თამაშს ველოდებოდი. იმედი რამდენჯერ მქონდა, ბევრჯერ მიმიწვიეს, მაგრამ თამაში არა და არ მეღირსა. თუკი ცუდად არ გამოვიყურებოდი, მარტო ჩემი მონდომების ბრალი არ არის. კუპერმა დავალება ზუსტად ამიხსნა და ეტყობა, მეც სწორად ვითამაშე. სხვათა შორის, კუპერმა თამაშამდე მითხრა, თავისუფლად ითამაშეო და ამან ჩემზე კარგად იმოქმედა. თუმცა, წაგებამ დებიუტი ჩამიშხამა. არაა მოლდოვა ის გუნდი, რომელთანაც უნდა წავაგო. გოლები ბავშვური უყურადღებობის გამო გავუშვით.

**- კაცმა რომ თქვას, ასეთ სამარცხვინო ნაკრებში თამაში მაინცდამაინც საამაყო არც არის.**

- იმედსაც ნუ გადაგვიწურავთ. გასაგებია, რომ ბოლო დროს ნაკრები ვერ იგებს, მაგრამ ამხანაგური თამაში იმიტომაც ტარდება, რომ მწვრთნელმა ყველა საინტერესო ფეხბურთელი გასინჯოს. კუპერი შედეგზე ორიენტირებული რომ ყოფილიყო, ძირითადი შემადგენლობის ლეგიონერებს გამოიძახებდა და ექსპერიმენტს არ ჩაატარებდა.

**- უშუალოდ შეხვედრაზე რას გვეტყვი? საქართველოს ნაკრებმა ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა...**

- ჩემდა გასაოცრად, მოლდოველებმა პირველ ტაიმში დალაგებული ფეხბურთი აჩვენეს, თუმცა მეორე ტაიმში დაიღალნენ და ფიზიკურად აშკარად ვაჯობეთ. სამწუხაროდ, ანგარიშის გათანაბრების რამდენიმე შანსი ვერ გამოვიყენეთ და რაც მთავარია, გოლი ძალიან გვიან გავიტანეთ. მეორე ტაიმის დასაწყისში რომ გაგვეტანა, ფრედ მაინც ვითამაშებდით.

**- ალბანეთში თუ მიდიხარ?**

- პრესკონფერენციაზე კუპერის ნათქვამიდან გამომდინარე, უნდა წავიდე.

**- რამდენად მართალია, რომ რუსთავის „ოლიმპი" დატოვე?**

- ჯერჯერობით ისევ კლუბში ვარ, თუმცა წასვლაზე მართლა ვფიქრობ. სხვათა შორის, გერმანიიდან ჩამოსვლის შემდეგ, სულ ამ ფიქრებში ვარ. კონკრეტული დაპირებებიც იყო, მაგრამ ამ მოლოდინში მთელი სეზონი საქართველოში დავრჩი.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, შვეიცარიის სუპერლიგის ერთ-ერთი კლუბი გიწვევს.**

- მიწვევს და პირდაპირ კონტრაქტის გაფორმებასაც მთავაზობს, მაგრამ იმდენად მცირე ხელფასზე იყო ლაპარაკი, უარი ვუთხარი.

**- შვეიცარიაში საქართველოზე მეტს კი შემოგთავაზებენ. სხვა ვარიანტი თუ არ გაქვს, დასაფიქრებელი რა არის?**

- ფაქტობრივად, ისე გამოდიოდა, რომ საჭმლის ფულიც არ მრჩებოდა. საჭმლის კი არა, საქართველოში გამოსამგზავრებელ ბილეთსაც ვერ ავიღებდი. ფულს არასდროს გამოვკიდებივარ, მაგრამ შვეიცარიაში, რომელიც ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ძვირი ქვეყანა, 4 ათას ევროზე თამაში შეუძლებელია.

**მერაბ მამულაშვილი**

ისტორიიდან

# ჩვენ და ალბანელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ და მოლდოვასთან წაგების მერეც იმავეს გავიმეორებთ: უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, ვის ვეთამაშებით; აღარც იმაზე უნდა ვივიშვიშოთ, რომ ფიფას რეიტინგში 105-ე ადგილზე ვართ და, ადრე რომ ეგზოტიკურსა თუ არასაფეხბურთოს ვეძახდით, უკვე ის ქვეყნებიც ჩვენზე ბევრად წინ არიან. ეგ კი არა, დამარცხებულის ფსიქოლოგია უკვე ჩვენი უპირველესი გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელებს კი არა, ლამის არის... ჟურნალისტებს ჩამოგვიყალიბდეს. ანუ, ნებისმიერი მატჩის წინ, მარცხს წინასწარ რომ ვართ შეგუებული...

...თუმცა, წლები გადის და... ჯიუტად ველოდებით, რომ, იქნებ, ახლა მაინც გამოსწორდეს სიტუაცია, იქნებ, ახლა მაინც დაიწყოს ჩვენი ნაკრების ფეხბურთელთა 90-მა პროცენტმა თანამედროვე ფეხბურთის თამაში; ხან კიდევ... სტატისტიკის „იმედზე" ვრჩებით - ამა თუ იმ მეტოქესთან ყოველთვის დადებითი ბალანსი გვქონდა და ტრადიცია რაღა ახლა დაირღვევაო. აი, ხვალაც ამის იმედზე უნდა ვიყოთ: სხვა თუ არაფერი, ალბათ, ერთადერთ ყველაზე სასურველ მეტოქეს ვეთამაშებით. ამას გარდა, რატომღაც ისე დაემთხვა, რომ ალბანეთის ნაკრებს ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ ეტაპზე რვაჯერ შევხვდით, ორჯერაც ამხანაგურად გავეჯიბრეთ; ჰოდა, ამ ათ შეხვედრაშიც აშკარად დადებითი ბალანსი გვაქვს: ექვსი გამარჯვება, ერთი ფრე და სამი დამარცხება. ბურთების სხვაობაც ჩვენს უპირატესობაზე მეტყველებს - 16:8. აქვე ცალკე უნდა აღვნიშნოთ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის საუკეთესო ფორვარდის **შოთა არველაძის** ჩინებული მაჩვენებელიც - სხვადასხვა დროს ალბანელთა კარში ექვსი გოლი რომ აქვს გატანილი! თანაც, თითქმის ყველა გოლი ერთსა და იმავე მეკარეს, **ფოტო სტრაკოშას** გაუტანა (ალბანელთა ვეტერანი მეკარე კიდევ ერთხელ **არჩილ არველაძემ** დაამწუხრა)!

საქართველოსა და ალბანეთის ნაკრებების პირველი დაპირისპირება ჩვენთვის სადებიუტო ციკლში შედგა. 1994 წლის შემოდგომაზე საქართველოს ნაკრებმა წარუმატებელი სტარტი აიღო - ყველასათვის მოულოდნელად, თბილისში მოლდოვასთან დავმარცხდით, ერთ თვეში კი სტუმრად ბულგარეთთან წავაგეთ. თუმცა, უკვე სოფიის მატჩში (განსაკუთრებით - პირველ ტაიმში) გამოჩნდა, რომ **ალექსანდრე ჩივაძის** ნაკრებს დიდი პოტენციალი ჰქონდა და ყველაფერი ეს უელსთან შთამბეჭდავი გამარჯვებით (5:0) დასრულდა. **ნევილ საუთჰოლი, მარკ ჰიუზი, იან რაში, დან სანდერსი** - ინგლისური პრემიერლიგის ვარსკვლავებს პირწმინდად ვაჯობეთ და, მართლაც, დასამახსოვრებელი იყო ოფიციალურ შეხვედრაში გატანილი პირველი გოლისგან, თუ ასევე პირველი გამარჯვებისგან გამოწვეული სიხარული. იმავე წლის 14 დეკემბერს კი საქართველოს ნაკრებმა ოფიციალურ მატჩებში სტუმრად პირველად გაიმარჯვა! არადა, მატჩის წინ ჩვენი ნაკრების სამწვრთნელო შტაბს მეტოქეზე, ფაქტობრივად, არანაირი ინფორმაცია არ ჰქონია; ან, სხვას ვის უნდა სცოდნოდა ალბანელ ფეხბურთელებზე? ერთადერთი, ალბათ, ის ვიცოდით, რომ **რუდი ვატა** წლების განმავლობაში ევროპის სხვადასხვა გუნდში ასპარეზობდა. არც სტრაკოშა ვიცოდით და არც - **რაკლი**, არც - **ფორტუზი** და არც - **დემოლარი**. ამ უკანასკნელმა მართლაც ზედმეტად იაქტიურა საქართველოს ნაკრებთან მატჩში, მაგრამ ჩინებული მატჩი ჩაატარა საქართველოს ნაკრების მეკარემ **აკაკი დევაძემ**! ამ უკანასკნელმა, სულ მცირე, ორი „მკვდარი" ბურთი აიღო, ერთხელ ხარიხაც „მოგვეხმარა" და პირველ ტაიმში შოთა არველაძის გატანილი გოლი ერთადერთი აღმოჩნდა ამ ნერვულ და დაძაბულ შეხვედრაში.



1995 წლის 26 აპრილი. შოთა არველაძის გოლის შემდეგ

1995 წლის 26 აპრილს ალბანელებს უკვე თბილისში ვუმასპინძლეთ და, მართლაც, დამაჯერებლად ვაჯობეთ: პირველი ტაიმის დასაწყისში თავი კვლავაც შოთა არველაძემ გამოიჩინა, ტაიმის ბოლოს კი **თემურ ქეცბაიამ** გაიბრწყინა. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ნაკრები ამ შეხვედრას სერიოზული საკადრო პრობლემებით შეხვდა - ტრავმების გამო ვერ ითამაშეს **კახა ცხადაძემ** და **გიორგი ნემსაძემ**, ბოლომდე ჯანმრთელი არ იყო **გიორგი ქინქლაძეც**. საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ გარკვეულ ექსპერიმენტებსაც მიმართა: მარჯვენა ფლანგი დებიუტანტ **გიორგი ლუდუშაურს** ჩააბარა, **კახა გოგიჩაიშვილი** კი მარცხნივ ათამაშა; ამპლუა ჰქონდა შეცვლილი **მურთაზ შელიასაც**, ფაქტობრივად, მარცხენა მცველის პოზიციაზე რომ ასპარეზობდა. სხვათა შორის, იმ დღეს შელიამ ერთ-ერთი საუკეთესო სანაკრებო მატჩი ჩაატარა. სიახლე იყო ის ფაქტიც, რომ ოფიციალურ დონეზე პირველი სანაკრებო მატჩები ჩაატარეს **დავით ყიზილაშვილმა** და **ნუგზარ ლობჟანიძემ**.

ამის შემდეგ, როგორც ზემოთ გაუწყეთ, ალბანელებს თითქმის ყველა შესარჩევ ციკლში ვეთამაშებოდით და თითქმის ყველა შემთხვევაში ჩვენ ვიმარჯვებდით. და აი, 1999 წლის 9 ოქტომბერს ალბანელების ჯერიც დადგა - **იოჰან ბოსკამპის** განწრთნილმა საქართველოს ნაკრებმა პირველი შეხვედრა წააგო სასურველ მეტოქედ მიჩნეულ მოწინააღმდეგესთან.

სხვათა შორის, საკლუბო დონეზე ქართველებსა და ალბანელებს შორის ორჯერ შედგა დაპირისპირება და ორივეჯერ, ცოტა არ იყოს, სკანდალური დასასრული ჰქონდა. 1998 წელს, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, თბილისის „დინამო" ორი მატჩის ჯამში კი დამარცხდა ალბანურ „ვლაზნიასთან" (1:0, 1:3), მაგრამ თბილისურ მატჩში მეტოქემ ისეთი ფეხბურთელი ათამაშა, განაცხადში რომ არ იყო (?); ჰოდა, „ვლაზნიას" 0:3 წაგება ჩაეთვალა და მომდევნო ეტაპზეც „დინამო" გავიდა.

მეორედაც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე შევხვდით ალბანურ გუნდს: 2003 წლის 16 ივლისს **ივო შუშაკის** „დინამომ" „ტირანას" 3:0 მოუგო და ყველანი უკვე მომდევნო მეტოქეზე (ვენის „რაპიდზე") ვფიქრობდით. თუმცა, ერთი კვირის მერე, აუტანელ სიცხეში (რაღაცით ხომ უნდა გავამართლოთ ჩვენი ფეხბურთელები), „დინამო" იმავე ანგარიშით დამარცხდა, მერე პენალტების სერიაშიც წააგო (2:4) და ყველასათვის მოულოდნელად ასპარეზობას გამოეთიშა. არ დავმალავთ: ამ მატჩის ირგვლივ მაშინაც და მერეც არცთუ სასიამოვნო ხმები „დადიოდა"; ზოგი, ტოტალიზატორის გავლენას ასახელებდა, ზოგი - ცალკეულ ფეხბურთელთა არაპატიოსან თამაშს, თუმცა, უსიამოვნო ფაქტი რომ იყო, არავინ უარყოფდა...

**გია ტუხაშვილი**



1995 წლის 26 აპრილი. საქართველო-ალბანეთი 2:0

## დღემდე

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

**ალბანეთი-საქართველო 0:1**

14.12.94. ტირანა. ქემალ სტაფა.
20 000 მაყურებელი

0:1 შ. არველაძე (18)

ალბანეთი: სტრაკოშა, დემა, კაჩაი, ჯუმბა, რ. ვატა (30. შულკუ), ლეკბელო (46. მალკო), ფორტუზი, ბელაი, კოლა, რაკლი, დემოლარი.

საქართველო: დევაძე, რევიშვილი, კუდინოვი, შელია, ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი (65. მ. ჯიშკარიანი), ინალიშვილი, ქინქლაძე, ქეცბაია, გოგრიჭიანი, შ. არველაძე (75. ჯამარაული).

*მთავარი მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე*

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

**საქართველო-ალბანეთი 2:0**

26.04.95. თბილისი. ეროვნული.
25 000 მაყურებელი

1:0 შ. არველაძე (2), 2:0 ქეცბაია (42)

საქართველო: დევაძე, ლუდუშაური, კუდინოვი, შელია (70. ლობჟანიძე), ინალიშვილი, გოგიჩაიშვილი, ჯამარაული, ქინქლაძე, ქეცბაია, ყიზილაშვილი (59. ა. არველაძე), შ. არველაძე.

მთავარი მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

ალბანეთი: სტრაკოშა, მემა, მალკო, ჯუმბა, რ. ვატა, კაჩაი, კუშტა (84. დოსტი), ფორტუზი (56. პრენგა), დალიპი, რაკლი, დემოლარი.

ამხანაგური მატჩი

**საქართველო-ალბანეთი 3:0**

08.02.98. ლა ვალეტა. ტა ქალი.
3 000 მაყურებელი

1:0 ქეცბაია (19), 2:0 ყაველაშვილი (29), 3:0 იაშვილი (71)

საქართველო: გვარამაძე, ჩიხრაძე, შელია, სილაგაძე, კალაძე, შეყილაძე, ჯამარაული (74. კიკნაძე), ნემსაძე, ქეცბაია, ყაველაშვილი, იაშვილი.

*მთავარი მწვრთნელი: ვლადიმერ გუცაევი*

ალბანეთი: ბექაი (74. გრიმა), ლალა, შულკუ, ფაკაი, ვატა, კოტრი, პეკო (58. მურატი), ბუში (46. კოლა), ჰალილი, რაკლი, ტარე.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

**საქართველო-ალბანეთი 1:0**

05.09.98. თბილისი. ეროვნული.
45 000 მაყურებელი

1:0 ა. არველაძე (65)

საქართველო: გვარამაძე, კალაძე, ცქიტიშვილი, სილაგაძე (43. კიკნაძე), წერეთელი, კობიაშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, ქეცბაია (54. ზ. ჯანაშია), ქინქლაძე, იაშვილი (62. ა. არველაძე).

*მთავარი მწვრთნელი: ვლადიმერ გუცაევი*

ალბანეთი: სტრაკოშა, ლალა, შულკუ, ჯუმბა, ვატა, პინარი, ჰაჯი, ბუში (74. გალო), კოლა, რაკლი, ტარე (68. პეკო/86. მაჯუნი)

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

**ალბანეთი-საქართველო 2:1**

09.10.99. ტირანა. ქემალ სტაფა.
6 000 მაყურებელი

1:0 რაკლი (30), 2:0 კოლა (36), 2:1 შ. არველაძე (52)

ალბანეთი: ბექაი, შულკუ, ფაკაი, ჯუმბა, ვატა, ბუში (54. მურატი), ლალა, კოლა, დურო, რაკლი (75. მუკა), ტარე (90. ბოგდანი).

საქართველო: გრ. ჭანტურია, შეყილაძე, ჭიჭველიშვილი, დიდავა, კალაძე, კობიაშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, გახოკიძე, ა. არველაძე (83. დ. ჯანაშია), შ. არველაძე.

მთავარი მწვრთნელი: იოჰან ბოსკამპი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

**საქართველო-ალბანეთი 3:0**

06.09.03. თბილისი. ეროვნული.
15 000 მაყურებელი.

1:0 შ. არველაძე (8), 2:0 აშვეთია (17), 3:0 შ. არველაძე (43)

საქართველო: ლომაია, ხიზანიშვილი, ქემოკლიძე, ნემსაძე, კვირკველია, ბურდული (68. რეხვიაშვილი), კობიაშვილი, ჯამარაული (59. ასათიანი), იაშვილი, აშვეთია, შ. არველაძე (60. დემეტრაძე).

*მთავარი მწვრთნელი: მერაბ ჟორდანია*

ალბანეთი: სტრაკოშა, დედე (19. ჯუპი), ჩიპი, ალიაი, ჰასი, ჩანა, ბელაი (46. დურო), მურატი, სკელა, დრაგუში, ბუში (62. ტარე).

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

**ალბანეთი-საქართველო 3:1**

10.09.03. ტირანა. ქემალ სტაფა.
15 000 მაყურებელი

1:0 ჰასი (52), 2:0 ტარე (54), 2:1 შ. არველაძე (63), 3:1 ბუში (80)

ალბანეთი: სტრაკოშა, ბექირი, ჩიპი, ალიაი, ჰასი, ჩანა (85. მუკა), მურატი, შკემბი, რაკლი (58. ბუში), ტარე, დურო.

საქართველო: ლომაია, ხიზანიშვილი, ქემოკლიძე (38. რეხვიაშვილი), დიდავა (65. დემეტრაძე), კვირკველია, კობიაშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, იაშვილი (56. ქინქლაძე), აშვეთია, შ. არველაძე.

*მთავარი მწვრთნელი: მერაბ ჟორდანია*

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

**საქართველო-ალბანეთი 2:0**

08.09.04. თბილისი. ლოკომოტივი.
25 000 მაყურებელი

1:0 იაშვილი (15), 2:0 დემეტრაძე (90)

საქართველო: დევაძე, მუავანაძე, ხიზანეიშვილი, სალუქვაძე, კალაძე, ცქიტიშვილი, ასათიანი (58. კანკავა), ჯამარაული (77. კვირკველია), კობიაშვილი, იაშვილი, შ. არველაძე (89. დემეტრაძე).

*მთავარი მწვრთნელი: ალენ ჟირესი*

ალბანეთი: სტრაკოშა, ბექირი, ჰასი, ალიაი, ჩანა, ლალა, მურატი (79. შკემბი), სკელა, დურო (56. დრაგუში), მირტაი (66. ბუში), ტარე.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

**ალბანეთი-საქართველო 3:2**

04.06.05. ტირანა. ქემალ სტაფა.
12 000 მაყურებელი

1:0 ტარე (6), 2:0 სკელა (33), 3:0 ტარე (55), 3:1 ბურდული (85), 3:2 კობიაშვილი (90)

ალბანეთი: ლიკა, ოსმანი, ბექირი, დურო, ალიაი, სკელა (85. შკემბი), ჰასი, ჰაჯი (27. ჩიპი), ჯუპი, ტარე, ბოგდანი (64. მირტაი).

საქართველო: სტურუა, მაღრაძე (64. ბურდული), ხიზანიშვილი, სალუქვაძე, კალაძე, რეხვიაშვილი, ასათიანი (58. ვ. დარასელია), კობიაშვილი, კვირკველია, ჯაკობია, დემეტრაძე (76. ბობოხიძე).

*მთავარი მწვრთნელი: ალენ ჟირესი*

ამხანაგური მატჩი

**ალბანეთი-საქართველო 0:0**

22.03.06. ტირანა. ქემალ სტაფა.
2 000 მაყურებელი.

ალბანეთი: ლიკა, დალკუ, ვრაპი, ტელი (46. დურო), ლალა, სკელა (46. ჯაფა), ჰაჯი (75. აგოლი), ჯუპი, ცური (46. ბექირი) ბოგდანი (82. სალიხი), კასტრატი (46. კაპლანი).

საქართველო: ლომაია (46. გრ. ჭანტურია), მაღრაძე, ლვინიანიძე, შაშიაშვილი, ელიავა, კ. ალადაშვილი (88. სეთურიძე), მენთეშაშვილი (35. განუგრავა), კანკავა (46. ფოფხაძე), გოგუა, ჯაკობია, ვ. გიგიაძე.

*მთავარი მწვრთნელი: კლაუს ტოპმოლერი*

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამერი ერთ დროს...

პრობლემა

# რომელ ლიგაში ითამაშებს ამერი?

## ფოცხვერია შარშანდელ გადაწყვეტილებას არ ნანობს

გასული ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე თასის ორგზის მფლობელ „ამერის" ხელმძღვანელობამ ბევრისთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო. მართალია, სპორტული თვალსაზრისით გუნდს უმაღლესში ასპარეზობის გაგრძელება შეეძლო, მაგრამ გასული სეზონი პირველ ლიგაში ჩაატარა. ეს უკვე წარსულის ამბავია და ამაზე ბევრი დაიწერა. ქვედა ლიგაში **გიორგი ჩიხრაძის** გუნდმა წარმატებით იასპარეზა და უმაღლესის საგზურიც მოიპოვა, მაგრამ საკითხავია, ამჯერად რას გადაწყვეტენ „ამერის" თავკაცები, რომელ ლიგაში ვიხილავთ 21-ე ჩემპიონატში ამ გუნდს.

ამ საკითხით კლუბის პრეზიდენტ **ზურაბ ფოცხვერიას** მივმართეთ: „უმაღლეს ლიგაში თამაში ჩვენი მიზანი და სურვილი რომ არ იყოს, მაშინ არც ვიბრძოლებდით მთავარ დივიზიონში დასაბრუნებლად. რომელ გათამაშებაშიც უნდა ვიყოთ, ჩვენ ყოველთვის გამარჯვებისთვის ვიბრძვით და ეს მიზანი გვქონდა პირველ ლიგაში გამოსვლის დროსაც. ჩვენი კლუბის თითოეულ წევრს უმაღლესში ალზევებას ვულოცავ. რაც შეეხება კითხვას, თუ რომელ ლიგაში ითამაშებს „ამერი"... ჩვენ ახლა ყველაფერს ვაკეთებთ საიმისოდ, რომ უმაღლეს ლიგაში ვითამაშოთ. სტაბილური დაფინანსებისთვის გზებს ვეძებთ და იმედი გვაქვს, ამ საკითხს დადებითად გადავწყვეტთ. თუმცა ისიც კარგად გვესმის, რომ არსებული ვითარების გათვალისწინებით, ეს იოლი ნამდვილად არ იქნება. ასე რომ, ჯერჯერობით არ ვიცით, რომელ ლიგაში ვითამაშებთ, მაქსიმუმ ერთ თვეში გადავწყვეტთ ამ საკითხს. ჩვენ გვინდა უმაღლესში თამაში, სწორედ აქეთკენაა მიმართული ჩვენი ძალისხმევა, მაგრამ ბევრი ფაქტორია, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებაზე გავლენას მოახდენს და ვნახოთ".

ფოცხვერიას გავრცელებულ ხმებზეც დავეკითხეთ, რომლის მიხედვითაც „ამერი" და „გაგრა" გაერთიანდება და ეს ახალი გუნდი უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს: „არა, ეს ჭორია და რეალობასთან კავშირი არ აქვს. მსგავსი წინადადება არც კი განხილულა", - განმარტა „ამერის" პრეზიდენტმა.

თუ ქვეყნის თასის ორგზის მფლობელი „ამერი" ფინანსურ პრობლემას მოაგვარებს და მთავარ დივიზიონში გამოვა, მაშინ კლუბს ჯერ ლიცენზიის აღება დასჭირდება, მერე კი შემადგენლობის გაძლიერება...

„სამწუხაროდ, ლიცენზია ჯერჯერობით არ გვაქვს, მაგრამ ამ საკითხზე კონსულტაციები გვქონდა ლიცენზირების კომიტეტთან, ფედერაციასთან, პროფლიგასთან... რამდენადაც ვიცი, ჯერ კიდევ არის შანსი ლიცენზია ავიღოთ. მთავარია, ჩვენი ფინანსური შესაძლებლობები გაირკვეს და ლიცენზიის საკითხსაც გადავწყვეტთ. ჩვენი გუნდი ახალგაზრდა ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. მათ შორის ნიჭიერებიც არიან და შრომისმოყვარეებიც. გუნდს ჩინებული მწვრთნელები ხელმძღვანელობენ. გარდა ამისა, კლუბის მენეჯმენტიც კარგ დონეზეა. ყოველივე ეს კი იმის იმედს გვაძლევს, რომ ამ გუნდით უმაღლეს ლიგაში თავს არ შევირცხვენთ. რაც შეეხება გაძლიერებას, ეს ისევ ფინანსებს უკავშირდება და სანამ არ გაირკვევა ჩვენი ფინანსური შესაძლებლობები, გაძლიერებაზე ვერაფერს გეტყვით".

საინტერესოა, პირველ ლიგაში ასპარეზობისას ვის გამოარჩევდა კლუბის პრეზიდენტი და საერთოდ რამდენად დაიხვეწა გუნდი...

„ორი-სამი გამონაკლისის გარდა, ახალი ფეხბურთელები გვყავს. ფაქტობრივად, ახალი გუნდი შევქმენით. ამ შემადგენლობის შეკვრა-შეთამაშებისთვის კი პირველ ლიგაში ნათამაშები ერთი სეზონი სასარგებლო იყო. მომიტევეთ, მაგრამ არავის გამოვარჩევდი. ჩვენს გუნდში არიან ფეხბურთელები, რომლებიც უმაღლესი ლიგიდან გადმოგვყვნენ და ამისი დაუფასებლობა არ შეიძლება. გარდა ამისა, ისეთებიც გვყავს, რომლებიც დროებით იყვნენ „ამერში", მაგრამ გუნდის წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანეს. არიან ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებსაც ყველაფერი წინ აქვთ და ასევე სრულფასოვნად მონაწილეობდნენ უმაღლესში ალზევებაში. „ამერის" ძალა ერთიანი, გუნდური სულისკვეთებაა და ამიტომაც არავის გამოვყოფდი".

დაბოლოს, წლის გასვლის შემდეგ საინტერესოა, თუ როგორ აფასებს კლუბის პრეზიდენტი შარშან მიღებულ გადაწყვეტილებას უმაღლესის ნაცვლად პირველ ლიგაში ასპარეზობის შესახებ: „დღესაც მივიჩნევ, რომ შარშან სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ. იმ ეტაპისთვის სხვა გზას ვერ ვხედავდი და ზოგისთვის მოულოდნელი ეს გადაწყვეტილება ამიტომ მივიღეთ. ასე რომ შარშან გადადგმულ ამ ნაბიჯს დღესაც სწორად მივიჩნევ და ვთვლი, რომ არ შევცდარვარ".

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ

## იგორ დობროვოლსკი

# მიზეზი მე ვარ...

## ადამიანისთვის ასი პროცენტი არ არსებობს

...ის იყო ძალიან ნიჭიერი და ამაში ყველა დაგვაჯერა; ის იყო არაორდინარული და შეუპოვარი, მან ბევრს მიაღწია და ალბათ, ბევრიც დაკარგა ფეხბურთში, თუნდაც ის, რომ 1994 წლის მუნდიალზე არ წავიდა...

იგორ დობროვოლსკის დარი მოთამაშეები ფეხბურთს ალამაზებენ და ამდიდრებენ. ახლა კი ის მოლდოვას ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელია და არა მგონია, საქართველო-მოლდოვას მატჩით ქართველი ქომაგისთვის დიდად დაემახსოვრებინა თავი. დობროვოლსკიმ საფეხბურთო სამყაროს ხომ სულ სხვა რამით გააცნო და შეაყვარა თავი - ის იყო ძალზე ელეგანტური „ათი ნომერი"...

დობროვოლსკის საქართველო-მოლდოვას მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე შევხვდით „ქორთიარდ მერიოტში" და ის მცირე დრო, რაც მას ჰქონდა, ვეცადეთ, შინაარსიანი საუბრისთვის მაქსიმალურად გამოგვეყენებინა...

**- თბილისი თქვენთვის არ უნდა იყოს ჩვეულებრივი ქალაქი. საქართველოს დედაქალაქთან თქვენ არცთუ უმნიშვნელო მოგონება უნდა გაკავშირებდეთ...**

- რა თქმა უნდა, 1986 წელს სწორედ თბილისში ვითამაშე პირველი მატჩი საბჭოთა კავშირის ნაკრებში. ამხანაგურ შეხვედრაში ინგლისს ვუმასპინძლეთ და 0:1 დავმარცხდით. გოლი გარი ლინეკერმა გაიტანა. მე მხოლოდ ბოლო 10 წუთით შემიყვანა მოედანზე ედუარდ მალოფეევმა.

**- მერე, რამდენად კმაყოფილი დარჩით დებიუტით?**

- აბა, რა გითხრათ... 10 წუთში ბევრს ვერაფერს მოვახერხებდი.

**- საერთოდ, თქვენი კარიერით კმაყოფილი ხართ? ალბათ, უმეტესობის აზრია, რომ იგორ დობროვოლსკის გაცილებით მეტისთვის უნდა მიეღწია...**

- საერთო ჯამში, ჩემი კარიერით კმაყოფილი ვარ. რაც შეეხება იმას, ბევრად მეტის მიღწევა შემეძლო თუ არა, ვფიქრობ, ამ ყველაფერსაც აქვს მიზეზი...

**- ...და რა არის ეს მიზეზი?**

- მთავარი მიზეზი მე ვარ... ვერ მოვახერხე მწვრთნელებთან კარგი ურთიერთობის აწყობა. შესაძლოა, ამის გამოც კი ხდებოდა ისე, რომ მწვრთნელებს სხვა ფავორიტები ჰყავდათ, მე კი განზე ვრჩებოდი. ახალგაზრდულ წლებშიც კარგად უნდა მცოდნოდა, რომ მწვრთნელიც ჩვეულებრივი ადამიანია.

**- უცხოეთში საკმაოდ ბევრი კლუბი გამოიცვალეთ. ლეგიონერის ყველაზე წარმატებული კარიერა, ალბათ, საფრანგეთში გქონდათ - „მარსელთან" ერთად ხომ საფრანგეთის ჩემპიონი გახდით...**

- მე მაინც მგონია, რომ უცხოეთში საუკეთესო პერიოდი „ჯენოაში" გავატარე. ამ გუნდში ბევრი მატჩი არ ჩამიტარებია, მაგრამ რაც ვითამაშე, საკმაოდ კარგად და გულშემატკივარსაც ვუყვარდი იტალიაში. მაგრამ მერე, როცა „ჯენოაში" ახალი მთავარი მწვრთნელი მოვიდა, ყველაფერი აირია. მან მათამაშა ამხანაგურ მატჩში, რომელშიც 2 გოლი გავიტანე და 2 საგოლე გადაცემა შევასრულე, მაგრამ... მერე მითხრა, რომ მის სათამაშო კონცეფციაში ვერ ვჯდებოდი. სხვათა შორის, ჩემით „იუვენტუსი" დაინტერესდა, მაგრამ „ჯენოაში" მითხრეს, „იუვეში" და არც სხვა რომელიმე იტალიურ კლუბში არ გაგიშვებთ, ჩვენი გულშემატკივრები ამას არ გაპატიებენ და გირჩევნია, სხვა ქვეყანაში წახვიდეო. ერთი სიტყვით, ის ფაქტი, რომ ჩემით „იუვენტუსი" იყო დაინტერესებული, კიდევ ერთი დასტურია, რომ იტალიაში საკმაოდ ნორმალურად ვითამაშე.

**- თქვენ კლასიკური გამთამაშებელი იყავით. ასეთი ამპლუის ფეხბურთელები კი ახლა ძალიან ცოტანი არიან, მათზე თითქოს მოთხოვნაც არ არის და ფეხბურთი ისე ვითარდება, რომ ტიპური „ათიანები" თითქოს ვერ თავსდებიან თანამედროვე კონცეფციაში. ეთანხმებით ასეთ შეხედულებას?**

- ვერ დაგეთანხმებით. თუნდაც ზინედინ ზიდანია იმის თვალსაჩინო მაგალითი, რომ ამ ამპლუის ფეხბურთელები ძალიან საჭირონი არიან. მაგრამ ასეთი ფეხბურთელები ახლა უბრალოდ არ არსებობენ, რაც იმის ბრალია, რომ ბავშვთა საფეხბურთო სკოლებში დამწყებ ფეხბურთელებს მკაცრ ჩარჩოებში აქცევენ, რაც ძალიან არ მომწონს.

**- თინეიჯერობაში თქვენი კერპები ალბათ დიდი „ათი ნომრები" იყვნენ. მაინც ვინ იყო თქვენი კერპი?**

- ფიოდორ ჩერენკოვი და იური გავრილოვი.

**- ისინი მოსკოვის „სპარტაკში" თამაშობდნენ და ალბათ, თქვენც ამ გუნდში გსურდათ მოხვედრა, თუმცა მოსკოვის „დინამოში" აღმოჩნდით...**

- ეს ნორმალურად მივიღე. „დინამოს" საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, რადგან ეს კლუბი თავისი მიღწევებით მოსკოვის „სპარტაკს" აღემატებოდა კიდეც.

**- არ იქნება, იმ ეპოქის ქართველ ფეხბურთელებზეც არ გკითხოთ, თქვენს გვერდით რომ თამაშობდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში. ყველაზე მეტად მაინც რომელი ქართველი ფეხბურთელი დაგამახსოვრდათ?**

- რომელიმე ერთის გამოყოფა გამიჭირდება. გაბელია, შენგელია, დარასელია, ყიფიანი - დიდებული ოსტატები იყვნენ და მათთან ერთად თამაშმა რომ მომიწია, ცხადია, ძალიან კმაყოფილი ვარ.

**- როცა თქვენ საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში დაიწყეთ თამაში, დავით ყიფიანს ფეხბურთისთვის თავი უკვე დანებებული ჰქონდა, ხოლო ვიტალი დარასელია გარდაცვლილი იყო...**

- როცა საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრებში ვიყავი, მაშინ მომიწია იმ „დინამოსთან" თამაშმა, რომელსაც ყიფიანიც ჰყავდა და დარასელიაც. ეს ეშერაში მოხდა. იქ ჩვენც და თბილისის „დინამოც" შეკრებაზე ვიყავით და ამხანაგური მატჩიც ვითამაშეთ.

**- დობროვოლსკი, კოლივანოვი, კირიაკოვი, შალიმოვი, იურანი, სალენკო, მიხაილიჩენკო... რუსეთში ამ ფეხბურთელებს დაკარგულ თაობად მიიჩნევენ, მიუხედავად არცთუ პატარა წარმატებებისა...**

- მე საპირისპიროს გეტყვით: განა, ვინმე დამისახელებს რუსულ ფეხბურთში ისეთ თაობას, რომელმაც ჩვენზე მეტს მიაღწია? მოვიგეთ სეულის ოლიმპიადა, ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი და თითოეულმა ჩვენგანმა ევროპის წამყვან ლიგებში წლების განმავლობაში საკმაოდ კარგად და სტაბილურად ითამაშა.

**- გასაგებია, მაგრამ ეროვნული ნაკრების დონეზე თქვენმა თაობამ მხოლოდ ის მოახერხა, რომ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპებზე გავიდა...**

- ასეა, მაგრამ ამას თავისი მიზეზები ჰქონდა და ყველაფრის ფეხბურთელებზე გადაბრალება არ შეიძლება.

**- არ იქნება, 1993-95 წლებზეც არ გკითხოთ. მაშინ რუსეთის ნაკრებს პაველ სადირინი თავკაცობდა. თქვენ და კიდევ ცამეტმა ფეხბურთელმა მას, ფაქტობრივად, შეთქმულება მოუწყვეთ...**

- ამ თემაზე საუბარი არ მსურს, ეს უკვე წარსულია...

**- მოლდოვურ ფეხბურთზეც გკითხავთ. ეს ქვეყანა ეკონომიკურად არცთუ ძლიერია და საინტერესოა, რა სახსრებზე დგას იქაური ფეხბურთი?**

- მოლდოვაში არის 6 ისეთი კლუბი, რომლებსაც ნორმალური პირობები აქვთ და ამ მდგომარეობას ინარჩუნებენ. მინდა გითხრათ, რომ ინფრასტრუქტურით, მატერიალურად და ფინანსურად ეს კლუბები ნელ-ნელა ვითარდებიან.

**- მოლდოვის ეროვნულ ნაკრებში კი საქმე კარგად ვერ არის. თქვენი გაწვრთნილი გუნდი შესარჩევ ეტაპზე ამ დროისთვის ბოლო ადგილზეა, არ ჰყავს გამორჩეული, საშუალოევროპული დონის ფეხბურთელები...**

- საქმე ისაა, რომ მოლდოვიდან ძალიან ბევრი კარგი ფეხბურთელი წავიდა რუსეთში, მათ ორმაგი მოქალაქეობა აქვთ და იქაური გუნდების განაცხადში დარეგისტრირებულები არიან, როგორც რუსეთის მოქალაქეები, ამის გამო მათი მოლდოვის ნაკრებში გამოძახება არ ხერხდება, თორემ მერწმუნეთ, ჩვენ ახლა გაცილებით ძლიერი გუნდი გვეყოლებოდა. ასეთი მოლდოველი ფეხბურთელი რუსეთში დაახლოებით 20-25-ია.



**- იმ ქართველ ფეხბურთელებზე რას გვეტყვით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ევროპაში რომ გაიჭრნენ? საერთოდ თუ აკვირდებოდით მათ?**

- ყველა იმ ფეხბურთელს ვაკვირდებოდი და ვაკვირდები, ვინც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან იყვნენ და არიან, რადგან მიმაჩნია, რომ ისინი ჩვენთვის უცხოები არ არიან. სხვათა შორის, თუ არ ვცდები, ერთი ქართველი ფეხბურთელის წინააღმდეგ მითამაშია კიდეც, როცა მე დიუსელდორფის „ფორტუნაში" ვიყავი. ეს ფეხბურთელი ლევან კობიაშვილია.

**- ქართველი ლეგიონერებიდან ყველაზე მეტად ვის გამოარჩევდით?**

- ვფიქრობ, ასეთი შოთა არველაძე იყო.

**- თქვენ რუსეთის მოქალაქე ხართ და ამ გადმოსახედიდან როგორ აღიქვამთ საქართველოს და საერთოდ, საქართველოში განვითარებულ მოვლენებს?**

- მე პოლიტიკა ძალიან მცირე დოზით მაინტერესებს. სანამ საქართველოში ჩამოვიდოდი, ტელევიზიით ისეთი ცნობები ვრცელდებოდა, თითქოს თბილისში აეროპორტიც კი ბლოკირებული და ძალიან დაძაბული ვითარება იყო. მაგრამ ჩვენ სპორტსმენები ვართ და ჩვენი უმთავრესი მოვალეობა ფეხბურთის თამაშია. ასე რომ არ ყოფილიყო, დავუჯერებდით ტელევიზიით მიღებულ ცნობებს და თბილისში არ ჩამოვიდოდით.

**- დაბოლოს, ალბათ, საკამათო არ უნდა იყოს, რომ დობროვოლსკიმ სრულად ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობები როგორც ფეხბურთელმა. როგორ ფიქრობთ, მწვრთნელობისას ამას მოახერხებთ?**

- ადამიანის შესაძლებლობა უსაზღვროა და თავად უჭირს იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ რა არის ამ შესაძლებლობის 100 პროცენტი. მე მაინც მგონია, რომ ადამიანი ვერასდროს ვერ ახერხებს საკუთარი თავის ბოლომდე რეალიზებას.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონი

## უცნობი ქართველები ფინეთში

მაშინ, როცა **გიორგი ფოფხაძე** თბილისში ეროვნულ ნაკრებში თამაშობდა, მისი „ვიბორგი" ვიასატდივიზიონის ბოლოსწინა ტურში „ჰვიდოვრეს" ესტუმრა და 0:3 განადგურდა. „ვიბორგი" 51 ქულით მეოთხე ადგილზეა, ასე უილბლოდ დასრულდა ამ კლუბის მცდელობა პირველივე სეზონში დაბრუნებულიყო სასლიგაში. სხვათა შორის, „ვიბორგის" ოფიციალური საიტი დეტალურად აშუქებს გიორგის ამბებს, საიტმა სპეციალურად ვრცელი მასალა მიუძღვნა საქართველო-მოლდოვის მატჩს, ხოლო სანამ ჩვენებური სამშობლოში გამოემგზავრებოდა, მასთან სანაკრებო თემაზე ინტერვიუც გააკეთა. არც **მიხეილ ბარაბაძეს** უთამაშია ჰიკ-ის შემადგენლობაში მეორე დივიზიონის ბოლოსწინა ტურში, მიხეილი საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებში იყო გამოძახებული. ჰიკ-მა სტუმრად „სკიოლდი" დაამარცხა - 2:1. ჰიკ-ი 47 ქულით მეხუთეა და ჩემპიონატსაც ამ ადგილზე დაასრულებს.

ფინეთის რანგით მეორე დივიზიონ იკონენში **ირაკლი ციკოლიას** ტპ-47 7 მატჩიდან ერთადერთი ქულით ბოლო ადგილზეა. კვირას ტპ-47 იიპპო-ს ესტუმრა და 0:2 დამარცხდა. ციკოლიამ 90 წუთი ითამაშა. მოულოდნელად, ქართველი ლეგიონერები გამარჯვებულ გუნდში, იიპპო-ში აღმოვაჩინეთ - **ლუკა გალდავა** და **თორნიკე ბახტაძე**. გალდავა ნახევარმცველია, ბახტაძე კი ფორვარდი. პირველი გოლი ტპ-47-ის კარში სწორედ ბახტაძემ გაიტანა. ქართველ ფორვარდს იკონენლიგაში 6 თამაშში 1 გოლი აქვს გატანილი. თორნიკე 77-ე წუთზე შეცვალეს, ლუკა გალდავა კი სათადარიგო იყო. იიპპო 15 ქულით მესამე ადგილზეა. „კოოტეპეში", რომლის ღირსებასაც ადრე ქართველი მეკარე **გიორგი ნიკურაძე** იცავდა, მცველი **გიორგი ოსიტაშვილი** თამაშობს. „კოოტეპე" სტუმრად „პოპასთან" დამარცხდა - 0:1, გიორგიმ შეუცვლელად ითამაშა. მისი გუნდი 10 ქულით მეცხრე ადგილზეა.

სომხეთის ჩემპიონატის მე-11 ტურში „ულისე" „შირაკს" ესტუმრა და 0:0 დაუზავდა. სტუმართა რიგებში შეუცვლელად ითამაშეს **ლევან აკობიამ** და **გაგა თიბილაშვილმა**, **თენგიზ უგრეხელიძე** კი სათადარიგო იყო. „განძასარმა" 1:0 დაამარცხა „კილიკია", მასპინძელთა რიგებში სრულად ითამაშეს მეკარე **ლევან ბუბუტეიშვილმა** და მცველმა **დავით ხანიშვილმა**. „ულისე" 20 ქულით მე-4 ადგილზეა, „განძასარი" 10 ქულით მეექვსეა.

## სალუქვაძემ წააგო, რევიშვილმა მოიგო

რუსეთის ჩემპიონმა ყაზანის „რუბინმა" გუშინ ორი საკონტროლო მატჩი გამართა „სატურნთან". პირველ შეხვედრაში (ორივე მატჩი 30-წუთიანი ტაიმებისგან შედგებოდა) უფრო ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებმა ითამაშეს ორივე გუნდში, მეორეში - სათადარიგოებმა. პირველი მატჩი „რუბინმა" 0:1 წააგო. **ლაშა სალუქვაძემ** შეუცვლელად ითამაშა. მეორე მატჩში „რუბინმა" შური იძია, 3:1 მოიგო, გამარჯვებულთა კარს **ნუკრი რევიშვილი** იცავდა. შეგახსენებთ, რომ დავით კვირკველია საქართველოს ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული.

## კორღალიძე მესამეა

კიშინიოვის „დაჩიას" ოფიციალურმა საიტმა მოაწყო სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვა, რომელშიც ხმათა უმრავლესობით გაიმარჯვა ფორვარდმა **გენადი ორბუმ** (ხმების 26,5%), მეორე ადგილზე გავიდა **ალექსანდრ ონიკა** (22,5%), ხოლო მესამე ადგილზე ჩვენი თანამემამულე **ლევან კორღალიძე**. ლევანმა გამოკითხულთა ხმების 10,8% მიიღო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გრანდიოზული პროექტი



ატლეტიკო პარანაენსის არენა

# ბრაზილიური კლუბი საქართველოს ჩემპიონატში?

**ქართული ფეხბურთი ყველამ ერთად გამოვიტირეთ. ჩვენ უკან მხოლოდ ფარერები, ანდორა, სან მარინო და უზარმაზარი უფსკრულია. როგორც წლების წინათ ერთმა შოტლანდიელმა ჟურნალისტმა დაწერა, საქართველო ქვეყნის დასალიერს იქითაა. ქვეყნის რა გითხრათ და, ჩვენი ფეხბურთის ადგილი ნამდვილად ქვეყნის დასალიერს მიღმაა...**

...და ამ მძიმე და დამთრგუნველ ფონზე, რაც უნდა უცნაურად ჩანდეს, ქართულ საკლუბო ფეხბურთში გამოცოცხლება შეინიშნება. მომავალი სეზონისთვის ერთი ძლიერი კლუბის კონტური აშკარად გამოიკვეთა - „ზესტაფონი" ქართული მასშტაბის სუპერკლუბად ყალიბდება. საქართველოს ნაკრების წევრებისა და კანდიდატების, **ზურაბ მენთეშაშვილის** („სკონტო", ლატვია), **ზაალ ელიავას** („სკონტო", ლატვია), **ჯაბა დვალისა** („დაჩია", მოლდოვა) და **თორნიკე აფციაურის** („გაბალა", აზერბაიჯანი) ჩამოყვანა კლუბის მეპატრონეთა ამბიციურ ჩანაფიქრზე მეტყველებს. „ზესტაფონს" წარმატებით გამოსვლა არა მარტო საქართველოს პირველობაზე სურს, არამედ, ევროთასებზეც ზოგადად ქართულ კლუბებზე მეტი ეტაპის გავლას გეგმავს. **გია გეგუჩაძის** მიზანია თბილისის „დინამოს" დროინდელი წარმატების გამეორება და საამისოდ, კლუბის ხელმძღვანელობა ლამის ყველა სურვილს უსრულებს.

...მაგრამ ეს ყველაფერი ვიცით, ახლა კი იმაზე, რაც მკითხველმა აქამდე არ იცოდა, თანაც, ლაპარაკია სენსაციურ პროექტზე - მალე საქართველოს ჩემპიონატში, შესაძლოა, ბრაზილიელებით დაკომპლექტებულმა კლუბმა ითამაშოს. ეს სულაც არ არის ფანტაზია, უკვე ერთი თვეა, მიმდინარეობს მოლაპარაკება ბრაზილიის კლუბ „ატლეტიკო პარანაენსესა" და რუსთავის „ოლიმპს" შორის. მოლაპარაკების ინიციატორია ბრაზილიაში მცხოვრები ქართველი მწვრთნელი **გოჩა ალადაშვილი**, რომელიც უკვე დიდი ხანია ქართული ფეხბურთის დახმარებას მეორე სამშობლოდქცეული ბრაზილიიდან ცდილობს.

როგორც ცნობილია, რამდენიმე ქართულ კლუბს მან საკმაოდ მაღალი დონის ბრაზილიელი ფეხბურთელები ჩამოუყვანა და თან ისეთები, რომ დღეს რუსები, უკრაინელები, ყაზახები და აზერბაიჯანელები მათში ათჯერ მეტს იხდიან.

ალადაშვილის ახალი ჩანაფიქრი ძალიან მარტივი და ორმხრივად სასარგებლოა. „ატლეტიკო პარანაენსეს" შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყარო, ისევე როგორც ნებისმიერი ბრაზილიური კლუბისა, ფეხბურთელების გაყიდვაა. ევროპულ ბაზარზე გასვლა კი, შესაძლოა გაგიკვირდეთ და, ყველა ბრაზილიური კლუბისთვის არ არის იოლი საქმე. ასევეა „ატლეტიკო პარანაენსესთვისაც". ქართველმა მწვრთნელმა ეს კარგად გაიაზრა და „ატლეტიკოს" ხელმძღვანელებს 15 მოთამაშის საქართველოში გამოშვება შესთავაზა. ჩანაფიქრის თანახმად, რუსთავის „ოლიმპი" 15 ბრაზილიელითა და 15 ქართველით დაკომპლექტდება. ალადაშვილი დარწმუნებულია - ბრაზილიელები „ოლიმპს" იმდენად გააძლიერებენ, რომ რუსთაველი გუნდი ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლას მოახერხებს:

*„ყველას კარგად ახსოვს „ზესტაფონის" ფეხბურთელი ჟილვან ვიეირა. ვიცი, რომ ის საქართველოში ძალიან მოსწონდათ. თუმცა, მერწმუნეთ, ახლა გაცილებით მაღალი კლასის მოთამაშეთა ჩამოყვანა მსურს. მათთან შედარებით ვიეირა სკოლის მოსწავლეა. მთავარია, პროექტი განხორციელდეს. ასეთი მოთამაშეებით შექმნილ კლუბს ევროთასებზე სერიოზული წარმატების მიღწევა შეუძლია, საქართველოს ჩემპიონატზე ალარაფერს ვამბობ",* - ამბობს ალადაშვილი.

და რაში სჭირდებათ ბრაზილიელებს ქართულ კლუბში თამაში? ევროთასებზე გასვლის შემდეგ ამ ფეხბურთელებს ევროპელები გაიცნობენ და მათი ტრანსფერებისთვის გაცილებით მეტი საშუალება გაჩნდება. დიახ, ბრაზილიაში ფეხბურთი ძალიან მაღალ დონეზეა. აქაურ მოთამაშეებს ევროპელები დიდი სიხარულით ყიდულობენ, მაგრამ ბევრ მათგანს არ იცნობენ. ჩანაფიქრის არსიც სწორედ ისაა, რომ ეს ფეხბურთელები ევროპას დაუახლოვონ.

ბუნებრივად დაგებადებათ კითხვა - ამით რა ხეირი რუსთავის „ოლიმპს"? ფეხბურთელთა გაყიდვა ხომ მთლიანად ბრაზილიელთა ინტერესშია? მოდი, ნაჩქარევ დასკვნას ნუ გავაკეთებთ - ხელშეკრულებით ქართული კლუბიც არანაკლებ მოგებული დარჩება, რადგან მოთამაშეთა გაყიდვიდან შემოსული სატრანსფერო თანხის ნაწილი „ოლიმპში" დარჩება. ამას გარდა, ქართულ მოედნებზე საკმაოდ მაღალი კლასის 15 ბრაზილიელის გამოჩენამ მაყურებელიც უნდა მიიზიდოს სტადიონზე - გაყიდული ბილეთები ხომ შემოსავლის კიდევ ერთი წყაროა. და კიდევ ერთი ფაქტორი, არანაკლებ მნიშვნელოვანი - მაღალი კლასის ბრაზილიელთა გვერდით ქართველი ბიჭები აუცილებლად გაიზრდებიან! ალარაფერს ვამბობთ საფეხბურთო და მთლიანად ქვეყნის იმიჯზე, რაც ევროპაში წარმატებულ გამოსვლის შემდეგ ერთიორად გაუმჯობესდება.

ჩანაფიქრი არ არის ერთ წელიწადზე გათვლილი, ის ხანგრძლივი ვადით გაფორმდება. უახლოეს პერიოდში გოჩა ალადაშვილი და „ატლეტიკო პარანაენსეს" პრეზიდენტი საქართველოში ჩამოვლენ და „ოლიმპის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებს დაასრულებენ. მანამდე კი მოვერიდებით იმის თქმას, რომ პროექტი უკვე დამტკიცებულია.

რაც შეეხება „ატლეტიკო პარანაენსეს", ის ბრაზილიის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული, მზარდი და ძლიერი ინფრასტრუქტურის მქონე კლუბია. უკვე ოფიციალურად დამტკიცდა, რომ ამ კლუბის სტადიონზე მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის შეხვედრები გაიმართება. „ატლეტიკო პარანაენსეს" ეკუთვნის ბრაზილიაში ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე ბაზა - 8 მოედნით, სამედიცინო და აღდგენითი ცენტრით, ხუთვარსკვლავიანი სასტუმროთი...

ალადაშვილი მხოლოდ ამ პროექტით არ შემოიფარგლება. ის ცდილობს, ქართველი მწვრთნელები და ფეხბურთელები „ატლეტიკოში" სტაჟირებაზე გაუშვას. მიზანი ქართული ფეხბურთის დახმარებაა, რადგან ბრაზილიელებთან ინტეგრაცია ყველა წამყვან ქვეყანას სურს. ჩვენ მით უმეტეს უნდა ვფიქრობდეთ ამაზე...

**მერაბ მამულაშვილი**

*P.S. ვიდრე ბრაზილიელების საკითხი გადაწყვეტილა, რუსთავში რამდენიმე მნიშვნელოვანი ტრანსფერი განხორციელდა: „ბორჯომიდან" აიყვანეს მეკარე ბექა შეყრილაძე. შეიძლება, პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ აუტსაიდერი გუნდის მეკარე ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული გოლკიპერი გახლდათ. კლუბის ვიცე-პრეზიდენტ ზურაბ ჯაფარიძის თქმით, ბაქოს „ოლიმპიკიდან" ნახევარმცველი რევაზ გეწაძე დაიმატეს. ამბიციური კლუბისთვის ეს უდავოდ დიდ შენაძენია.*

საქართველოს ჩემპიონატი

### მეორე ლიგა

#### აღმოსავლეთი. XXXII ტური

| | |
|---|---|
| იმედი-ალგეთი | 2:0 |
| სპარტაკი 2-გარეჯი | 3:1 |
| IBSU-ერთობა | 7:1 |
| ამერი 2-ალაზანი | 3:0 |
| 35-ე სკოლა-ზოოვეტი | 1:0 |
| ლოკომოტივი 2-ჰერეთი 2 | 6:0 |
| არაგველები-ლიახვი | 0:3 |
| ნ\დინამო 2-სამგორი | 0:3 |
| დუშეთი-ბორჯომი 2 | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტ. 2 | 33 | 23 | 5 | 5 | 88-30 | 74 |
| 2. IBSU | 33 | 23 | 2 | 8 | 93-43 | 71 |
| 3. ამერი 2 | 33 | 21 | 5 | 7 | 59-2[illegible] | 68 |
| 4. სპარტაკი 2 | 33 | 19 | 7 | 7 | 73-36 | 64 |
| 5. ლიახვი | 33 | 19 | 4 | 10 | 70-47 | 61 |
| 6. დუშეთი | 33 | 18 | 6 | 9 | 62-38 | 60 |
| 7. 35 ს. ს. | 33 | 18 | 5 | 10 | 66-51 | 59 |
| 8. გარეჯი | 33 | 16 | 6 | 11 | 54-40 | 54 |
| 9. ჰერეთი 2 | 33 | 14 | 4 | 15 | 58-53 | 46 |
| 10. სამგორი | 33 | 12 | 8 | 13 | 66-59 | 44 |
| 11. იმედი | 33 | 10 | 8 | 15 | 41-58 | [illegible] |
| 12. ალგეთი | 33 | 10 | 7 | 16 | 42-68 | 37 |
| 13. არაგველები | 33 | 10 | 6 | 17 | 37-53 | 36 |
| 14. ალაზანი | 33 | 10 | 3 | 20 | 33-53 | 33 |
| 15. ერთობა | 33 | 10 | 3 | 20 | 40-80 | 33 |
| 16. ზოოვეტი | 33 | 9 | 6 | 18 | 39-63 | 33 |
| 17. ბორჯომი 2 | 33 | 7 | 1 | 25 | 23-82 | 22 |
| 18. ნ. დინამო 2 | 33 | 3 | 4 | 26 | 20-85 | 13 |

### ჭაბუკთა ლიგა

#### 91-წლიანები. XXX ტური

| | |
|---|---|
| მესხეთი-მგლები | 0:6 |
| ლოკომოტივი-სპარტაკი | 1:1 |
| დინამო-სიონი | 4:3 |
| ოლიმპი-გაგრა | 2:3 |
| ზესტაფონი-ბორჯომი | 5:1 |
| ვიტ ჯორჯია-ნაკრები U16 | 3:0* |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 30 | 26 | 2 | 2 | 96-22 | 80 |
| 2. გაგრა | 31 | 21 | 2 | 8 | 97-52 | 65 |
| 3. მგლები | 31 | 20 | 3 | 8 | 81-42 | 63 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 31 | 19 | 5 | 7 | 48-22 | 62 |
| 5. ზესტაფონი | 30 | 14 | 5 | 11 | 68-42 | 47 |
| 6. სპარტაკი | 30 | 13 | 6 | 11 | 49-35 | 45 |
| 7. ნაკრები-16 | 33 | 14 | 2 | 17 | 69-58 | 44 |
| 8. ლოკომოტ. | 30 | 11 | 3 | 16 | 53-69 | 36 |
| 9. ბორჯომი | 31 | 10 | 4 | 17 | 43-73 | 34 |
| 10. სიონი | 31 | 8 | 3 | 20 | 41-86 | 27 |
| 11. ოლიმპი | 30 | 6 | 5 | 19 | 58-83 | 23 |
| 12. მესხეთი | 30 | 0 | 2 | 28 | 15-140 | 2 |

*შენიშვნა: *16-წლამდელთა ნაკრები გათამაშებიდან მოხსნილია და დარჩენილ ტურებში ჩაეთვლება ტექნიკური წაგება 0:3.*

#### 93-წლიანები. XXX ტური

| | |
|---|---|
| მგელბი-მესხეთი | 3:0 |
| სპარტაკი-ლოკომოტივი | 2:3 |
| სიონი-დინამო | 3:3 |
| გაგრა-ოლიმპი | 2:3 |
| ბორჯომი-ზესტაფონი | 3:1 |
| ვიტ ჯორჯია-ამერი | 3:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 30 | 26 | 3 | 1 | 106-9 | 81 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 30 | 20 | 7 | 3 | 64-25 | 67 |
| 3. ამერი | 30 | 18 | 3 | 9 | 64-39 | 57 |
| 4. ზესტაფონი | 30 | 16 | 4 | 10 | 50-34 | 52 |
| 5. ლოკომოტივი | 30 | 15 | 3 | 12 | 62-30 | 48 |
| 6. მგლები | 30 | 14 | 6 | 10 | 72-38 | 48 |
| 7. სპარტაკი | 30 | 10 | 6 | 14 | 31-41 | 36 |
| 8. ბორჯომი | 30 | 9 | 8 | 13 | 32-55 | 35 |
| 9. გაგრა | 30 | 8 | 10 | 12 | 38-39 | 34 |
| 10. ოლიმპი | 30 | 7 | 8 | 15 | 32-62 | 29 |
| 11. სიონი | 30 | 3 | 3 | 24 | 16-80 | 12 |
| 12. მესხეთი | 30 | 2 | 3 | 25 | 12-127 | 9 |

#### 95-წლიანები. XXX ტური

| | |
|---|---|
| მგელბი-მესხეთი | 3:0 |
| სპარტაკი-ლოკომოტივი | 0:1 |
| სიონი-დინამო | 2:0 |
| გაგრა-ოლიმპი | 2:0 |
| ბორჯომი-ზესტაფონი | 3:0 |
| ვიტ ჯორჯია-ამერი | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 30 | 25 | 3 | 2 | 74-12 | 78 |
| 2. გაგრა | 30 | 19 | 6 | 5 | 52-13 | 63 |
| 3. ოლიმპი | 30 | 16 | 5 | 9 | 47-35 | 53 |
| 4. ზესტაფონი | 30 | 14 | 9 | 7 | 55-37 | 51 |
| 5. მგლები | 30 | 15 | 5 | 10 | 41-28 | 50 |
| 6. დინამო | 30 | 12 | 11 | 7 | 35-33 | 47 |
| 7. ბორჯომი | 30 | 13 | 4 | 13 | 32-29 | 43 |
| 8. ვიტ ჯორჯია | 30 | 12 | 5 | 13 | 37-36 | 41 |
| 9. სიონი | 30 | 8 | 5 | 17 | 35-51 | 29 |
| 10. ამერი | 30 | 7 | 5 | 18 | 22-50 | 26 |
| 11. სპარტაკი | 30 | 4 | 7 | 19 | 18-51 | 19 |
| 12. მესხეთი | 30 | 0 | 5 | 25 | 4-77 | 5 |

მეტოქე

# იტალიამ მომავალი დაინახა



CHE BELLA L'ITALIA (რა ლამაზი იტალიაა!) - ასეთი სათაურით გამოვიდა „გაძეტა დელო სპორტის“ კვირის ნომერი. ასეთი აჟიტირებული და აღფრთოვანებული აპენინური მედია, ბოლოს ალბათ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის შემდეგ გახლდათ. არ გაგიკვირდეთ - გასაგებია, რომ „სკუადრა აძურამ“ მხოლოდ რიგითი ამხანაგური შეხვედრა გამართა, მაგრამ ეს რიგითი პაექრობა აძურელებმა განსაკუთრებულად აქციეს. დიახ, ასეთი ლაღი, შემოქმედებითი და შემტევი იტალიის ნაკრები მართლაც იშვიათად გვინახავს. თანაც, **მარჩელო ლიპიმ** ექსპერიმენტული შემადგენლობა დაუპირისპირა ირლანდიელებს და ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ ბრიტანელები ასე გაიფახებოდნენ. ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები ხელწამოსაკრავი მეტოქე ნამდვილად არ არის, რაზეც ისიც მოწმობს, რომ გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მესამე ჯგუფში მეორე ადგილზე იმყოფება და მუნდიალის საგზურისთვის იბრძვის.

**მარკეტი, სანტონი, დაგოსტინო, მასკარა, პელისიერი, გალოპა...** დაგვეთანხმებით, ამ ფეხბურთელებს ევროპაში ნაკლებად იცნობენ, თუმცა სწორედ მათ ადინეს ბრდღვნა ირლანდიელებს. აქ საქმე მხოლოდ მოგებაში არაა, ბოლოს და ბოლოს, ჩრდილოეთ ირლანდიის დამარცხება ამ ფეხბურთელებისთვის ნამდვილად არ არის საგმირო საქმე, მაგრამ აქ ლაპარაკი თამაშის ხარისხზეა, რომელმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

დიდებული იყო **ჯუზეპე როსი**, რომელმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ეროვნულ გუნდში გამოძახების ღირსია. ვილიარეალელი ბევრს მოძრაობდა, ყველგან იყო და პირველი გოლიც სრულიად დამსახურებულად გაიტანა. ბრწყინვალედ ითამაშა **პასკუალე ფოჯამაც**. ეს ფეხბურთელი აშკარად არაა სათანადოდ დაფასებული და მართლაც საკვირველია, რატომ არ ეღირსა აქამდე რომელიმე გრანდში თამაში. ეგ კი არა, ხშირად „ლაციოშიც“ არ ანდობენ სასტარტოში ადგილს და მხოლოდ შეცვლებზე შეჰყავთ. მიუხედავად ამისა, ლიპი მის ტალანტს კარგად ხედავს და პერმანენტულად ეროვნულ გუნდში იძახებს. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ფოჯა შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელი გახლდათ. მარჯვენა ნახევარმცველის ფუნქციებს ასრულებდა და მეტწილად შეტევით გახლდათ დაკავებული. ირლანდიელებს აუოხრა მარცხენა ფრთა, რაც შეხვედრის შემდეგ სტუმართა დამრიგებელმაც აღნიშნა. მეორე გოლი სწორედ ფოჯას ანგარიშზეა, რაც ასევე არ გახლდათ შემთხვევითი. თანაც, რა გოლი - ფლანგიდან ცენტრში შევარდნილმა მეტოქე ეფექტურად მოატყუა და ბრწყინვალე, ტექნიკური დარტყმით მეკარეს შანსი არ დაუტოვა. ფოჯას საგმირო საქმეებზე კიდევ ბევრის დაწერა შეიძლება, მისი ფინტების და ზუსტი გადაცემების აღსაწერად გვერდი არ გვეყოფა, ამიტომ, მხოლოდ ორ სიტყვას ვიტყვით: ბრავო პასკუალე.

იტალიური პრესისგან ქება არც დაგოსტინოს დაჰკლებია. „უდინეზეს“ მოთამაშემ გააზრებული ფეხბურთი აჩვენა და ნათლად დაგვანახვა, რომ თანხა, რომელსაც მასში ფრიულელები ითხოვენ, სულაც არ არის გაბერილი. შეგახსენებთ, რომ ლაპარაკია 20 მილიონ ევროზე, პოტენციური მყიდველი კი ტურინის „იუვენტუსია“. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელია მთელ იტალიაში. შესანიშნავად წარმოჩნდა სერჯო პელისიერი. „კიევოს“ თავდამსხმელმა დიდებული გოლი გაიტანა, შემდეგ კი დუბლის გახერხებაც შეეძლო, თუმცა უკვე მეკარე გამოდგა მოწოდების სიმაღლეზე. ეგაა, რომ სერჯო უკვე 30 წლისაა და ამ შემთხვევაში, პერსპექტიულობაზე ლაპარაკი ნამდვილად უადგილო იქნებოდა. სამაგიეროდ, პაცინის შეგვიძლია ვუწოდოთ იმედისმომცემი ფეხბურთელი. ჯამპაოლო კარზეა დაგეშილი და ბრწყინვალედ იხსნება. მართალია, ირლანდიელებთან გოლი არ გაუტანია და პენალტიც გააცუდა, მაგრამ მთლიანობაში, დაგვანახვა, რომ მისგან დიდი თავდამსხმელი შეიძლება დადგეს. ამას ლიპიც ამჩნევს და ამად იძახებს ეროვნულში.

ცალკე უნდა ვთქვათ **ნიკოლა ლეგროტალიეზე**. იუვენტინო ჩრდილოეთ ირლანდიას დიდი ენთუზიაზმით დაუპირისპირდა და თანაგუნდელების მსგავსად, დიდებულად წარმოჩნდა. აი, რას წერს მასზე „კორიერე“:

*„ბოლო წლებში, ეს იყო ლეგროტალიეს საუკეთესო შეხვედრა. ჩვენ გაგვახსენდა ნიკოლა, რომელიც „კიევოს“ შემადგენლობაში ბრწყინავდა. შეგვიძლია, თამამად ვთქვათ, რომ თუ ასე გააგრძელებს, სამომავლოდ ეროვნულ გუნდში ჯორჯო კიელინის შეუცვლელი მეწყვილე იქნება. კიელინი - ლეგროტალიე, ეს მომავალი ნესტა-კანავაროა და იმედია, ისინი გაამართლებენ ჩვენს იმედებს“.*

სულ ბოლოსთვის კი დავიდე სანტონი შემოვინახეთ, ვისზეც ბოლო დღეებში არნახულად ბევრს ლაპარაკობენ. *„ინტერის“ უკანახაზელი, მისთვის ჩვეულ, მარჯვენა ფრთაზე თამაშობდა და საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა. თუ „ნერაძურიში“ მხოლოდ ჩამშლელის თვისებებით გამოირჩეოდა, ნაკრებში შეტევაში ჩართვებსაც არ მოერიდა და კარგი გარემარბივით ხშირად ფლანგურ გარღვევებს აკეთებდა. ის საპირისპირო ფლანგის მალდინია“* - წერს „გაძეტა დელო სპორტი“ და იმედოვნებს, რომ დავიდე მართლაც გაჰყვება დიდი პაოლოს გზას.

როგორც ხედავთ, პრესა ძალიან არის აჟიტირებული „სკუადრა აძურას“ ფეერიული თამაშით. ჟურნალისტებს განსაკუთრებით ის ახარებთ, რომ კარგი თამაშით ახალგაზრდები გამოირჩნენ. შეხვედრის შემდეგ, ძალიან კმაყოფილი ჩანდა მარჩელო ლიპი. მოვუსმინოთ მას: *„შეგირდების თამაში ძალიან მომეწონა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ არჩევანი მართლაც დიდი მაქვს. იმ ფეხბურთელებს, რომლებმაც დღეს თავი გამოიჩინეს, მომავალშიც აუცილებლად გამოვიძახებ. თითოეულ მათგანს ძალიან კარგი შანსი აქვს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გასამგზავრებელ ფეხბურთელთა სიაში მოხვდეს. რაც შეეხება კონფედერაციათა თასს, ამ ტურნირს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. დიდი სურვილი მაქვს, რომ კიდევ ერთი ტროფეი მოვიგოთ და მჯერა, ასეც იქნება. იმ ფეხბურთელებით, რომლებიც ჩემს განკარგულებაში არიან, ნებისმიერი სიმაღლის დალაშქვრა შეიძლება. მთავარ კონკურენტად ბრაზილიას მივიჩნევ და საერთოდაც, პოტენციალით სელესაო საუკეთესო გუნდია მსოფლიოში. მათთან თამაში ყოველთვის რთულია და გამონაკლისი არც კონფედერაციათა თასი იქნება“.*

მატჩის შემდეგ, ჟურნალისტთა ყურადღების ცენტრში გახლდათ ჯუზეპე როსი, ვინაც თავისი პირველი გოლი გაიტანა ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. აი, რა განაცხადა ახალგაზრდა თავდამსხმელმა:

*„ბედნიერი ვარ, რომ ეროვნულ გუნდში ჩემი პირველი გოლი გავიტანე. თუმცა, მთავარი მაინც ის არის, რომ შესანიშნავად ვითამაშეთ და მეტოქე პირწმინდად დავჯაბნეთ. მიხარია, რომ ლიპი მენდობა და მიძახებს. იმედია, კონფედერაციათა თასზე თავის გამოჩენის საშუალება მომეცემა“.*

ერთი სიტყვით, ყველა ბედნიერია. კონფედერაციათა თასის წინ, აპენინებზე შესანიშნავ განწყობაზე არიან - იტალიამ მომავალი დაინახა.

**ლაშა ნიკლაური**



სამწვრთნელო გადაადგილება

# როსი ლაციოს ეთხოვება

გუშინ პრესასთან საუბარში **დელიო როსიმ** მოულოდნელი განცხადება გააკეთა. მისი თქმით, მომავალი სეზონიდან ის აღარ უთავკაცებს რომის „ლაციოს“ და ახალ შეთავაზებებს დაელოდება. არადა, მას შემდეგ, რაც „ბიანკოჩელესტემ“ იტალიის თასი მოიგო, არავის ეგონა, თუ როსი კლუბის შეცვლის გადაწყვეტილებას მიიღებდა. თუმცა, როგორც ჩანს, აქ მხოლოდ მწვრთნელშიც არ არის საქმე და კონტრაქტის გაწყვეტით „ლაციოს“ მესვეურებიც არიან დაინტერესებულნი. თუმცა, რაღა არიან - უკვე გადაწყვეტილია, რომ როსი რომაულ გუნდს დატოვებს. აი, რა განაცხადა სენიორ დელიომ:

*„დიდხანს ვიფიქრე და მივედი იმ დასკვნამდე, რომ „ლაციო“ უნდა დავტოვო. ამ გუნდში ოთხი წელი ვიმუშავე და დამიჯერეთ, ასეთი გადაწყვეტილების მიღება ძალიან რთული იყო. ეს წლები არასდროს დამავიწყდება და აქ გატარებულ პერიოდს ყოველთვის სიამოვნებით გავიხსენებ. სეზონის დასრულების შემდეგ, კლუბის მესვეურებს რამდენჯერმე შევხვდი და მივხვდი, რომ გუნდის ნაწილი უკვე აღარ ვარ. მე სხვანაირად ვხედავდი „ლაციოს“ მომავალს, ისინი კი სხვანაირად. რა გაეწყობა, „ბიანკოჩელესტეს“ ახალ თავკაცს წარმატებებს ვუსურვებ, მე კი ახალ შეთავაზებებს დაველოდები. კლაუდიო ლოტიტოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ უკვე ვაცნობე და როგორც ვიცი, ჩემი წასვლის წინააღმდეგი არც ის გახლავთ“.*

**ლაშა ნიკლაური**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ტრეზეგეს სამი ვარიანტი

ტურინის „იუვენტუსის“ მესვეურები, უახლოეს კვირებში რამდენიმე ფეხბურთელის გასხვისებას აპირებენ. „ვეკია სენიორას“ სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო** პირდაპირ აცხადებს, რომ გაწეულ ხარჯებს დაბალანსება სჭირდება და რამდენიმე მოთამაშე აუცილებლად გაიყიდება. ერთ-ერთი ასეთი კი სავარაუდოდ **დავიდ ტრეზეგე** იქნება. კლუბის გამოცვლის სურვილი აქვს თავად ტრეზეგე და ამ მიმართულებით, მისი აგენტი აქტიურად მუშაობს.

„ტუტოსპორტის“ ინფორმაციით, ამ ეტაპზე, დავიდის შეძენით სამი კლუბია დაინტერესებული: „მილანი“, „რომა“ და „ლიონი“. ყველაზე უფრო მაინც „ლიონი“ აქტიურობს და თავდამსხმელის სანაცვლოდ, მზადაა ათი მილიონი ევრო გადაიხადოს. ამხელა თანხის გაღების სურვილი არ აქვთ იტალიურ გუნდებს და „იუვესთან“ ვაჭრობას ამჯობინებენ. არადა, სწორედ აპენინებზე სურს დარჩენა თავად ფეხბურთელს. მოკლედ, ან სერია A-ს ბინადარმა უნდა გაიღოს ათი მილიონი, ანაც ფეხბურთელმა უნდა დასწიოს თამასა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფრანგს ერთადერთი ვარიანტი რჩება და „ლიონში“ მოუწევს გადაბარგება.

**ლაშა ნიკლაური**



ამბები

## პორტუგალიის ბომბარდირი ვერდერში?

„ვერდერმა“ პორტუგალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს დაუმიზნა. როგორც იცით, ბრემენულმა კლუბმა უკვე გააფორმა ნიჭიერი თავდამსხმელი მორენო, რომლის შემდეგ, „მუსიკოსებს“ კიდევ ერთი საინტერესო ტრანსფერის გაჩარხვა სურთ. პორტუგალიური პრესის ცნობით, გერმანიის თასის მფლობელი **ნენეს** ეპატიჟება. ეს უკანასკნელი პორტუგალიის ჩემპიონატის საუკეთესო გოლეადორია - 20 გოლი 28 თამაშში. აღსანიშნავია, რომ 25 წლის ნენეს გადაბირება თურქულ „ბეშიქთაშსაც“ სურს.

**გოტფრიდ ლენცი**

## ფრაიბურგმა დუ რი ჩა იყიდა

სამხრეთ კორეის ნაკრების ნახევარმცველმა (39 მატჩი) **დუ რი ჩამ** პირველ ბუნდესლიგაში აღზევებულ „ფრაიბურგთან“ გააფორმა კონტრაქტი. მან ფრაის „კობლენციდან“ მიაშურა. „ფრაიბურგის“ სპორტული დირექტორის, **დირკ დუფნერის** თქმით, დუ რი ჩა ძალიან გამოცდილი ფეხბურთელია, რომელიც „ფრაიბურგს“ ელიტაში ნამდვილად გამოადგება. დუ რი ჩა სხვადასხვა დროს ბილეფელდის „არმინიას“, ფრანკფურტის „აინტრახტის“ და „მაინცის“ ღირსებას იცავდა. ბუნდესლიგაში მას 92 მატჩი აქვს ჩატარებული (5 გოლი).

**გოტფრიდ ლენცი**

## ფანდელი აღარ დაუსტვენს

ცნობილი გერმანელი მსაჯი **ჰერბერტ ფანდელი** კარიერას ამთავრებს. ეს ინფორმაცია გუშინ გერმანიის საფეხბურთო კავშირის ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა. მიუხედავად იმისა, რომ ფანდელი ჯერ 45 წლისაა და წესით, კიდევ ორი წელი შეუძლია მსაჯობა, პენსიაზე გასვლა გადაწყვიტა. ჰერბერტ ფანდელმა ბუნდესლიგაში პირველად 1995 წელს იმსაჯა და მას მერე, გერმანიის წლის საუკეთესო მსაჯად ოთხჯერ აღიარეს.

*„თითქმის ყველა მიზანს მივაღწიე და მოტივაცია აღარ მაქვს. უკვე ვიმსაჯე ჩემპიონთა ლიგის ფინალი, უეფას თასის ფინალი, ორჯერ ვიმსაჯე გერმანიის თასის ფინალი. ჯერ კიდევ 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე მივხვდი, რომ მოვიდა დრო, კარიერა დავასრულო,“* - აცხადებს ფანდელი.

**გოტფრიდ ლენცი**

## დორტმუნდი: ლევანდოვსკი არ გამოდის

პოლონური „ლეხი“ თავდამსხმელ **რობერტ ლევანდოვსკის** ვერ ელევა. 20 წლის ლევანდოვსკი პოლონეთის ჩემპიონატის აღმოჩენად შერაცხეს, რადგან მეორე ლიგიდან პირველში გადასულმა პირველსავე სეზონში 14 გოლი გაიტანა და პოლონეთის ნაკრების წევრი გახდა. ლევანდოვსკის გადაბირება დორტმუნდის „ბორუსიას“ უნდა, მაგრამ „ლეხის“ პრეზიდენტმა **ანჯეი კაძინსკიმ** დორტმუნდელებს უარი შეუთვალა - ლევანდოვსკი არ იყიდებაო. „რობერტზე ფაქტობრივად აღარ ვფიქრობთ, რადგან ტრანსფერის განხორციელება არ ხერხდება,“ - აცხადებს „ბორუსიას“ სპორტული დირექტორი **მიხაელ ცორკი**. ლევანდოვსკის „ლეხთან“ კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს.

**გოტფრიდ ლენცი**

## უცხოური ფეხბურთი

ინტერვიუ

გუს ჰიდინკი



გუუს ჰიდინკი ჩელსის გამარჯვებული დაემშვიდობა

# აბრამოვიჩი შესანიშნავად ცეკვავს

მიუხედავად იმისა, რომ გუუს ჰიდინკი „ჩელსის" მთავარი მწვრთნელი აღარ არის, მისი სახელი გაზეთების პირველი გვერდებიდან არა და არ ჩამოდის. სპეციალისტმა ინგლისელ ჟურნალისტთან ინტერვიუსთვის უკვე მოსკოვში ყოფნისას, სასტუმრო „მარიოტ გრანდში" მოიცალა. ჰოლანდიელმა კორესპონდენტი ჭიქა კაპუჩინოზე დაპატიჟა.

**- მისტერ გუუს, სად არის სიგარა?**

- ამჯერად არავითარი სიგარა. სადილის შემდეგ კიდევ ჰო.

**- წინა კვირას ალბათ ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასი სიგარა მოწიეთ...**

- ალბათ იმ სიგარაზე მეკითხებით, რომელიც ინგლისის თასის მოგების შემდეგ გავაბოლე. დიახ, ძალიან ძვირფასი იყო ჩემთვის. მომავალშიც მშვენივრად. მომაგონდება, რადგან დადებით მოვლენასთან ასოცირდება.

**- ამის გამო თქვენ 50 გირვანქის ჯარიმის გადახდამ მოგიწიათ. ვალი უკვე გაისტუმრეთ?**

- არავის უთქვამს, რომ ის მაინცდამაინც მე უნდა გადავიხადო. შინ ჩეკიც არ მომსვლია. ჩემს ნაცვლად ამას ალბათ „ჩელსი" გააკეთებს. თანაც ამაში გასაკვირი არაფერი იყო. დიდი თამაში, დიდი დაძაბულობა, დიდი გამარჯვება... რას ხედავთ ამაში კრიმინალურს? ასეთი წარმატების შემდეგ სიგარაც უნდა მოწიო და შამპანურიც გადაჰკრა. თუკი ჯარიმის გადახდას კონკრეტულად ჩემგან მოითხოვენ, ამას გავაკეთებ, რა პრობლემაა? ეს არ იქნება ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი უსამართლობა. სანერვიულოც არაფერია. მთავარია, იმ დღეს ჩემმა გუნდმა სეზონი მაჟორულ ნოტზე დაასრულა.

**- თქვენი და რომან აბრამოვიჩის ცეკვა ვიდეოპორტალ იუთუბზე ყველაზე პოპულარული ვიდეოების სიაში შევიდა.**

- რას ლაპარაკობთ? მართლა? იქნებ კიდევ შეიძლება მისი ნახვა...

**- არა, „ჩელსის" ტელეარხმა ყველა საიტს კატეგორიულად მოსთხოვა სერვერებიდან ამ ვიდეოს წაშლა, რადგან ამით მათი საავტორო უფლებები ირღვეოდა.**

- სამწუხაროა.

**- აბრამოვიჩი კარგად ცეკვავს?**

- უბრალოდ სუპერია! წამითაც კი არ მიგრძნია უხერხულობა, რადგან ვიცოდი, რომ შესანიშნავი პარტნიორი მყავდა.

**- რა დაარქვით თქვენს ცეკვას? ალბათ აბრა-გუსაბრა...**

- წარმოდგენა არ მაქვს (იღიმის). ჩვენ აფრიკულ და ლათინურამერიკულ რიტმებზე ვცეკვავდით. მთავარი კი იმ საღამოს სულ სხვა რამე იყო - საზეიმო განწყობილება გვქონდა. თანაც გასახდელში თეთრები, შავები, ქრისტიანები, მუსლიმანები თუ ათეისტები ერთნაირად გამოვხატავდით ჩვენს უკიდეგანო სიხარულს.




გამოვიდა ივნისის ნომერი

მანჩესტერ იუნაიტედი

# ეშმაკები მოძალადის როლში

„მანჩესტერ იუნაიტედი" ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელის **კარლოს ალბერტოს** კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. ის, რომ დიდი კლუბები ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელების ძიებაში არიან და ამისთვის არც დროსა და არც სახსრებს არ ზოგავენ, საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს და არ გვგონია, ამაში გასაკიცხი რამე იყოს, მით უფრო, ასეთ პრაქტიკას უკვე ყველა მისდევს. ზოგიერთმა კლუბმა სწორედ ამაზე ააგო მთელი თავისი საკადრო პოლიტიკა, მაგალითად, „არსენალმა". თითქოს ამაში გასაკვირი და მით უფრო ალმაშფოთებელი არაფერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს ერთი შეხედვით... იუნიორი ფეხბურთელები შესანიშნავ პირობებში ცხოვრობენ, პროფესიული ზრდისთვის შეუდარებლად მეტი წინა პირობა აქვთ, მაგრამ თურმე შეიძლება ფეხბურთის სპეციალისტს რადიკალურად განსხვავებული პოზიცია ჰქონდეს. მოდი, მოვუსმინოთ ხსენებული სისტემის „იდეურ მტერს".

*„ეს ნამდვილად სირცხვილია! „მანჩესტერ იუნაიტედი" უბრალოდ ძალადობს ბრაზილიურ ფეხბურთზე. ასეთ კლუბებს დიდი ფული აქვთ და ამით სარგებლობენ. მათ ჯერ კიდევ იუნიორულ ასაკში მიჰყავთ ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელები, რაც უდიდესი პრობლემაა ჩვენთვის. დაუშვებელია, 18 წლის ასაკამდე ფეხბურთელს ნება მივცეთ, რომ სათამაშოდ სხვა ქვეყანაში წავიდეს. თინეიჯერებმა ჯერ სამშობლოში უნდა დააგროვონ გამოცდილება"*, - აცხადებს კარლოს ალბერტო. ნამდვილად ვერ ვიწინასწარმეტყველებთ, ვინ დაეთანხმება ამ პათეტიკას და ვინ - არა. ზოგადად ძნელია ამ თემაზე კამათი. არადა ყველაფერი ნათელია, ბოლო წლებში სერ **ალექს ფერგიუსონმა** ბრაზილიიდან რამდენიმე სუპერტალანტი წაიყვანა და მათ თანდათან ამზადებს ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებად. ლაპარაკია **რაფაელ და ფაბიო და სილვებზე**, ასევე **როდრიგო პოსებონზე**. არ არის გამორიცხული, რამდენიმე წელიწადში სწორედ ამ ფეხბურთელებმა განსაზღვრონ „მანჩესტერ იუნაიტედის" სახე. თუმცა ჩვენ ნამდვილად არ გვესმის რა ზარალი მიადგება ამით ბრაზილიურ ფეხბურთს. ისევ სეუ კარლოსს მოვუსმინოთ: *„ფიფამ ამის წინააღმდეგ რამე ქმედითი ნაბიჯი უნდა გადადგას. ბოლოს და ბოლოს, სწორედ მათი მოვალეობაა, გადაარჩინონ ფეხბური. საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, ჩვენებურ კლუბებს შესძლებოდათ საკუთარი აღზრდილების შენარჩუნება, მაგრამ... დარწმუნებული ვარ, აუცილებელია ასაკობრივი ცენზის შემოღება 20 ან 21 წლის ასაკამდე. დიახ, ამ დრომდე ფეხბურთელებმა სამშობლოში უნდა ითამაშონ"*.



არის თუ არა რაფაელი მანჩესტერ იუნაიტედის ძალადობის მსხვერპლი?

მედალს ორი მხარე აქვს: ღარიბ ბრაზილიურ კლუბებს ნამდვილად არ შეუძლიათ ახალგაზრდა ფეხბურთელებს პროფესიული ზრდისთვის ღირსეული პირობები შეუქმნან. ამ ქვეყანაში მხოლოდ „კორინთიანსი", „ფლამენგო" და კიდევ ერთი-ორი შედარებით შეძლებული კლუბი ამინდს ვერ შექმნის. სწორედ ამიტომ, ბევრი ფეხბურთელი ელემენტარული ღირსეული საცხოვრებელი პირობების ძებნაში გარდა ფეხბურთისა, იძულებული ხდება, სხვა სამუშაოც ეძებოს, რაც, რასაკვირველია, მათ ზრდაზე უარყოფით გავლენას ახდენს. კი, მაგრამ რა უფლებით უნდა აუკრძალო ახალგაზრდა ფეხბურთელს ევროპაში სათამაშოდ წასვლა, როცა თავად ვერ სთავაზობ ღირსეულ პირობებს? განა მეტი ხეირი ექნება, სამშობლოში რომ დარჩეს და თავისი საქმე აკეთოს? განა ადვილია, დავუშვათ, „მანჩესტერ იუნაიტედის", „არსენალის" ან თუნდაც „აიაქსის" მიერ შეთავაზებულ კომფორტულ ცხოვრებაზე უარის თქმა? გაუგებარია კარლოსს ალბერტოს პოზიცია ბრაზილიური ფეხბურთისთვის მიყენებულ უზარმაზარ ზარალზეც. არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, რომ ევროპულმა კლუბებმა ამ ქვეყნის ნაკრებს უამრავი ვარსკვლავი აღუზარდეს და რომ არა ისინი, შეიძლებოდა, ბევრი ფეხბურთელი სამშობლოშივე ჩარჩენილიყო და მაღალ დონეზე ვერასოდეს ეთამაშა.

სავარაუდო ტრანსფერი

# ლივერპულიდან მადრიდში...

მადრიდის „რეალმა" „ლივერპულის" ნახევარმცველის, **ჩაბი ალონსოს** შეძენა გადაწყვიტა და საამისოდ ძალასა და ღონეს არ იშურებს. პარადოქსია, მაგრამ **ფლორენტინო პერესის** მოურიდებლობას ზედა ზღვარი არ უჩანს. მან ინგლისელებს 20 მილიონი გირვანქა შესთავაზა, რაზეც **რაფა ბენიტესმა** ღირსეული პასუხი გასცა: ალონსო არ იყიდება! პერესს ახალმა იდეამ შეულიტინა: ისევ ოცი მილიონი და 23 წლის თავდამსხმელი **ალვარო ნეგრედო**. ეს უკანასკნელი განათხოვრებით „ალმერიაში" თამაშობდა, სეზონის დასრულების შემდეგ კი განაცხადა, სამეფო კლუბში მე-5 ან მე-6 თავდამსხმელად დაბრუნებას არ ვაპირებო. ჰოდა, პერესს მისი გასაღება სჭირდება. რაფას რეაქციამ არ დაახანა: ალონსო არც ამ შემთხვევაში გაიყიდება! პერესს კი სხვების პოზიცია ნაკლებად აინტერესებს, პრეზიდენტს ფეხბურთელის ყიდვა უნდა. სიმართლე ითქვას, სწორედ მისმა სიჯიუტემ გადაიყვანა „სანტიაგო ბერნაბეუზე" **ზინედინ ზიდანი** და **ლუიშ ფიგუ**. „რეალის" ბოლო შეთავაზება ძალზე მომხიბლავია, თავად კი ფიქრობს, რომ ეს ის წინადადებაა, რომელზე უარის თქმაც არ შეიძლება.

ნეგრედო „რეალის" აკადემიის აღზრდილია. ის 12 მილიონ ფუნტად არის შეფასებული, მაგრამ სამეფო კლუბს „ალმერიასთან" გაფორმებულ კონტრაქტში უწერია, რომ ფეხბურთელის გამოსყიდვა 4,4 მილიონად შეუძლია. პერესმა იცის ბიზნესის წარმოება და ისიც კარგად უწყის, რომ ბენიტესს რამდენიმე თვის წინ ფეხბურთელის შეძენა სურდა. მას შეუძლია ისარგებლოს კონტრაქტის პირობით, ფეხბურთელი გამოისყიდოს და მერსისაიდელებს სრულიად უფასოდ, ასე ვთქვათ, „ალონსოს ხურდაში" დაუთმოს. თავად ალვარო რამდენიმე თვის წინ აღფრთოვანებული აცხადებდა, **ფერნანდო ტორესთან** ერთად თამაში ნებისმიერი ესპანელის ოცნებას წარმოადგენს და რა გასაკვირია, თუკი „ლივერპულში" თამაშის პერსპექტივით ერთობ აღფრთოვანებული ვარო.

რაფა ბენიტესს სერიოზულად დაფიქრება მართებს, რადგან მისი საზაფხულო სატრანსფერო ბიუჯეტი საკმაოდ შეზღუდულია. ამ ზაფხულს „ლივერპულში" ნამდვილი ვარსკვლავების გამოჩენას არც უნდა ველოდეთ. მაგალითად ვალენსიელი **დავიდ სილვას** ტრანსფერზე გულშემატკივარმა ხელი უკვე ჩაიქნია. მის ნაცვლად „ენფილდზე" შეიძლება გამოჩნდნენ პარისენჟერმენელი **სტეფან სესინიონი** ან პორტსმუთელი **გლენ ჯონსონი**. მერსისაიდელთა ფინანსურმა „შეჭირვებამ" „ასტონ ვილას" კაპიტანი **გარეთ ბერი** „მანჩესტერ სიტის" გზას გაუყენა. არადა, სწორედ ბერი იყო იმის მიზეზი, რომ ალონსოსა და ბენიტესს შორის შარშან ზაფხულს დიდი უთანხმოება მოხდა. ფეხბურთელმა კინაღამ „იუვენტუსში" ამოყო თავი. როგორ განვითარდება მოვლენები, ამის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან ბენიტესის თქმით, არც ერთი ის ფეხბურთელი, რომელსაც „ლივერპულისთვის" სარგებლის მოტანა შეუძლია, „ენფილდს" არ დატოვებს, ხოლო ალონსო რომ ხსენებულ კატეგორიაში გადის, ვგონებ, ეჭვი არავის ეპარება. *„სიტუაცია მარტივია, - განაცხადა ბენიტესმა. - არ ვაპირებთ გუნდის წამყვანი ფეხბურთელების გაყიდვას. პირველ რიგში, ეს ჩაბის ეხება, რადგან მასზე ამხელა ხმაურია ამტყდარი. ფეხბურთელმა შესანიშნავი სეზონი ჩაატარა და დარწმუნებული ვარ, მომავალშიც დიდად გამოგვადგება. ჩვენ არ გვაქვს და არც გვექნება არანაირი შეთანხმება „რეალთან" ალონსოს ტრანსფერთან დაკავშირებით"*.

ფიცი გვწამს, როგორ არა, მაგრამ რას მოუხერხებს ის საზაფხულო ტრანსფერებს? თანაც, ფლორენტინო პერესი ის კაცი არ არის, ასე იოლად მოაწეროს ხელი კაპიტულაციას. პერესმა იცის, „რეალისთვის" დიდების დაბრუნებისთვის მისმა გარემოცვამ წელს ლამის ყველაფერზე უნდა მოაწეროს ხელი. ახალი „გალაქტიკოების" ეპოქა „ბერნაბეუზე" სხვანაირად არ დადგება.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**



ჩაბი ალონსოს ტრანსფერი დიდი აურზაურის მიზეზი გახდა

ბაიერნი




# ბეკენბაუერი რიბერის: ან წადი, ან დარჩი!

როგორც ჩანს, **ფრანკ რიბერიმ** უკვე მიიღო გადაწყვეტილება - „ბაიერნის" წინააღმდეგ და „რეალის" სასარგებლოდ. ყოველ შემთხვევაში, მადრიდელთა პრეზიდენტმა **ფლორენტინო პერესმა** რამდენიმე დღის წინ განაცხადა, „ჩემს მეგობარ" **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** და **ული ჰიონესს** რიბერის შესახებ უნდა დაველაპარაკო, ამ ფეხბურთელის გადმობირება ძალიან მინდაო. ფაქტია, რომ რეკორდმაისტერის ფრანგი ნახევარმცველი არც იმას ამბობს, რომ „რეალში" გადასვლა უნდა, მაგრამ არც იმას, რომ „ბაიერნში" რჩება. ერთი სიტყვით, რიბერი „რეალში" გადასვლის ვარიანტს განიხილავს და თუ ჩვენს გერმანელ კოლეგებს ვენდობით, გადაწყვეტილებაც მიღებული აქვს - როგორც ჩანს, „რეალის" სასარგებლოდ.

რიბერისა და „რეალის" ამბავს გუშინ ბავარიელთა პრეზიდენტი **ფრანც ბეკენბაუერი** გამოეხმაურა. *„მთელ ამ ორომტრიალში მე მხოლოდ ორ გამოსავალს ვხედავ და არა მგონია, ვინმე მეტ ან ნაკლებ გამოსავალს ხედავდეს. ფაქტი ისაა, რომ რიბერიმ ან „ბაიერნთან" უნდა გააგრძელოს კონტრაქტი, რითაც ყველა მითქმა-მოთქმას ბოლოს მოუღებს, ანაც უნდა თქვას, რომ წასვლა უნდა და გავყიდით. მე, რა თქმა უნდა, იმედი მაქვს, რომ „ბაიერნთან" ახალ ხელშეკრულებას გააფორმებს და ჩვენთან დარჩება. თუ რიბერის წასვლა უნდა, მისი შეჩერება გაგვიჭირდება და ძალიან სამწუხარო იქნება, თუ გვეტყვის, რომ მიდის. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ან ერთი უნდა თქვას, ან მეორე! მახსოვს უამრავი შემთხვევა, როცა „შეუცვლელი ფიგურები" გუნდებიდან მიდიოდნენ, მაგრამ ის გუნდები ამით არსებობას არ ამთავრებდნენ".*

რამდენიმე დღის წინ „ბაიერნის" მენეჯერმა ჰიონესმა თქვა, „მანჩესტერიდან" ან „ჩელსიდან" რომ დამირეკონ და რიბერის სანაცვლოდ 50 მილიონი ევრო შემომთავაზონ, ყურმილს მაშინვე დავკიდებო. ახლა კი ულიც ამბობს: *„თუკი პერესს რიბერის თაობაზე ლაპარაკი სურს, დარწმუნებული ვარ, თვითმფრინავში ჩაჯდება და მიუნხენში ჩამოვა."*

ფაქტია, რომ თუ ტრანსფერი შედგება, ეს იქნება ყველა დროის ყველაზე ძვირად ღირებული გარიგება ბუნდესლიგის ისტორიაში. ცნობილია, რომ მიუნხენელები ფრანგი დრიბლიორის სანაცვლოდ მინიმუმ 60 მილიონს და დამატებით, სავარაუდოდ, ერთ ფეხბურთელს მოითხოვენ - ან **რაფაელ ვან დერ ვაარტს**, ან **ვესლი სნეიდერს** ანდაც **არიენ რობენს**. ფაქტია, რომ პერესმა უნდა იჩქაროს, რადგან ჰიონესი ოთხ დღეში შვებულებაში გადის...

ამასობაში, გერმანული პრესის მტკიცებით, „ბაიერნმა" კიდევ ერთი ახალწვეული გაიფორმა. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, ბავარიელები „ტვენტეს" მარცხენა მცველ **ედსონ ბრააფჰაიდს** ყიდულობენ. მეტიც, „ბილდისა" და „კიკერის" ცნობით, „ბაიერნის" ხელმძღვანელები ფეხბურთელსაც შეუთანხმდნენ და მის კლუბსაც. ბრააფჰაიდს ცენტრალური მცველის პოზიციაზეც შეუძლია თამაში. „ზუდდოიჩე ცაითუნგის" ინფორმაციით, „ბაიერნმა" „ტვენტეს" 2 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს. ახლა 26 წლის მცველი ჰოლანდიის ნაკრებშია გამოძახებული, რის გამოც, მისგან საბოლოო თანხმობას ბავარიელები ოთხშაბათს ელიან.

**გოტფრიდ ლენცი**

ჰერტა

# იმპიჩმენტი დიტერ ჰიონესს!

## ბერლინული კლუბის მენეჯერი მიხაელ პრეეტცი გახდა

ბერლინის „ჰერტას" ხელმძღვანელებს შორის თვეების განმავლობაში განხეთქილება მძვინვარებდა, რომელიც გუშინ მეტად საინტერესო გადაწყვეტილებით დასრულდა: „ჰერტას" გენერალური მენეჯერი **დიტერ ჰიონესი** 30 ივნისს პოსტს დატოვებს! მას ფაქტობრივად იმპიჩმენტი მოუწყვეს, კერძოდ, სამეთვალყურეო საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ჰიონესი იძულებულია „ჰერტა" დატოვოს - მიუხედავად იმისა, რომ წარსულში ცნობილ ცენტრალურ ფორვარდს ბერლინულ კლუბთან კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს. პრეზიდენტ **ვერნერ გეგენბაუერის** თქმით, ჰიონესს გენერალური მენეჯერის პოსტზე მისი ასისტენტი, „ჰერტას" ყოფილი და ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი **მიხაელ პრეეტცი** შეცვლის. პრეეტცი მენეჯმენტის სპორტულ მხარეს მიხედავს, ფინანსურს კი **ინგო შილერი** ჩაიბარებს. ამრიგად, „ჰერტაში" დიტერ ჰიონესის 13-წლიანი ერა დასრულებულია!

თუმცა ფაქტია, რომ ბოლო თვეებში მას კლუბის პრეზიდენტთან და მთავარ მწვრთნელ **ლუსიენ ფავრთან** ძალიან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. მწვრთნელი და პრეზიდენტი მას მუდმივად უპირისპირდებოდნენ, დიტერი კი მიიჩნევდა, რომ მის წინააღმდეგ კამპანია საგანგებოდ გორდებოდა. „ბილდი" ირწმუნება, რომ დიტერ ჰიონესისთვის იმპიჩმენტის მოწყობას პირველ რიგში მწვრთნელი ფავრი ითხოვდა. დიტერს კი ორი არჩევანი ჰქონდა: ან თვითონ უნდა გადამდგარიყო და გუნდისგან კომპენსაციის სახით 1.2 მილიონი ევრო მიეღო, ანაც პრეზიდიუმი გადააყენებდა და მხოლოდ 700 000 ევროს მისცემდნენ. ცხადია, დიტერმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, თან ასე სახელიც არ გაიფუჭა და ფულიც მეტი მიიღო.

**გოტფრიდ ლენცი**

ვოლფსბურგი. მოსალოდნელი ტრანსფერები

# ჯეკო მილანს ელაპარაკება

## ჰამბურგი პეტრიჩს არ უშვებს, მგლები ტონიზე დაფიქრდნენ

გერმანული ტაბლოიდი „ბილდი" ირწმუნება, რომ „ვოლფსბურგის" ბოსნიელი თავდამსხმელი **ედინ ჯეკო** „მილანის" სასურველ ფეხბურთელთა სიაში პირველია და რომ 23 წლის თავდამსხმელის აგენტი „როსონერის" ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „მილანის" ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** გასულ უქმეებზე სარაევოში იმყოფებოდა, სადაც ჯეკოს მრჩეველ **ირფან რაჯეპაგიჩს** შეხვდა და მასთან პირველი მოლაპარაკებები გამართა. „ბილდის" ცნობით, ჯეკოს გადაბირებით მილანის „ინტერიცაა" დაინტერესებული. დაუდასტურებელი ინფორმაციით, „მილანი" მზადაა, „ვოლფსბურგს" ჯეკოს სანაცვლოდ 30 მილიონი ევრო გადაუხადოს. შეგახსენებთ, რომ ბოსნიელ ფორვარდს „მგლებთან" კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს.

უკვე ვიუწყებოდით, რომ „ვოლფსბურგის" შეფები „ჰამბურგის" ფორვარდ **მლადენ პეტრიჩით** იყვნენ დაინტერესებულები, მაგრამ ჩრდილოგერმანულმა კლუბმა, გერმანიის ჩემპიონს ცივი უარი სტკიცა - „ჰამბურგის" ბოსებმა ვოლფსბურგელ კოლეგებს შეუთვალეს, რომ 28 წლის პეტრიჩი არ იყიდება. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ვოლფსბურგი" მზად იყო, პეტრიჩში 9 მილიონი ევრო გადაეხადა. ამასობაში, „კიკერი" ირწმუნება, რომ „ჰამბურგიდან" უარის მიღების შემდეგ, „ვოლფსბურგის" ხელმძღვანელები სერიოზულად დაფიქრდნენ „ბაიერნისა" და იტალიის ნაკრების თავდამსხმელის, **ლუკა ტონის** შეძენაზე. როგორც იცით, რეკორდმაისტერი მზადაა, იტალიელ გოლეადორს შეელიოს, რადგან **მარიო გომესისა** და **ივიცა ოლიჩის** გადაბირების შემდეგ, მიუნხენური კლუბის თავდასხმაში უდიდესი კონკურენციაა.


ედინ ჯეკომ ამ სეზონში 26 გოლი გაიტანა

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

### დროგბას ანჩელოტისთან შეხვედრა სურს

**დიდიე დროგბას** „ჩელსიმ" ახალი კონტრაქტი ოფიციალურად შესთავაზა. ფეხბურთელი აცხადებს, რომ იქამდე, ვიდრე კონტრაქტს ხელს მოაწერს, **კარლო ანჩელოტისთან** შეხვედრა სურს. *„პრესაში წარმოუდგენლად ბევრ სისულელეს ვკითხულობ. აქედან გამომდინარე, ახალ მთავარ მწვრთნელთან პირისპირ შეხვედრა მინდა. პირადად ჩემთვის ეს აუცილებელია. კლუბთან მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებს, ჩემთვის არავის უთქვამს, დიდიე, შეგიძლია, ახალი თავშესაფარი ეძებოო, მაგრამ მეორე მხრივ, რამდენიმე გრანდისგან სერიოზული წინადადება მაქვს. ამის მიუხედავად ვადასტურებ, ჩემს მომავალს მხოლოდ მას შემდეგ გადავწყვეტ, რაც მისტერ ანჩელოტის შევხვდები"*, - განუცხადა ივუარელმა ჟურნალ „ფიფლს".

### ტურე და რიჩარდსი

„არსენალის" ცენტრალური მცველი **კოლო ტურე** შეიძლება უახლოეს დღეებში „მანჩესტერ სიტიში" გადავიდეს და „ემირიტსზე" მის ნაცვლად **მიკა რიჩარდსი** გადაბარგდეს. კლუბებს შორის მოლაპარაკება მიდის, რათა ფეხბურთელები ერთმანეთში გაცვალონ, - აღნიშნულ ინფორმაციას ინგლისური საინფორმაციო სააგენტოები ავრცელებენ. შესაძლოა, **არსენ ვენგერმა** უახლოეს დღეებში საზოგადოებას წარუდგინოს კიდევ ერთი ახალწვეული, „აიაქსის" კაპიტანი, 23 წლის ბელგიელი ცენტრალური მცველი **ტომას ვერმაელენი**. თუკი ეს ტრანსფერი საბოლოოდ შედგა, რისი ალბათობაც მაღალია, მაშინ ვენგერს კოლო ტურესთან შელევა არ გაუჭირდება. თავად ბელგიელი აცხადებს, რომ ეს მის კარიერაში სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. ფეხბურთელი ხაზს უსვამს, რომ მოხიბლულია იმ პირობებით, რასაც ლონდონელები სთავაზობენ. აღნიშნული კომენტარი ფეხბურთელმა „ალგემეენ დანგბლადის" ფურცლებზე გააკეთა.

„დეილი მეილი" წერს, რომ „სიტიში" მიკა რიჩარდსის პროგრესი შეჩერდა და მას ახალი გამოწვევა სჭირდება, რათა ფეხბურთელმა ინგლისის ნაკრებში დაბრუნება მოახერხოს.

### სტოკს დანი აინტერესებს

„მანჩესტერ ივნინგ ნიუსის" ცნობით, „სტოკ სიტის" მთავარმა მწვრთნელმა **ტონი პულისმა** „მანჩესტერ სიტიდან" ირლანდიელი **რიჩარდ დანის** შეძენა მოისურვა. ფეხბურთელმა „ქალაქელებთან" ახალ, 4-წლიან კონტრაქტს გასული წლის აგვისტოში მოაწერა ხელი, თუმცა მისი გაყიდვა მაინც არ გამოირიცხება. მით უფრო, რომ **მარკ ჰიუზი** ერთბაშად რამდენიმე ცენტრალური მცველით არის დაინტერესებული. რიჩარდ დანის შეძენა „ტოტენჰემსაც" სურს. ფეხბურთელის ფასი 5 მილიონი გირვანქაა. დანი „სიტის" შემადგენლობაში 2000 წლიდან ასპარეზობს. ამჟამინდელ შემადგენლობაში ის ყველაზე „ძველი" ფეხბურთელია.

### ლარსონი მალტასთან ვერ ითამაშებს

შვედეთის ნაკრების თავდამსხმელმა **ჰენრიკ ლარსონმა** დატოვა ნაკრების შეკრება და მშობლიურ ქალაქ ჰელსინგბორგში დაბრუნდა. როგორც შვედური წყაროები იტყობინებიან, ვარსკვლავს ახლო ნათესავი გარდაეცვალა. ვეტერანს მალტის ნაკრებთან შესარჩევი ეტაპის შეხვედრა გაუცდება.

### შევჩენკო და ტიმოშჩუკი ლაზარეთში

უკრაინას ხორვატიის ნაკრებთან მიღწეული ფრე ძვირად დაუჯდა. ალექსეი მიხაილიჩენკოს გუნდს **ანდრეი შევჩენკო** და **ანატოლი ტიმოშჩუკი** გამოაკლდნენ. უკრაინელთა დამრიგებელმა ორივე ფეხბურთელი სწორედ ტრავმების გამო შეცვალა. „მილანის" თავდამსხმელის დაზიანება სერიოზულია და ყაზახეთთან მისი ასპარეზობა გამორიცხულია. შევა დაწვრილებით სამედიცინო გამოკვლევას კიევში გაივლის. რაც შეეხება აწ უკვე ბაიერნელ ტიმოშჩუკს, მისი მდგომარეობა შედარებით მსუბუქია და თუკი თამაში შეძლო, 10 ივნისს ეროვნულ გუნდს ალბათ ის უკაპიტნებს.

**შალვა ბიბილაშვილი**



რეალი

# კაკა 99 პროცენტით მადრიდელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამეფო კლუბის ექიმმა ბრაზილიელს სან პაულუში სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარა

მადრიდის „რეალის" ხელმძღვანელობას ბრაზილიაში კლუბის ექიმები რა შემთხვევაში შეიძლებოდა გაეშვა? რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ **კაკასთვის** სამედიცინო შემოწმება ჩაეტარებინათ და ხელმძღვანელობისთვის ფეხბურთელის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით დასკვნა გაეგზავნათ. დიახ, ბატონებო, შეგვიძლია, ხმამაღლა განვაცხადოთ, რომ ბრაზილიელი ვარსკვლავი 99 პროცენტით მადრიდელია. გამორიცხულია, საქმე ბოლომდე არ იყოს მისული და **ფლორენტინო პერესს** ოკეანის გაღმა ექიმთა ჯგუფი და გუნდის ადვოკატი მიევლინა. ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ „მილანთან" შეთანხმება მიღწეულია და ტრანსფერის გასაჩარხად რამდენიმე შედარებით უმნიშვნელო დეტალის გარკვევაღაა საჭირო.

ამ დეტალების გარკვევამდე, ესპანელებმა დრო მოიგეს. ფლორენტინოს პირადი დავალებით ბრაზილიაში **დოქტორი ერნანდესი** და მის დაქვემდებარებაში მყოფი ექიმთა სამკაციანი ჯგუფი გაემგზავრა. ესპანელმა მედიკოსებმა კაკა „იტორკის" კარდიოლოგიურ კლინიკაში წინასწარ შეთანხმებულ დროს წაიყვანეს და გულზე საფუძვლიანი გამოკვლევა ჩაუტარეს. საინფორმაციო სააგენტოები წერენ, რომ კაკას, მადრიდელებისდა სასიხარულოდ სამხრეთამერიკელს არანაირი პრობლემა არ აღმოაჩნდა. კარდიოლოგების დასკვნით კაკა გულის მხრივ აბსოლუტურად ჯანმრთელია და არანაირი პრობლემა არ ემუქრება.

ამით გახარებულმა დოქტორმა ფერნანდესმა ის „ჰოსპიტალ ესპერანსა დე რესიფეში" საერთო გამოკვლევის ჩასატარებლად წაიყვანა. აღნიშნულ საავადმყოფოში მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავს სრულფასოვანი კომპიუტერული გამოკვლევა ჩაუტარეს. ბუნებრივია, განსაკუთრებული ყურადღება მისი მუხლების მდგომარეობას დაეთმო. აღმოჩნდა, რომ ფეხბურთელებისთვის ყველაზე „სუსტი წერტილი", ჯვარედინი მყესები არაჩვეულებრივ მდგომარეობაშია. სრული სურათის წარმოსადგენად ბრაზილიელს მუცლის ღრუს შინაგანი ორგანოების გამოკვლევაც ჩაუტარეს. კაკას ამ მხრივაც არანაირი გართულება არ აღენიშნება. წინასწარვე ცნობილი იყო, რომ ესპანეთის დროით გვიან საღამოს, სამედიცინო გამოკვლევის შედეგები ხელმისაწვდომი იქნებოდა. ამიტომ, შეთანხმებისამებრ დოქტორ ხუან კარლოს ერნანდესს „რადიო ონდა სეროს" რედაქციიდან დაურეკეს და უახლესი ინფორმაციის მოსასმენად პირდაპირ ეთერში ჩართეს. აი, რა განაცხადა სამეფო კლუბის ექიმმა:

*„ავიაკომპანია „იბერიის" რეისით მადრიდიდან სან პაულუმდე ზუსტად ცხრა საათი ვიმგზავრეთ. გზაში ვლოცულობდი, ნეტავ კაკას არანაირი პრობლემა არ აღმოაჩნდეს-მეთქი. ამხელა გზაზე გამგზავრება ხუმრობა ხომ არ არის? ბრაზილიელს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები რომ აღმოჩენოდა, მთელი გარჯა წყალში ჩაიყრებოდა. ახლა სიხარულით შემიძლია განვაცხადო, რომ კაკა აბსოლუტურად ჯანმრთელია და მის ტრანსფერს ხელს ვეღარაფერი შეუშლის. ჩვენზე რაც იყო დამოკიდებული, ყველაფერი გავაკეთეთ. ჯერი ახლა კლუბის ხელმძღვანელებზეა. დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი კარგად იქნება".*



ბრაზილიაში, სამედიცინო შემოწმების წინ

აღსანიშნავია, რომ სამედიცინო გამოკვლევის მსვლელობისას მადრიდელ ექიმს ბრაზილიის ეროვნული გუნდის მთავარი ექიმი **ჟოზე ლუიშ რუნკო** ახლდა. წუხელ ესპანურმა საინფორმაციო საშუალებებმა მისი განცხადებაც გაავრცელეს:

*„მადრიდის „რეალის" ექიმი ისე მივიღე, როგორც საკუთარი სტუმარი. ექიმებს კოლეგიალობის განსაკუთრებული გრძნობა გვაქვს. სენიორ ერნანდესს მაქსიმალურად შევუწყვეთ ხელი. კაკას წამითაც არ მოვშორებივარ. დარწმუნებული ვიყავი, ჩვენი ნაკრების ფეხბურთელი აბსოლუტურად ჯანმრთელი გახლდათ, მაგრამ მშვენივრად ვიცი, რომ ტრანსფერებს მკაცრად განსაზღვრული პროცედურა აქვს. ძნელია, მილიონები ისე გადაიხადო, ფეხბურთელის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გაარკვიო. კაკას ჯანმრთელობით ყველა კმაყოფილი დარჩა. მას არანაირი პრობლემა არ აქვს. ჩვენი ვარსკვლავი ახლა მადრიდის „რეალის" ოფიციალურ განცხადებას ელოდება. თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ კაკა „სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაშზე ოცნებობს".*

ბარსელონა

# თვითკმაყოფილება აკრძალულია

## კატალონიელებს მორიგი ტიტულების მოპოვებაში ახალწვეულები დაეხმარებიან

სეზონის დასრულებისა და ტრიუმფალური გამარჯვებების მიუხედავად, „ბარსელონას" ხელმძღვანელობას დასასვენებლად ერთი დღეც არ აქვს. **ჟოან ლაპორტა და ჩიკი ბეგირისტაინი** ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ კატალონიური გრანდი მომავალ სეზონსაც მაქსიმალურად მომზადებული შეხვდეს და ტიტულების მოხვეჭა შეუქცევად პროცესად იქცეს. ამისთვის კი, რა თქმა უნდა, შემადგენლობის გაძლიერებაა საჭიროა. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, იმ გუნდის შემადგენლობას რომელმაც ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა, რაღა გაძლიერება სჭირდება? მაგრამ ფეხბურთი ერთი ადგილის ტკეპნას ვერ ეგუება. შემადგენლობა ყოველწლიურად უნდა გადახალისდეს. ზოგს უფრო მეტი ფეხბურთელის შეცვლა უწევს, ზოგს ნაკლების. სავარაუდოა, რომ კატალონიელთა შემადგენლობაში რევოლუცია არ მოხდება, თუმცა მსოფლიო გრანდის პრეზიდენტი ადასტურებს, რომ „კამპ ნოუზე" ახალწვეულები აუცილებლად გამოჩნდებიან: *„წლევანდელი ტრიუმფალური სეზონით ყველამ ძალიან გავიხარეთ. მართლაც ისტორიულ წარმატებას მივაღწიეთ. ერთ სეზონში სამივე ტიტული მოვიპოვეთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გაისად მოტივაციას ვერ ვიპოვით და ახალ სეზონს ინერტულად ჩავატარებთ. არავითარ შემთხვევაში, წლევანდელი შედეგის გამეორება კიდევ უფრო დიდი წარმატება იქნება. ჩვენ სამომავლო საკითხებზე მუშაობას მთელი სერიოზულობით შევუდექით. დირექტორატისა და სამწვრთნელო შტაბის საერთო შეხვედრაზე გადაწყდა, რომ „ბარსელონა" სამ-ოთხ ფეხბურთელს დაიმატებს. საუბარია, მსოფლიო დონის მოთამაშეებზე. „კამპ ნოუზე" მხოლოდ და მხოლოდ საუკეთესოთა შორის საუკეთესოები უნდა თამაშობდნენ. ამ ეტაპზე გვარებს ვერ დაგისახელებთ, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩვენთვის სასურველი ტრანსფერების გაჩარხვის შემთხვევაში, „ბარსელონა" კიდევ უფრო გაძლიერდება. ჩვენი კლუბის დირექტორატს სატრანსფერო მოლაპარაკებების წარმოების უდიდესი გამოცდილება აქვს. ეს ცოდნა ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს. წლევანდელი წარმატების შემდეგ ვარსკვლავებს „ბარსელონაში" გადმოსვლა კიდევ უფრო მეტად მოუნდებათ. უარს აქამდეც არავინ გვეუბნებოდა, მაგრამ დასამალი არ არის, რომ რომაული ფინალის შემდეგ „ბარსა" კიდევ უფრო მიმზიდველი კლუბი გახდა. ერთი სიტყვით, ახალ სეზონს ახალწვეულებით დავიწყებთ და უკვე დაპყრობილ მწვერვალებს ხელახლა დავიპყრობთ."*



ბარსამ, შეიძლება, ეტოო დაკარგოს

### ბარსა ეტოოს მაინც კარგავს

ახალწვეულები, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ კატალონიელებმა დღევანდელ შემადგენლობაში არსებული მიმდინარე საკითხებიც დროულად უნდა გადაწყვიტონ. დღეს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა **სამუელ ეტოოს** მომავალია. კამერუნელმა ფორვარდმა გასულ სეზონში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უდიდესი ფორვარდი და სანიმუშო პროფესიონალია. პრიმერა დივიზიონში მან თანაგუნდელთაგან ყველაზე მეტი ბურთი შეაგდო. ჩემპიონთა ლიგის ფინალში კი **ვან დერ სარს** უმნიშვნელოვანესი გოლი გაუტანა. ამ დიდი მიღწევების მიუხედავად, ვერავინ იტყვის, რომ სამუს „ბარსელონაში" დარჩენა გარანტირებული აქვს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ძალიან ჩახლართულ და რთულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ეტოოს „ბარსასთან" გაფორმებული ხელშეკრულების ვადა 2010 წლის 30 ივნისს ეწურება. აფრიკელ სუპერფორვარდს „კამპ ნოუდან" აბარგების შესახებ არაერთხელ უსაუბრია, მაგრამ ახლა უფრო თავშეკავებულად ლაპარაკობს და „ბარსაში" დარჩენის სურვილს გამოთქვამს:

*„ჩემს გუნდთან ერთად უდიდეს წარმატებებს მივაღწიე. წლევანდელი სეზონი, რა თქმა უნდა, არასოდეს არავის დაგვავიწყდება. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამ დიად წარმატებაში ჩემი წვლილიც შევიტანე. მახსოვს, 2008 წლის გაზაფხულზე ვთქვი, თუ მომავალ სეზონში ტიტულებს ვერ მოვიპოვებთ, სხვა გუნდში გადავალთ მეთქი. როცა ამაზე ვსაუბრობდი, რა თქმა უნდა, ვერ ვიფიქრებდი, რომ ერთბაშად სამ ჯილდოს დავეუფლებოდით, მაგრამ ჩვენ ყველაფერი მოვიგეთ, რისი მოგებაც შეიძლებოდა. ამის გათვალისწინებით, „კამპ ნოუდან" აბარგების სურვილი, რა თქმა უნდა, აღარ მაქვს. კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე დიდი სიამოვნებით დავრჩებოდი, თუმცა ეს მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებული. თუ რომელიმე კლუბის გიჟი პრეზიდენტი გამოჩნდება და 150 მილიონს გადაიხდის, რა თქმა უნდა, წავალ. ამ შემთხვევაში, „ბარსაც" მოგებული დარჩება. წასვლა იმ შემთხვევაშიც მომიწევს, თუ ხელმძღვანელობა უფრო იაფად ტრანსფერსაც დათანხმდება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ პირადად მე წასვლა არ მინდა".*

ჟოან ლაპორტამ გუშინდელ პრესკონფერენციაზე ეტოოს საკითხზეც ისაუბრა და განაცხადა, მხოლოდ ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ეტოოს ხელშეკრულებას დაუფიქრებლად გავუხანგრძლივებდი და „ბარსელონაში" მრავალი წლით დავიტოვებდიო. ერთი შეხედვით, ლაპორტა და სამუელი ერთსა და იმავე თემაზე ლაპარაკობენ და კამერუნელის დარჩენას ხელს ვერაფერს შეუშლის, მაგრამ საქმე ასე მარტივად ნამდვილად არ არის. პრობლემას ის ქმნის, რომ სამუსთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადა მაინც და მაინც ერთი წლის შემდეგ იწურება. ლაპორტა კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ტყუილად არ საუბრობს. ამ შემთხვევაში, პრეზიდენტს უხვგოლიანი ფორვარდის დატოვების შესაძლებლობა მიეცემა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ თანამშრომლობის გახანგრძლივებას თავად ეტოო არ თანხმდება. ის ამბობს, „კამპ ნოუზე" კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე დიდი სიამოვნებით დავრჩები, შემდეგ კი ვნახოთ, რა მოხდებაო.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ერთი წლის შემდეგ სამუელი თავისუფალი აგენტი გახდება და კატალონიას ისე დატოვებს, „ბარსა" ერთ ცენტსაც ვერ მიიღებს. ბუნებრივია, ლაპორტას მოვლენათა ამგვარი განვითარება არ აწყობს და იძულებულია, იმ ფორვარდის გასხვისებაზე იფიქროს, რომლის დაკარგვაც ცოცხალი თავით არ უნდა. თუ ეტოოს წელს გაყიდის, მის სანაცვლოდ კლუბის ბიუჯეტში მრავალ მილიონ ევროს შეიტანს, თუ არადა, ძვირად ღირებულ ვარსკვლავს უფასოდ შეელევა. სავარაუდოა, რომ სენიორ ჟოანი ეტოოს მენეჯერებთან მოლაპარაკებათა უკანასკნელ რაუნდს გამართავს და ფორვარდის დარჩენაზე დათანხმებას შეეცდება. და მაინც, თუ უარყოფით პასუხს მიიღებს, სამუს, აუცილებლად გაყიდიან.

### 40 მილიონი ევრო სამი ტიტულისთვის

პრესტიჟული ტიტულების მოპოვებით თავმოყვარე ფეხბურთელები პატივმოყვარეობასა და ამბიციას იკმაყოფილებენ. ფეხბურთის უპირველესი დანიშნულება სწორედ ეს არის, მაგრამ უმაღლესი დონის ფეხბურთმა რომ იარსებოს ძალიან დიდი ფულია საჭირო. ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალება კი ისევ და ისევ ტიტულების მოპოვებაა. კატალონიურ გრანდს წლევანდელმა ტრიუმფალურმა სეზონმა არა მარტო სახელი და დიდება, არამედ კოლოსალური თანხაც შესძინა. თავად განსაჯეთ, ერთბაშად სამ ტურნირში გამარჯვების გამო სპორტული ინვენტარის მწარმოებელმა კომპანია „ნაიკმა" „ბარსას" ანგარიშზე 40 მილიონი ევრო გადარიცხა. მოგეხსენებათ, „ნაიკი" ესპანური გრანდის სპონსორია და ეს პრემიალური თანხა კონტრაქტით გახლდათ გაწერილი. ჩიკი ბეგირისტაინი 40 მილიონმა ევრომ უსაზღვროდ გაახარა:

*„იცით ეს თანხა ჩვენთვის რას ნიშნავს? რა თქმა უნდა, „ბარსელონას" კიდევ უფრო გაძლიერებასა და განვითარებას. 40 მილიონი ევრო არაერთი პროექტის განხორციელების შესაძლებლობას მოგვცემს. მსოფლიოში გამეფებული ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, „ნაიკმა" პირობა პირნათლად შეასრულა. თუ გაისადაც ანალოგიურ შედეგს მივაღწევთ, ახალი ხელშეკრულების თანახმად 63 მილიონ ევროს მივიღებთ. ვფიქრობ, ფეხბურთელებისთვის ეს დამატებითი მოტივაცია გახდება, რადგან თითოეული გამარჯვებისთვის ისინი სოლიდურ პრემიებს იღებენ. ბევრი რომ არ გავაგრძელო, „ბარსა" არაჩვეულებრივ მდგომარეობაშია. ეჭვი არ მეპარება, რომ ერთი წლის შემდეგ კიდევ უფრო მდიდარი და წარმატებული ვიქნებით".*

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

(გაგრძელება)

## საპატიო ლეგიონის ორდენი და მეორე ოქროს ბურთი

საპატიო ლეგიონის ორდენს თვით საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, **ფრანსუა მიტერანისგან** ვიღებ! თავბრუ მეხვევა. ეს რაღაც განსაკუთრებული გრძნობაა...

1983-84 წლების სეზონმა სრულად დამაკმაყოფილა: თასების მფლობელთა თასის გამარჯვებული „იუვენტუსის" შემადგენლობაში, საფრანგეთის ნაკრების რიგებში ევროპის ჩემპიონი... ზეიმი კი ჯერ კიდევ გრძელდება. მე - ფრანგული ფეხბურთის განებივრებული ბიჭი მეორე „ოქროს ბურთს" ვიღებ და ყოველ შემთხვევაში ქაღალდზე მაინც ვუთანაბრდები **დი სტეფანოს, ბეკენბაუერს, კიგანსა** და **რუმენიგეს.** მაგრამ, როგორც ცნობილია, მადა ჭამაში მოდის და მთელი გულით მსურს მესამე ჯილდოს - მესამე „ოქროს ბურთის" მოპოვება. ამჯერადაც, ისევ და ისევ ქაღალდზე **იოჰან კრუიფის** გვერდით დავდგები, ამ „მფრინავი ჰოლანდიელის", რომელსაც ბუცებზეც უნდა ჰქონდეს ფრთები. გარდა ამისა, კრუიფისთვის რევანშის აღებაზეც ვოცნებობ. თავისთავად, მხოლოდ ქაღალდზე. ვერ ვივიწყებ იმ დღეს, როცა ბარსელონაში გამართულ ამხანაგურ მატჩში მე მის გვერდით ევროპის ნაკრების რიგებში ვთამაშობდი. კრუიფი თავისი საფეხბურთო ხელოვნების უმაღლეს დონეზე იდგა. მე მხოლოდ იმედისმომცემ ვარსკვლავად ვითვლებოდი. ცოტათი მოკრძალებით და პატივისცემის გამოხატვით, როგორიც ბავშვს აქვს ხოლმე თავისი იდეალის მიმართ, მას საკუთარი თავი წარვუდგინე. დღემდე მესმის მისი გულგრილი და „მშრალი" მისალმება: „სალამი"... ახლა ჩვენ ერთმანეთისგან ერთი „ოქროს ბურთი" გვყოფს. მე მას მოვიპოვებ. საქმე მხოლოდ ჯანმრთელობაშია...




თავბრუ მესხმის. სულ უფრო და უფრო მეტად. შობა ახლოვდება, სრულდება 1984 წელი. და საფრანგეთი საახალწლოდ ყველაზე ძვირფას საჩუქარს მიძღვნის: საპატიო ლეგიონის ორდენი. არ მჯეროდა, რომ ასეთი რამ შეიძლება მომხდარიყო. მე ვთვლიდი, რომ პრეზიდენტ მიტერანს არ სურდა ჩემი ამ ორდენით დაჯილდოება, რომ ამის მიზეზი შეიძლება „სენტ ეტიენის" „შავი სალაროს" საქმე ყოფილიყო. წესით, მე ეს ჯილდო **მიშელ იდალგოსთან** ერთად უნდა მიმელო. ასე უნდოდათ აღენიშნათ მისი შვიდწლიანი დაუღალავი და სასარგებლო სამსახური საფრანგეთის ნაკრების სათავეში, მაგრამ ასეც ვერაფერი ვერ მიიღო.

და აი, გასულ პარასკევს სააგენტო „ფრანს პრესმა" გამოაცხადა, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტის სახელით მე ვხდები საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი. 1984 წლის სეზონის ბრწყინვალე დასასრული, უნაკლოდ განვლილი დისტანციის შესანიშნავი ფინიში: იტალიის ჩემპიონი, თასების მფლობელთა თასის გამარჯვებული, ევროპის ჩემპიონი „სამფეროვანთა" რიგებში, იტალიის პირველობისა (20 გოლი) და ევროპის ჩემპიონატის (9 გოლი) საუკეთესო ბომბარდირი. მადლობა, ფეხბურთო! მადლობა, საფრანგეთო!

ეს წითელი ლენტი, რომელიც ჩემი პიჯაკის საყელოზეა მიმაგრებული, სრულად ახდენს საფრანგეთის ნაკრების რიგებში ჩემი ათწლიანი მძიმე შრომის კომპენსირებას. ათი წელი, რომელსაც ბევრი ეჭვი და იმედი ახლდა თან.

მაინც ვის უნდა მივუძღვნა ეს წითელი ლენტი? იმას, ვინც ჩემი ფიქრის საგანი იყო მაშინ, როცა 1982 წლის გაზაფხულზე, პირველად მოვაწერე ხელი ტურინის „იუვენტუსთან" კონტრაქტს - ჩემს ბაბუას, **ფრანჩესკო პლატინის.** მაშინ ბედნიერი ვიყავი, რადგან უკვე ვარსკვლავის რანგში ჩავედი ქვეყანაში, სადაც ჩემი წინაპრები დაიბადნენ. დღესაც ბედნიერი ვარ იმის გამო, რომ დამაჯილდოვა ქვეყანამ, რომელმაც ისინი შეიკედლა, ჩემმა სამშობლომ...

...მთელი ჩემი ოჯახი: **კრისტელი,** ბავშვები და მე - დიდი მღელვარებით ვართ შეპყრობილნი. ორი დღის შემდეგ, „იუვენტუსი" „სტადიო კომუნალეზე" „ნაპოლის" იღებს. ამაში განსაკუთრებული არაფერი იქნებოდა, **დიეგო მარადონას** ნეაპოლურ გუნდთან ამ სეზონისთვის კონტრაქტი რომ არ გაეფორმებინა და ამ მატჩში არ მიეღო მონაწილეობა. მაშ ასე, შეხვედრა „იუვენტუსი"-"ნაპოლი" გარკვეულწილად პლატინი-მარადონას შეხვედრად იქცა. მსოფლიოს ორი საუკეთესო მოთამაშის დაპირისპირება. ორი კონტინენტის, ორი განსხვავებული ფეხბურთის შეჯახება. შეჯახება უმაღლეს დონეზე, როგორც ამაზე ყველგან ლაპარაკობენ და წერენ.

მთელი იტალია დიდი აჟიოტაჟითა და მოლოდინით ელის ამ შეხვედრას. მე და დიეგოს არასოდეს გვითამაშია ერთმანეთის პირისპირ. მთელი იტალიური ფეხბურთი დუღს, დადებული ფსონები ასტრონომიულ თანხებს აღწევს.

გასახდელში **როსი, შირეა, კაბრინი** და **ბონეკი** დუმილს ინარჩუნებენ. მათ შესანიშნავად იციან, რომ მომავალი მატჩი - ეს ჩემი მატჩია. ისინი ჩემ გვერდით იმყოფებიან იმისთვის, რომ მე შეხვედრის მოგებაში დამეხმარონ. ნებისმიერი ხერხით, ოღონდ წესების ფარგლებში. მოგება ღირსების საკითხია. ერთ-ერთ ჩვენგანს საკუთარი ადგილი უნდა მიუჩინონ. შეიძლება ითქვას, რომ ეს არა ფეხბურთი, არამედ საკრივო შეხვედრაა. **მოჰამედ ალი ჯო ფრეზერის** წინააღმდეგ. ორიდან ერთმა უნდა მოიგოს... და გამარჯვებული მე გამოვალ!

პირველად ცხოვრებაში მე და დიეგო ხელს ვართმევთ ერთმანეთს. ფოტოგრაფები თავიანთ აპარატებს აჩხაკუნებენ, ტელეკამერები კი ერთი წამითაც არ გვაცილებენ ობიექტივებს. მე და დიეგო სიცილს ძლივს ვიკავებთ. მაგრამ მატჩის შემდეგ, ერთ-ერთ ჩვენგანს სიცილის სურვილი გაუქრება.

2:0. ერთი გოლი გავიტანე და დიდების ზენიტში ვიმყოფები. სინამდვილეში, მთელი მატჩი ჩემი და მარადონას დაპირისპირებად გადაიქცა. „იუვენტუსმა" ოდნავ გადაუხვია თამაშის საკუთარ მანერას, „ნაპოლიმ" კი მთელი 90 წუთი ვერ შეძლო ვერც ერთი მომენტის რეალიზება. მარადონამ მარცხი განიცადა, მაგრამ ის კარგად თამაშობდა. ბრწყინვალედაც კი. მისი თამაში - დიდი ხელოვნებაა. მაგრამ ის ყოველთვის მარტოხელაა მინდორზე და შედეგად, თავის გამოჩენის ცოტა შანსი აქვს ხოლმე. ნებისმიერ შემთხვევაში, მე ყოველთვის წინააღმდეგი გამოვდივარ თუნდაც ორი წამყვანი მოთამაშის დუელის გამართვაზე. ფეხბურთი ჩოგბურთი არ არის და ჩვენ ორივენი ძალიან დიდ პატივს ვცემთ სპორტის ცოცხალ სულს: კოლექტიურ თამაშს...

ახლა, წინასწარმეტყველების დრო დადგა. ჩემი ოჯახის ყველა წევრი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ "სამფეროვნები" 1986 წელს, მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვებას მოიპოვებენ. ჩემი აზრით, ამაზე ჯერ ნაადრევია ლაპარაკი. წინ მთელი წელი მაქვს, თუმცა ახლა უფრო მეტად მჯერა ჩვენი შანსის, ვიდრე 1982 წელს. მჯერა, მაგრამ რამდენიმე საკითხია გასარკვევი: **ლე რუმ,** ჩვენმა ბრწყინვალე ბრეტანელმა უნდა იპოვოს თავისი ადგილი დაცვაში; **ტურე** საბოლოოდ უნდა ამოვიდეს ზედაპირზე; საკითხავია, **ჟირესი,** რომელსაც იმ პერიოდისთვის 34 წელი შეუსრულდება, შეძლებს თუ არა თავისი ბრწყინვალე თამაშის ჩვენებას; ჟირესი, ისევე როგორც პლატინი, არის მოთამაშე, რომელსაც საფეხბურთო ინსტინქტით არის დაჯილდოებული. მას შეუძლია თვალდახუჭულმა განახორციელოს დრიბლინგი და გოლი გაიტანოს. მაგრამ დანარჩენები? მათი დავიწყებაც არ შეიძლება. თითოეული მათგანი ცალკე აღებული იმსახურებს ყველანაირ ქებასა და ტიტულებს. თითოეული მათგანი ღირსია იყოს ჩემი საპატიო ლეგიონის ორდენის ნაწილი.




1985 წლის 30 იანვარი: იტალიის ჩემპიონატის მე-15 ტური. "ლაციოს" ანგარიშით 1:0-ს ვამარცხებთ. გოლი ჩემი ძალიხმევით გავიტანეთ. თებერვლის შუაში "აველინოსთან" მატჩში ორი გოლი შევაგდე. ყველაფერი კარგად მიდის, ძალიან კარგადაც. როცა ჩემპიონატი განახლდა, მთელი სისწრაფით დავიწყე თამაში. სტატისტიკის მიხედვით, "იუვენტუსის" ყოველ მეორე გოლს მე ვიტან...

1985 წლის 12 აპრილი: დიდხნიანი და აუტანელი ლოდინის შემდეგ, ჩემი ექვსი წლის ვაჟმა **ლორანმა,** როგორც იქნა, მიიღო ძიუდოისტის ყვითელი ქამარი. რა თქმა უნდა, სიამაყის გრძნობით ავივსე. ჩემთვის აუცილებელია მისი წარმატება ორმაგი შოკური დარტყმის შემდეგ, რომელიც ჩვენ ბორდოში გველის. იქ "იუვენტუსმა" ევროპის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალი უნდა ითამაშოს.

ბედი ხანდახან მუხთალ დარტყმებს გვიმზადებს ხოლმე. "ბორდოს" შემადგენლობაში თამაშობს ჩემი ძველი კარგი მეგობარი **პატრიკ ბატისტონი** და შესანიშნავი ადამიანი **ალენ ჟირესი.** ვიცი, რომ ჩვენ მოვიგებთ. ძალიან ძლიერები ვართ და არ გვეპატიება წაგება. გარდა ამისა, ევროპის ჩემპიონთა თასი ყველაზე პრესტიჟული ევროპული ტურნირია. ძალიან მინდა ეს ტიტული **ანიელისა** და **ტრაპატონის** ვაჩუქო. მინდა ეს თასი მოვათავსო "ბებერი სინიორას" ჯილდოების ძვირფას კალათაში. და მით უარესი, თუ ფრანგები ბორდოში დამისტვენენ, სამაგიეროდ, იტალიელები ტურინში ხმაურიანი აპლოდისმენტებით დამაჯილდოებენ. მე ჩემი კლუბის შავ-თეთრი მაისურით ვთამაშობ და ამით ყველაფერია ნათქვამი. პირველ რიგში, საკუთარი კლუბის ინტერესები უნდა გავითვალისწინო. როგორც ეს იყო „პარი სენ-ჟერმენის" წინააღმდეგ თამაშისას.

ჟირონდელები ყოჩაღები·არიან. ბრწყინვალე, სოლიდური გუნდია, რომელსაც კარგად ვიცნობ. **ტრაპატონი** ჩემს დაკითხვას იწყებს. როგორია „ბორდოს" დადებითი თვისებები, რა ნაკლი აქვს ამ გუნდს? მათ შორის საუკეთესო ჟირესია, - ვპასუხობ მე. არ შეიძლება მისი მარტო დატოვება 16 მეტრის რადიუსში. შემდეგ **ტიგანა.** ის თამაშის თვითმყოფადი სტილითა და სისწრაფით არის გამორჩეული. თუ მას ალმაფრენა ეწვევა, შეუდარებელ დრიბლინგს განახორციელებს. ნაკლზე ლაპარაკიც ზედმეტია - ასეთი პრაქტიკულად არ არსებობს. მაგრამ „იუვენტუსი" მოიგებს, ამაში დარწმუნებული ვარ. ევროპის ჩემპიონთა თასი „ბორდოს" არასოდეს ჰქონია. თუმცა არც მე...

*„იუვე"! „იუვე"! ჩვენ დავიბადეთ შენს სანახავად. ჩვენ შენთვის ვცოცხლობთ, ჩვენ შენთვის მოვკვდებით. მიდი, „იუვე", მიდი, ჯადოქარო. მოიგე კიდევ ერთხელ, მოიგე ჩვენთვის",* - ყვირიან გულშემატკივრები.

3:0. ხომ ვამბობდი: არ გავუკეთებ საჩუქარს არც ჟირესს, არც ტიგანას, არც ბატისტონს. „სტადიო კომუნალეზე" 70 ათასი ტიფოზი აღფრთოვანებულია. „ბებერ სინიორას" 88-წლიან ისტორიაში არასოდეს ჰყოლია ასეთი ერთგული მსახურები. ჩვენს მოედანზე დაფიქსირებული ასეთი ანგარიში ბორდოში განმეორებით შეხვედრას ფორმალობად აქცევს. იოლად ვიგებთ ფინალის საგზურს. გადამწყვეტი მატჩი 29 მაისს, ბრიუსელში „ეიზელის" სტადიონზე უნდა გაიმართოს.

ტრაპატონი გულით ხარობს. „ტრაპი", როგორც მას გულშემატკივრები უწოდებენ, ევროპის ჩემპიონთა ლიგის ძველი მებრძოლია: მას ორჯერ აქვს მოპოვებული ეს პრიზი - 1963 და 1969 წლებში „მილანის" შემადგენლობაში, სადაც მცველის ამპლუაში მამაცურად იბრძოდა. ის სიამოვნებით იფშვნეტს ხელებს. მისი ხელმძღვანელობით „იუვეტუსი" აპირებს ბოლო ტიტულის მოგებას, რომელიც ჯერ არ მოიძიება მის კოლექციაში.

(გაგრძელება იქნება)

გია თვალაბეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა — ტურნირის ექო

# მამის ნასწავლი ფანდებით შვილი კვარცხლბეკზე ადის

*შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში გამართულ მოჭიდავეთა თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში უცხოელ მონაწილეთაგან ყველაზე ტიტულოვანი გახლდათ უკრაინელი დენის დანკო, პეკინის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალოსანი, რომელმაც 84 კილოში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ტურნირი უპრობლემოდ მოიგო.*

- საქართველოს დედაქალაქში უმაღლესი სინჯის მედალი მეორედ მოვიპოვე, - მითხრა მან. - პირველად 2005 წელს ავედი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ის წელიწადი, საერთოდ, უხვმოსავლიანი გამოდგა ჩემთვის - ჯერ ევროპის ჩემპიონი გავხდი, შემდეგ მსოფლიოზე ვიყავი მესამე - ნახევარფინალში რომეროსთან დავმარცხდი, რომელსაც გადამწყვეტი შეხვედრა ჩემმა მეგობარმა **რევაზ მინდორაშვილმა** მოუგო და პირველი ადგილი დაიკავა.

თბილისის საერთაშორისო ტურნირი შესანიშნავად იყო ორგანიზებული. მართალია, ბევრი უცხოელი არ ჩამომოუცდელი მოჭიდავე ვიყავი. იოლი არ იყო თბილისის ტურნირის მოგება, რადგან აქ ყოველთვის მსოფლიოს ელიტა იკრიბებოდა. მერეც არაერთხელ გამოვსულვარ ხალიჩაზე, მაგრამ საპრიზო ადგილებს ვერ ავცდი. სამაგიეროდ, ჩემმა შვილმა უკვე მეორედ დაიმსახურა ოქროს მედალი. საერთოდ, მახარებს, რომ დენისს საერთაშორისო სარბიელზე ჩემზე უკეთესი შედეგები აქვს.

**ცნობისთვის:** გრიგორი დანკო მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი, მსოფლიო თასის მფლობელი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონია.



მარცხნიდან: დენის დანკო, რევაზ მინდორაშვილი და გრიგორი დანკო

სულა, მაგრამ ქართველ ფალავნებთან გამოვცადე ძალები. თქვენი სკოლა კი მთელ მსოფლიოშია ცნობილი. აქ მიღებული გამოცდილება მომავალში გამომადგება. მით უმეტეს, რომ დანიის მსოფლიოს ჩემპიონატამდე დიდი დრო აღარ დარჩა. ძალიან მინდა, ამ შეჯიბრებაზე ვიასპარეზო, თუმცა იქ გამგზავრების საკითხი ერთ თვეში გაირკვევა — უკრაინის ეროვნული ჩემპიონატის შემდეგ. ნაკრებში კონკურენტები მომიმრავლდნენ, უპირველესად ეს ალდატოვზე ითქმის, რომელიც 74 კილოში მსოფლიოს ჩემპიონია. ვნახოთ, უბრძოლველად არაფერს დავთმობ.

**— მინდორაშვილი ახსენეთ. თქვენ ხომ ოლიმპიადაზე ერთ წონაში გამოდიოდით. როგორ მოგეწონათ მისი ჭიდაობა?**

— რეზოს დიდი ხანია, ვიცნობ, ვმეგობრობთ კიდეც. ხალიჩაზეც არაერთხელ შევხვედრივართ ერთმანეთს, თუმცა ასე ძლიერი და მომზადებული, როგორიც პეკინში იყო, არასდროს მინახავს. შარშან ჩინეთის დედაქალაქში მეოთხედფინალური შეხვედრა ტაჯიკ აბდუსალიმოვთან წავაგე, რომელსაც ფინალში რეზომ სძლია. მე კი „ბრინჯაოს" დავჯერდი.

— ოლიმპიურ თამაშებზე მინდორაშვილის შემჩერებელი არავინ იყო, — ჩაერია საუბარში დენისის მამა და მწვრთნელი **გრიგორი დანკო**. — მისი ორთაბრძოლა რუსეთელ გიორგი კეტოევთან ტურნირის მშვენებად შეიძლება ჩაითვალოს. მშრომელი ბიჭია. ალალმართალი. ღმერთმა ჩემპიონობის შანსი მისცა და მანაც გამოიყენა.

**— რამდენადაც ვიცი, თქვენც არაერთხელ გიჭიდავიათ თბილისის ტრადიციულ ტურნირებზე...**

— პირველად ეს იყო 1974 წელს. ნახკაძორის შეკრებაზე კარგად მოვემზადე, თუმცა ჩემს გამარჯვებას არავინ ელოდა. ფინალში მსოფლიოს ჩემპიონ ნოვოჟილოვს რომ ვძლიე, სენსაციად მონათლეს, რადგან მაშინ 19 წლის გა-

**— ქართველ ფალავნებთან ურთიერთობაზე რას გვეტყვით?**

— ყოველთვის სიამოვნებით ჩამოვდივარ საქართველოში, რადგან აქ უამრავი მეგობარი მყავს. ლამაზი ქალაქია თბილისი, სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობს და, რაც მთავარია, ჭიდაობა უყვართ. ამგვარ გარემოში ყოფნა კი მართლაც სიამოვნებაა.

დღემდე ახლო ურთიერთობა მაქვს ლევან თედიაშვილთან, გიორგი მაკასარაშვილთან, გორელ მოდოსიანთან, რომელიც ამჟამად კრასნოიარსკში ცხოვრობს.

ჭიდაობა ქართველებისთვის ეროვნული სახეობაა. მომწონდა თქვენი ფალავნების თავბრუდამხვევი ფანდები. დიდებულ ვახტანგ ბალავაძეს, ჭიდაობის პროფესორს, ხომ მთელ მსოფლიოში იცნობდნენ და პატივს სცემდნენ; უცხოელები სპეციალურად მიდიოდნენ შეჯიბრებებზე ლევან თედიაშვილის ორთაბრძოლების საყურებლად; ვცდილობდი, მესწავლა თქვენი ფანდები და ახლა ჩემს ვაჟს გადავცემ გამოცდილებას.

ბოლო დროს მსოფლიოში ჭიდაობა, ერთგვარად არარომანტიკული გახდა: სუმოს მსგავსად, მეტოქეები ერთმანეთის წითელ ხაზ გარეთ გაყვანას და ამით ტექნიკური ქულის მოპოვებას ცდილობენ. არადა, ჭიდაობა ხელოვნებაა. ელვისებური ფანდებით, ლამაზი გდებებით ხიბლავს ქომაგებს. სხვათა შორის, წლევანდელ შეჯიბრებაზე ბევრი საინტერესო ორთაბრძოლა ვნახე. ეტყობა, ფალავნებმა ახალ წესებს ნელნელა ალლო აუღეს. დარწმუნებული ვარ, მომდევნო წლებში უფრო ფიცხელი პაექრობები იქნება, რადგან მეტი სტუმარი გეყოლებათ, თბილისის ტრადიციული ტურნირის გეოგრაფია აუცილებლად გაიზრდება და ის უწინდელ დიდებას დაიბრუნებს.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

## მილოცვა

საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 75 წლის საუბილეო თარიღს ულოცავს რობერტ შავლაყაძის სახელობის მძლეოსნობის სპორტული სკოლის ყოფილ დირექტორს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს **რეზო ოდიშარიას**.



ნესტორ ხერგიანი

ძიუდო

# რუმინეთი არა, მაგრამ ბრაზილია წაღმა

ამას წინათ ინტერნეტში ევროპის ძიუდოს კავშირის ინფორმაციას წავაწყდი — რუმინეთში მსოფლიოს თასის გათამაშებაზე სხვა ცნობილ ფალავნებთან ერთად ქართველი **ნესტორ ხერგიანიც** იჭიდავებსო.

ცხადია, ყველა ორგანიზატორი ცდილობს, თავის ღონისძიებაში ტიტულოვანი სპორტსმენები ჩართოს. ხერგიანი ხომ, ამ მხრივ, ერთ-ერთი გამორჩეულია — ათენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონატების მეორე და მესამეადგილოსანი ევროპის ორგზის ჩემპიონი და შვიდგზის „ბრინჯაოს " მფლობელია.

ნესტორს გუშინ შევეხმიანე. აი, რა თქვა მან: *"რუმინეთზე არაფერი მსმენია, ბათუმში თორმეტდღიანი შეკრება გვქონდა და ახლა თბილისში დავბრუნდით. შაბათამდე აქ ვივარჯიშებთ, 14 ივნისიდან კი ბაკურიანში გავემგზავრებით ორკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე. 2 ივლისს ბრაზილიაში დიდი სლემის ტურნირზე გამოვალთ. ამჯერად 66 კილოში ვიჭიდავებ, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატამდე წონის დაკლებას არ ვაპირებ. პლანეტის უძლიერეს ძიუდოისტთა პაექრობას აგვისტოში ჰოლანდია უმასპინძლებს"...*

საუბარში ისიც შევიტყვე, რომ ხერგიანს ამ დღეებში მესამე შვილი (ნიკა) შეეძინა.

ვულოცავთ!

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

# საფუძველი ჩაეყარა ახალ ტურნირს

მას შემდეგ, რაც საქართველოს ქალ ძიუდოისტთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად **გია თენაძე** დაინიშნა, გორი ქალთა ძიუდოშიც ერთგვარი ცენტრი გახდა. გურამ პაპიტაშვილის სახელობის დარბაზის ტატამზე უკვე ხშირად ვხედავთ კიმანოიან გოგონებს. აქ ჩვენი ნაკრების მოსამზადებელი შეკრებებიც არაერთხელ გამართულა. ამასწინათ, ევროპის ჩემპიონატისათვის დასკვნითი ეტაპი სწორედ გორში ჩაატარა თურქეთის ქალ ძიუდოისტთა ნაკრებმაც. 7 ივნისს პირველად გაიმართა შიდა ქართლის ღია პირველობა ქალთა შორის, რითაც გორში ახალ ტურნირს ჩაეყარა საფუძველი. მასპინძელთა გარდა მონაწილეობდა თბილისის, დმანისის, ახმეტის ლაგოდეხის, სიღნაღის, ყვარლის, ხელვაჩაურის, ბორჯომისა და დუშეთის ძიუდოს სკოლების 100-ზე მეტი სპორტსმენი ორ ასაკობრივ ჯგუფში. გამარჯვებულები გახდნენ:

უმცროსი ასაკი. 36 კგ - **ნათია მიქაბერიძე** (ხელვაჩაური), 40 კგ - **თეონა სამხარაძე** (თბილისი), 44 კგ - **გურანდა შოთაძე** (თბილისი), 48 კგ - **მეგი დიასამიძე** (ხელვაჩაური), 52 კგ - **მარიამ ცხელაშვილი** (ბორჯომი), 57 კგ - **სოფიო ბერიძე** (ხელვაჩაური), 63 კგ - **ნინო მარტიაშვილი** (ახმეტა), + 63 კგ - **ელენე ქებაძე** (დმანისი).

უფროსი ასაკი. 48 კგ - **ნათია ვეშაგური** (დუშეთი), 52 კგ - **სოფო როსტომაშვილი** (თბილისი), 57 კგ - **მაია ტარუაშვილი** (გორი), 63 კგ - **შორენა შარაძე** (ხელვაჩაური), 70 კგ - **თეა სუხიტაშვილი** (ყვარელი), 78 კგ - **ნინო ოძელაშვილი** (თბილისი), +78 კგ - **ირინე ლეონიძე** (ხელვაჩაური), აბსოლუტური - **ნინო ოძელაშვილი** (თბილისი).

*„საკმაოდ დაძაბული პაექრობები ვიხილეთ. კმაყოფილი ვარ. აშკარაა, რომ ძალიან კარგ ტურნირს დაედო სათავე, რომელიც ყოველწლიურად გაიმართება და აუცილებლად გახდება საერთაშორისო. გაისად კავკასიის ქვეყნებისა და თურქეთის ძიუდოისტ ქალთა ნაკრებებსაც ვისტუმრებთ. დღეს ტატამზე გამოსულთა შორის იყვნენ ისინი, რომლებიც ნაკრების ძირითად ბირთვს შეადგენენ და ისინიც, ვისაც სამომავლოდ აქვთ პერსპექტივა, წონით კატეგორიაში ლიდერობისათვის იბრძოლონ. ბუნებრივია, ყურადღების მიღმა არ დაგვრჩენია არც პატარა მოჭიდავეები. მწვრთნელთათვის სელექცია უწყვეტი სამუშაო პროცესია და, შესაბამისად, მუდამ ვცდილობთ ახალგაზრდა, იმედისმომცემი ფალავნები მხედველობიდან არ გამოგვრჩეს“* — განაცხადა ჩვენთან საუბარში ქვეყნის ნაკრების ხელმძღვანელმა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ჩოგბურთი

# პირველად: ოთხი ჩვენებური სამასეულში

## ჩახნაშვილმა ფინალი დათმო

კვირას, გვიან საღამოს საქართველოს მეორე ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** იტალიის ქალაქ გალატინას საერთაშორისო ტურნირის (25 ათასი $) ფინალში თამაშობდა, სადაც ესპანელ **ევა ფერნანდეს-ბრუხესს** (250) ხვდებოდა. მაკა თითქოს ახლოს იყო ტიტულის მოპოვებასთან, მან პირველი სეტი 6:3 მოიგო, თუმცა შემდეგ ორი სეტი დათმო - 3:6, 2:6 და ტურნირის გამარჯვებული 23 წლის ესპანელი ჩოგბურთელი გახდა.

გუშინ, ATP-ის და WTA-ს რეიტინგლისტები გამოქვეყნდა. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ქალთა რეიტინგი იყო, რადგან ორი კვირის განმავლობაში ბევრი სიახლე მოხდა. **ანა ტატიშვილს** 348 სარეიტინგო ქულა აქვს და ის მსოფლიოს 172-ე (+4) ჩოგანია. 19 წლის ქართველი ჩოგბურთელის საუკეთესო პოზიცია რეიტინგში 150-ე ადგილია (2009 წლის მარტი), მან 110 ათასი დოლარი ჰონორარი მოიხვეჭა (საფრანგეთის ღია პირველობაზე ერთი საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვისთვის 5,6 ათასი დოლარი მიიღო). ანას რეიტინგში არაა შესული გალატინას ტურნირის მეოთხედფინალში გასვლისთვის კუთვნილი 14 ქულა, ეს ქულები ანას შემდეგ ორშაბათს დაერიცხება.

რეიტინგში 19 ადგილით უკან დაიხია მაკა ჩახნაშვილმა, მიზეზი იგივეა, რაც ტატიშვილის შემთხვევაში - გალატინას ტურნირის შედეგები ამ ახალ რეიტინგში არ შესულა. არადა, მაკამ ფინალში გასვლით იტალიაში 34 ქულა მიიღო. მომავალ ორშაბათს მაკას სერიოზულ დაწინაურებას უნდა ველოდოთ, დღეისათვის კი ის 208 ქულით მსოფლიოს 253-ე ჩოგანია. 26 წლის ჩახნაშვილის კარიერის მონაგარი 188 ათას დოლარს უტოლდება. ყველაზე მაღალი რეიტინგი მაკას 2007 წლის ივლისში ჰქონდა, როცა იგი მსოფლიოს 134-ე ჩოგანი იყო.

20 წლის **სოფიო შაფათავამ** ვერაფრით დაიბრუნა ისეთი სპორტულ ფორმა, როგორიც შარშან ჰქონდა. სოფიომ კიდევ ხუთი ადგილი დაკარგა რეიტინგში და ახლა 180 ქულით მსოფლიოს 270-ე ჩოგანია. შაფათავას კარიერის მონაგარი ჯერ მწირია - 35 ათასი დოლარი, კარიერის პიკზე ის მარტში იყო, როცა მსოფლიო კლასიფიკაციაში 243-ე პოზიცია ეკავა.

პირველად ისტორიაში მოწინავე 300-ეულში ოთხი ქართველი ჩოგბურთელია, ეს კი ჩვენი პერსპექტიული სპორტსმენის **ოქსანა კალაშნიკოვას** დამსახურებაა. ოქსანამ ერთბაშად 36 ადგილით წაიწია წინ, იგი 160 ქულით მსოფლიოს 290-ე ჩოგანია. რა თქმა უნდა, ეს შედეგი 18 წლის ოქსანასთვის კარიერაში საუკეთესოა. კალაშნიკოვას ჯამურმა ჰონორარმა 24 ათას დოლარს უწია.

ცვლილებები რეიტინგში ამით არ ამოწურულა, ერთბაშად 31 ადგილით წაიწია წინ 17 წლის **ეკა გორგოძემ**, ეკა 55 ქულით უკვე 549-ე პოზიციაზეა. ახალგაზრდა ქართველი ჩოგბურთელი კარგი ტემპით მიიწევს წინ. გორგოძემ, კალაშნიკოვას დარად კარიერის საუკეთესო შედეგი აჩვენა.

**სოფიო ქვაცაბაია** 51 ქულით 564-ე (-1) ადგილზეა. **მანანა შაფაქიძემ** უკან 60 ადგილით დაიხია, თუმცა საშიში არაფერია, მანანას შარშანდელი გამარჯვების ქულები დააკლდა, ხოლო შაბათს თელ-ავივის ტურნირის მოგებისთვის კუთვნილი 12 ქულა ჯერ არ შემატებია. დღეისათვის შაფაქიძე 24 ქულით 779-ე პოზიციაზეა. დაბოლოს, **სოფიო მელიქიშვილი** 16 ქულით 884-ე (+4) პოზიციაზეა.

როგორც ხედავთ, ქალთა რეიტინგლისტში კლება გვაქვს, რამდენიმე წლის შემდეგ პირველად კლასიფიკაციაში აღარაა **სალომე დევიძე**. 23 წლის ჩოგბურთელს შარშანდელი მარაგი ამოეწურა, წლეულს კი მან ვერაფერი შემატა თავის რეიტინგში. იმედია, სალომე შეძლებს კრიზისის გადალახვას, ის ხომ ერთ დროს მსოფლიოს 254-ე ჩოგანი იყო (ჰონორარი - 52 ათასი $) და საქართველოში ყველას სჯობდა.

ATP-ის რეიტინგში 7 ქართველია, აქედან ორი მხოლოდ სიმბოლურად - **ბექა ბუჩუკური** და **დემეტრე თაქთაქიშვილს** 2-2 ქულა აქვთ, ისინი საუკეთესო 1500 ჩოგბურთელშიც ვერ ხვდებიან. საქართველოს პირველ ჩოგან **ირაკლი ლაბაძეს** 96 ქულა აქვს და ის 495-ე (+4) პოზიციაზეა. ალბათ, ველარ დაბრუნდება ის დრო, როცა ირაკლი მსოფლიო ჩოგბურთის ელიტაში შედიოდა და პლანეტის 42-ე ჩოგანი იყო. სხვათა შორის, ირაკლი დღეს 28 წლის გახდა, ჩვენებურს ჩოგნის ცემით კარიერაში მილიონ 234 ათასი დოლარი აქვს ნაშოვნი.

სხვები: 843 (+4) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** - 26 ქულა; 846 (+5) **ლაზარე კუხალაშვილი** - 26; 961 (+10) **ლადო ჩიხლაძე** - 17; 1291 (+8) **ნოდარ ითონიშვილი** - 6. კუხალაშვილი და ბასილაშვილი კვლავ საუკეთესო შედეგს აჩვენებენ კარიერაში.

ახლა ისევ ტურნირებს დავუბრუნდეთ, ოღონდ, მიმდინარეს. მარსელში სტარტი აიღო ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირმა, რომლის საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარია. იქ ძირითად ბადეში ანა ტატიშვილი მოხვდა. პირველ წრეში ანას მეტოქე საკმაოდ სერიოზული ჩოგბურთელია, მე-5 ნომრად განთესილი მასპინძელი **პოლინ პარმენტიე** (77). ერთბაშად 4 ჩვენებური ითამაშებს ქარშის (უზბეკეთი) საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი $). მე-3 ნომრად განთესილი სოფიო შაფათავა უკრაინელ **ანასტასია ვასილიევას** (392) გაეჯიბრება, მე-7 ნომრად განთესილი ოქსანა კალაშნიკოვას მეტოქე რუსი **მარინა შამაიკოა** (484), სოფიო ქვაცაბაია „უაილდ ქარდით" მიწვეულ მასპინძელ **ალექსანდრა კოლესნიჩენკოს** (784) ხვდება, ხოლო ეკა გორგოძის მეტოქე ჯერ არ გარკვეულა, ის საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებული იქნება. მაკა ჩახნაშვილი იტალიაში რჩება, ის კამპობასოს ტურნირში (25 ათასი $) ითამაშებს.

აშშ-ში ქალაქ ლუმისის საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი $) ძირითად ბადეში ვერ გააღწია ნიკოლოზ ბასილაშვილმა. მან პირველ წრეში მოუგო ამერიკელ **რიდლი სეგუსოს** - 6:0, 6:3, მაგრამ მეორეში წააგო მის თანამემამულე **შონ ბერმანთან** - 4:6, 6:4, 4:6. ნიკა საკვალიფიკაციო ბადეში მე-16 ნომრად იყო განთესილი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი

*ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან*

# ატლანტაში თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში


ზაზა ფაჩულია

გასულ კვირას ზაზა ფაჩულიას სატრანსფერო საკითხებზე რამდენიმე მცირე სტატია შემოგთავაზეთ. თუმცა, არ დაგვიკონკრეტებია, რომ მომდევნო 22 დღის განმავლობაში "ატლანტა ჰოქსს" უფლება აქვს ქართველ ცენტრთან გააფორმოს წინასწარი ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ვიდრე ზაზა სხვა კლუბს დაელაპარაკება, "ატლანტას" ხელმძღვანელებს უნდა დაეკითხოს.

ჯორჯიულმა გაზეთმა "ატლანტა კონსტიტუშენმა" გამოაქვეყნა ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან. ავტორი შესავალში წერს, რომ "ატლანტას" უფროსობა ქართველთან ახალ კონტრაქტზე დასალაპარაკებლად ემზადება. ახლა ინტერვიუს გავეცნოთ.

**- 1-ელი ივნისიდან თავისუფალ აგენტთა ბაზარი გაიხსნება...**

- რთული სეზონი მქონდა და კალათბურთით იმდენად ვიყავი დაკავებული, რომ ოჯახისთვის ნაკლები დრო მრჩებოდა. ახლა თავისუფალი ვარ და დროს ოჯახთან ერთად ვატარებ. ეს ზაფხული ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან პირველად ვიქნები ჩემს პატარა ვაჟთან ერთად, რომელიც ჯერ წლისაც არ არის. იმედი მაქვს, რომ დრო ნელა გავა... თუმცა, 1-ელი ივლისი ახლოვდება და საქმეც გამიჩნდება. ივლისიდან არაერთი საქმე მელის, რომელიც დიდ ძალისხმევას მოითხოვს. "ატლანტასთან" კონტრაქტის გაფორმება და აქ დარჩენა მსურს, რადგან ამ ქალაქს ძალიან მივეჩვიე. თუ სხვა გუნდში მომიწევს გადასვლა, საცხოვრებელიც უნდა შევიცვალო, რაც არცთუ სახალისო პროცესია. სწორედ ასეთი ფიქრები მახსენებს 1-ელ ივლისს, ამიტომ მინდა დრო ნელა გავიდეს. თუმცა, მეორე მხრივ, დღესვე მინდა ვიცოდე, სად გავაგრძელებ კარიერას, რათა ცოტა დავმშვიდდე.

**- ახალ კლუბს პირველ რიგში რა კრიტერიუმით შეარჩევ?**

- ძნელი სათქმელია. არის უამრავი ნიუანსი, რომელთა გათვალისწინებაც მმართებს. როცა კონტრაქტს შემომთავაზებენ, სწორედ მაშინ მეცოდინება, მისაღებია თუ არა ხელფასის ოდენობა, ხელშეკრულების ხანგრძლივობა, როგორ გარემოში მომიწევს თამაში... ყველა დეტალი მნიშვნელოვანია. ყოველი ნაბიჯი კარგად უნდა გაიზომოს. როცა ოჯახი გყავს, მათი ინტერესებიც უნდა გაითვალისწინო. ვნახოთ, ვინ გამოიჩენს ჩემდამი ინტერესს.

**- როგორ ფიქრობ, გლობალური კრიზისი იქონიებს გავლენას თავისუფალ აგენტთა ბაზარზე?**

- სეზონის მსვლელობისას ვიცოდი, რომ თავისუფალი აგენტი გავხდებოდი, მაგრამ ამ საკითხზე ბევრი არ მიფიქრია, რათა ამას ჩემს თამაშზე გავლენა არ მოეხდინა. ვარჯიშებისას ნამდვილად არ ვფიქრობდი – ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტი ვხდები და რა უნდა ვქნა-მეთქი. ჩემპიონატის მსვლელობისას თავში მხოლოდ "ბოსტონთან", "კლივლენდთან", "მაიამისთან" დაპირისპირებები მიტრიალებდა. კონტრაქტზე ზრუნვის დრო ახლა დადგა. გასულ კვირას შევხვდი ჩემს აგენტს და სატრანსფერო საკითხებზე ბევრი ვილაპარაკეთ. არა მგონია, თავისუფალ აგენტთა ბაზარზე შარშანდელისგან განსხვავებული სიტუაცია იყოს. უნდა მოვიცადოთ და შევხედოთ, ვინ რას შემოგვთავაზებს. ღმერთი მოგვცემს იმას, რასაც ვიმსახურებთ.

**- ამას წინათ საჯაროდ განაცხადე, რომ "ატლანტა ჰოქსში" დარჩენის სურვილი გაქვს.**

- "ატლანტა" ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ოთხი წელიწადია ამ გუნდში ვთამაშობ. აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. სადაც უნდა წავიდე, ატლანტა ჩემს სახლად დარჩება. ბევრს ნიშნავს ხალხთან ურთიერთობა. სასიამოვნოა, როცა გრძნობ, რომ გულშემატკივარს უყვარხარ, მოედანზეც და მის გარეთაც. ჯორჯიაში კარიერის დასრულებამდე სიამოვნებით დავრჩებოდი. თურქეთში თამაშისას, ერთ ქალაქში (სტამბოლში) 6 წელი ვიცხოვრე. არ განვეკუთვნები იმ ადამიანთა კატეგორიას, რომლებიც საცხოვრისს ყოველწლიურად სიამოვნებით იცვლიან.

**- დღევანდელი გადასახედიდან როგორ მოჩანს განვლილი სეზონი?**

- გადავლახეთ პლეი ოფის პირველი ეტაპი და დავმარცხდით აღმოსავლეთის კონფერენციის ნახევარფინალში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რეგულარულ ჩემპიონატში დამაჯერებელი თამაშით პლეი ოფის პირველ ეტაპზე მოედნის უპირატესობას მივაღწიეთ. სწორედ ეს დაგვეხმარა "მაიამის" ძლევაში. რაც შეეხება, "კლივლენდთან" 0:4 წაგებას, ამ მარცხის მიზეზი ფსიქოლოგიაში იყო: ვფიქრობდით – შეგვიძლია თუ არა "კავალიერსის" ძლევა, ნაცვლად იმისა, რომ დარწმუნებით გვეთქვა – "კლივლენდს" დავამარცხებთ! შეიძლება, ასეთი მიდგომით სერიის მოგება მაინც ვერ მოგვეხერხებინა, მაგრამ "კლივლენდთან" უკეთესად თამაში შეიძლებოდა. ამაში "კავალიერსი"-"მეჯიქის" მატჩებმაც დამარწმუნა.

**- 25 წლის ასაკში NBA-ში თამაშის 6-წლიანი გამოცდილება გაქვს. ზოგის თქმით, სასტარტო ხუთეულში თამაშს იმსახურებ... "ატლანტაში" ამჟამინდელი როლით (სათადარიგოობით) კმაყოფილი ხარ?**

- სიტყვა „კმაყოფილება“ არ მიყვარს. არ ვიცნობ კალათბურთელს, რომელიც საკუთარი თამაშით კმაყოფილი იქნება. ყოველთვის გვინდა უკეთესად გავისარჯოთ და შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვავლინოთ. კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ მიმაჩნია, რომ "მაიამისთან" საპლეიოფო სერიის მეოთხე მატჩი ჩემთვისაც და "ატლანტა ჰოქსისთვისაც" საუკეთესო იყო. გვესმოდა, რომ წაგების შემთხვევაში 1:3 ჩამოვრჩებოდით, რაც გავარდნის საწინდარი იყო. ეს კარგად გავაანალიზეთ და მოვინდომეთ. ვფიქრობ, იმ შეხვედრაში (81:71) შესაძლებლობები ბოლომდე გამოვავლინე, 18 მოხსნა და 12 ქულა მოვაგროვე. მთავარი კი ისაა, რომ ჩემი კარგი გარჯით გუნდს დავეხმარე და სეზონი გადავარჩინეთ.

**- "ატლანტაში" ოთხი წლის წინათ ახალგაზრდა მოხვედი. დღეს, ცოლიც გყავს, შვილიც და წარმატებულ კალათბურთელადაც ითვლები.**

- დაოჯახებამდე არ ვიცოდი, რა შეიცვლებოდა საკალათბურთო ცხოვრებაში ცოლის შერთვის შემდეგ. მოხარული ვარ, რომ დაოჯახება, შვილის შეძენა, კალათბურთის თამაშში, ძალიან მეხმარება. აქამდე ჩემთან მხოლოდ დედაჩემი იყო, ახლა მეუღლეც მყავს, პატარა დავითიც და თავს ბედნიერად ვგრძნობ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

*1997-წლამდელთა მინი-ფესტივალი*

# მართვე პირველია



აკადემიის დარბაზი. 6 ივნისი

**ფინალი**

**რუსთავი-მართვე 40:46**

6:12, 4:11, 16:10, 14:13

რუსთავი: კერესელიძე (23), ჟღენტი (8)
მართვე: გოგალაძე (11), სხირტლაძე (8), ლიევი (8)

**მე-3 ადგილისთვის**

**მართვე 2-ჯვაროსნები 23:29**

10:5, 5:2, 3:14, 5:8

მართვე 2: ჭიჭველიშვილი (13), პაპანასტასისი (4)
ჯვაროსნები: ფალავა (15), მაჭავარიანი (9)

**მე-5 ადგილისთვის**

**აკადემია-ქუთაისი 54:6**

17:0, 16:1, 11:2, 13:3

აკადემია: ცირეკიძე (14), ტურძელაძე (8), ლეშკაშელი (7)
ქუთაისი: ვადაჭკორია (3), ქელბაქიანი (2)

აკადემიას დარბაზში დასრულდა 1997 წელს დაბადებულ ბავშვთა საკალათბურთო ფესტივალი. ოთხდღიანმა შეჯიბრებამ საინტერესოდ ჩაიარა და სანახაობრივი ფინალით დასრულდა.

გადამწყვეტ მატჩში **ზვიად დიდბარიძის** "მართვე" და **ოთარ ხმელიძის** "რუსთავი" დაუპირისპირდნენ. შეხვედრა ბოლო წამებამდე თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. საფინალო სირენის მოახლოებასთან ერთად გამოიკვეთა თბილისელთა მცირე უპირატესობა. მათ ზუსტ იერიშებს რუსთაველი **კერესელიძე** ინდივიდუალური გარღვევებით პასუხობდა, თუმცა ქვემოქართლელებს გამარჯვებამდე 6 ქულა დააკლდათ.

მესამე ადგილისთვის მატჩში **ლაშა თოიძის** "ჯვაროსნებმა" "მართვე 2"-ს აჯობეს (29:23). მეხუთე ადგილისთვის შეხვედრა კი "აკადემიამ" დიდი უპირატესობით მოიგო – 54:6.

კალათბურთის ფედერაციამ ტურნირის ყველა მონაწილეს ბურთები გადასცა. თითოეული გუნდის ორ-ორ აქტიურ მოთამაშეს კი ყურსასმენიანი მინი-რადიოლები დაურიგდათ. თუმცა, ეს საჩუქარი „მართვეს“ ყველა მონაწილემ მიიღო, რადგან ამ გუნდმა ფესტივალის ფარგლებში ჩატარებულ ესტაფეტაშიც გაიმარჯვა, რომელშიც პატარები ბურთის ფლობასა და ტექნიკაში გამოიცადნენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ხელბურთი

# ჩემი თასი ჩემთან...

ქუთაისის სპორტის სასახლეში ჩატარდა მერიის თასის გათამაშება 21 წლამდელ ხელბურთელთა შორის. ტურნირში ქუთაისის, ბათუმის, სამტრედიისა და ერევნის ახალგაზრდულმა გუნდებმა იასპარეზეს. პირველ მატჩში სამტრედიელებმა ერევნელებს სძლიეს - 35:22. იმავე დღეს ქუთაისმა 35:18 მოუგო ბათუმს. სამტრედიამ და ქუთაისმა მეორე დღეს შესაბამისად ბათუმი (28:17) და ერევანი (32:16) დაამარცხეს და საჩემპიონო მატჩში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. თანაბარ ბრძოლაში, ქულა-ქულაში მიდიოდა, ბოლოს მეკარე **დავით შიშინაშვილის** კარგი თამაშის წყალობით იმედმოცემულმა ქუთაისელებმა უფრო თამამად შეუტიეს, დაწინაურება მოახერხეს და საბოლოო გამარჯვებამდეც მიიყვანეს საქმე. მთავარ მატჩამდე ბათუმმა ერევანი 25:17 დაამარცხა და მესამე ადგილი დაიკავა.

მერიის გარდამავალი თასი ქუთაისს გადაეცა. საუკეთესო ხელბურთელად ამ გუნდის მეკარე დავით შიშინაშვილი დასახელდა. საუკეთესო ბომბარდირი კი ასევე ქუთაისის წევრი **უჩა გამეზარდაშვილი** გახდა. ქუთაისის სპორტის მესვეურები გაისად უფრო ფართომასშტაბიანი ტურნირის ჩატარებას გეგმავენ და სომხეთის გარდა, სხვა ქვეყნის გუნდებსაც მოიწვევენ.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

მკლავჭიდი

# ევროპის სამი ჩემპიონი

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატიდან საქართველოს მკლავჭიდელთა ნაკრები სამი ოქროს მედლით დაბრუნდა. ამას გარდა, ჩვენმა სპორტსმენებმა კიდევ ორი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს ჯილდო მოიპოვეს. გუნდის სოფიაში გამგზავრება საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა დააფინანსა.

სულ ჩვენი ქვეყნის ღირსება 11-მა მკლავჭიდელმა დაიცვა და ვინც მედალს ვერ შესწვდა, ექვსეულში მაინც შეაღწია. ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი მკლავჭიდის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **სოსო ჯაჭვლიანი** იყო, ნაკრების მთავარი მწვრთნელი კი **ერეკლე გურჩიანია**.

ევროპის ჩემპიონები გახდნენ **ნიკა მაღლაფერიძე** (65 კგ), **გიორგი ასუმბანი** (70 კგ) და **გენადი კვიკვინია** (110 კგ). ასუმბანმა და კვიკვინიამ ვერცხლის მედლებიც მოიპოვეს, ხოლო ბრინჯაოს ნიკა მაღლაფერიძე და **ვილემ კაპრავა** (60 კგ) დაეუფლნენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ავტოსპორტი

# ოთხი პრიზი ერევნიდან

სომხეთის დედაქალაქმა "დრაგის" (ორი მანქანის რბოლა 402 მეტრზე) სეზონის გახსნას უმასპინძლა. ერევანში საქართველოს წარმომადგენლები დიდი წარმატებით გამოვიდნენ. ხუთი კლასიდან ოთხში გამარჯვება ჩვენს მრბოლებს დარჩათ, მეხუთეში კი მონაწილე საერთოდ არ გვყოლია.

A კლასში (900-1900 კუბური სატიმეტრი) პირველობა **ალექსანდრე სინიოვმა** მოიპოვა "ჰონდა სივიკით", რომელმაც ფინალში ასევე ჩვენებურ **გარიკ მარტიროსიანს** (BMW 318) სძლია.

B კლასში (1900-2300 კუბური სანტიმეტრი) ყველას აჯობა ტურნირის მონაწილე ერთადერთმა მანდილოსანმა **სოფო ხოჯავამ**, რომელმაც "ოპელ ასტრა G"-ით იასპარეზა.

C კლასის (2300-3000 კუბური სანტიმეტრი) ფინალში ერთმანეთს კვლავ ჩვენი ავტომრბოლები დაუპირისპირდნენ, სადაც **ემილ ბაბაიანმა** "ჰონდა ინტეგრათი" **დიმიტრი რიჩკოს** ("ჰონდა პრელუდი") აჯობა.

D კლასში (3000-3500 კუბური სანტიმეტრი) საქართველოს სახელით არავინ გამოსულა, აბსოლუტურ, E კლასში კი ფურორი მოახდინეს **გარეგინ მურადიანმა** და მისმა "მიცუბიში კოლტმა", რომელმაც ყველა მეტოქეს უდიდეს უპირატესობით აჯობა.

ტურნირი საკმაოდ მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული და ადგილობრივი მედიის საშუალებით აქტიურად გაშუქდა. გამარჯვებულები სამახსოვრო პრიზებით დააჯილდოეს და მომავალ შეჯიბრებებშიც მიიწვიეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

რაგბი

პრობლემა

# ქართულ რაგბიში მამლუქები მომრავლდა

## ორი ქართველი რუსეთის ნაკრებში



გიორგი მინაძე



კარლო მალლაკელიძე

საქართველოდან მორაგბეთა გადინების მიზეზი ინფრასტრუქტურის, ფინანსურ და სხვა უამრავი სახის პრობლემათა ერთობლიობაა. უცხოურ კლუბებში ქართველმა მორაგბეებმა უკეთესი მერმისის საძიებლად გადასვლა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების შუა ხანიდან დაიწყეს და დღეისათვის ფაქტობრივად მთელი ევროპა მოიცვეს.

ქართველი მორაგბეები ასპარეზობენ რუსეთის, უკრაინის, რუმინეთის, პოლონეთის, გერმანიის, ინგლისის, ბელგიის, ჰოლანდიის, საფრანგეთის, ესპანეთის, ანდორისა და საფრანგეთის სარაგბო კლუბებში. უცხოეთში მოთამაშე ჩვენი მორაგბეების რაოდენობა ასს აღემატება. თუმცა ზუსტი რიცხვის დადგენა, ხშირი მიგრაციისა და კლუბების ცვლის შედეგად ვერაფრით ხერხდება.

ეს კიდევ არაფერი. ქართველი მორაგბეები ცდუნებას ვერ უძლებენ და ვინაიდან ეროვნულ ნაკრებში თამაშის იმედს კარგავენ, უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღებაზე და ამ ქვეყნების ეროვნულ ნაკრებში თამაშზე თანხმდებიან.

მაგალითად, ოდესაში ახლახან გამართული შვიდკაცა რაგბის ევროპის სერიის მორიგ ეტაპზე ქართველი მორაგბეები, საქართველოს ნაკრების გარდა კიდევ სამი სხვა ქვეყნის ღირსებას იცავდნენ. უკრაინის შვიდკაცა რაგბის ნაკრებში **ჯაბა მალალურაძე და გიორგი გეგიძე** ირჯებოდნენ. პოლონეთის გუნდში **სერგო კვერნაძემ** ითამაშა. საბერძნეთის ნაკრების ღირსებას **ბექა ბექაური** იცავდა.

თითქმის ორი წელიწადია ბელგიის ეროვნულ ნაკრებში თამაშობს, საქართველოს ნაკრების მეორეხაზელის **გიორგი ნემსაძის** ძმა **დავით ნემსაძე**, რომელიც ამპლუის მიხედვით გარემარბია.

ახლახან ცნობილი გახდა, რომ ბორჯღალოსანთა ყველაზე პრინციპული მეტოქის, რუსეთის ნაკრების მწვრთნელმა **ნიკოლაი ნერუშმა** საწვრთნელ შეკრებაზე მიიწვია ორი ქართველი მორაგბე **გიროგი მინაძე** და **კარლო მალლაკელიძე.** ორივე მათგანი უკვე დიდი ხანია რუსეთის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის პენზის „იმპერიაში" თამაშობს.

ისინი რუსეთის მოქალაქეები არიან და დღეისათვის ამ ქვეყნის ნაკრებთან ერთად, ბუქარესტში გასამართ IRB-ის ერთა თასის გათამაშებაში სასპაროზოდ ემზადებიან. რუსები პირველ შეხვედრაში, 12 ივნისს შოტლანდიის A ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

შედგება თუ არა ქართველი მორაგბეების დებიუტი რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში ამას, ალბათ, საბოლოოდ მაინც ნერუში გადაწყვეტს.

მთავარი ეს არაა, მთავარი თვით ფაქტია.

**ბესიკ ჯანგავაძე**

რეიტინგი

# ორი ნაბიჯით უკან



ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ დენვერში მიმდინარე ჩერჩილის თასის გათამაშებაში, კანადის ნაკრებთან განცდილი მარცხის შედეგად, საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიო კლასიფიკაციაში ორი საფეხურით დაქვეითდა.

ბორჯღალოსნებმა თავისზე უკან მყოფ გუნდთან მარცხის გამო თითქმის ორი ქულა დაკარგეს და ახლა 68,67 ქულით მე-15 ადგილზე არიან. კანადელებმა ამდენივე ქულით იხეირეს და რეიტინგში ჩვენი, მე-13 ადგილი დაიკავეს.

ცვლილებებია ბობოლათა შორისაც. არგენტინის ნაკრები ინგლისის ეროვნულ გუნდთან მარცხის შემდეგ ასევე ორი საფეხურით დაქვეითდა. სამხრეთამერიკელებს ამჯერად ინგლისთან ერთად უელსმაც გაუსწრო.

მსოფლიო რეიტინგი: 1. ზელანდია - 92,68 ქულა. 2. ს.აფრიკა - 89,45. 3. ავსტრალია - 85,45. 4. ირლანდია - 83,27. 5. ინგლისი - 82,10. 6. უელსი - 80,74. 7. არგენტინა - 80,42. 8. საფრანგეთი - 79,94. 9. ფიჯი - 75,24. 10. შოტლანდია - 75,23. 11. სამოა - 72,57. 12. იტალია - 71,23. 13. კანადა - 70,68. 14. ტონგა - 70,05. 15. საქართველო - 68,67. 17. რუსეთი - 66,57. 18. რუმინეთი - 64,26. 21. პორტუგალია - 62,16. 22. ესპანეთი - 59,01. 26. გერმანია - 35,55.

**ბესიკ ჯანგავაძე**

საქართველოს ჩემპიონატი

### A ლიგა, VI ტური

ხარები (რუს) - ბორჯომი 20:17, მუტრუკები (თელ) - ჯიქები (თბ) 8:92, აკადემია (თბ) - შევარდენი (თბ) 28:17, არმაზი (თბ) - ვისოლი ყოჩები (თბ) 0:19, ივერია (თბ) - ლელო (თბ) 15:20.

### სატურნირო მდგომარეობა

1. ლელო - 12 ქულა, 2. აკადემია - 8, 3. ივერია - 8, 4. ვისოლი ყოჩები - 6, 5. ჯიქები - 6, 6. არმაზი - 6, 7. შევარდენი - 4, 8. ხარები - 2, 9. მუტრუკები - 0, 10. ბორჯომი - 0.

### B ლიგა, VII ტური

უნივერსიტეტი (თბ) - რაინდები (თბ) 29:14 ჯიქები (თბ) - ვისოლი ყოჩები (თბ) 29:7 ლელო (თბ) - აკადემია (თბ) 13:17 არმაზი (თბ) - შევარდენი (თბ) 7:7, ხარები (რუს) - მუტრუკები (თელ) 64:0 ხულიგანა (თბ) - ივერია (თბ) 21:0.

### სატურნირო მდგომარეობა

1. აკადემია - 12 ქულა, 2. უნივერსიტეტი - 12. 3. ჯიქები - 10, 4. არმაზი - 8, 5. ხარები - 8, 6. შევარდენი - 7, 7. ლელო - 6, 8. ვისოლი ყოჩები - 5, 9. ხულიგანა - 4, 10. მუტრუკები - 0, 11. რაინდები - 0, 12. ივერია - 0.

ჭადრაკი

# ხოტენაშვილი ერთპიროვნული ლიდერია



ბელა ხოტენაშვილი

მეხუთე ტური, **მაია ჩიბურდანიძის** თასზე, მეტად თვალსასეირო გამოდგა. აქედანვე გეტყვით, რომ ასეთი დაძაბული და ერთობ არაპროგნოზირებადი ტურნირი კარგა ხანია არ მინახავს, მითუმეტეს, არ გვაქვს ბედნიერება საქართველოში ვიხილოთ ჭადრაკის ზეიმი. ადრეულ წლებში საერთაშორისო ტურნირები არ გვიკვირდა, მაგრამ ორი ათეული წელიწადია, ხანდახან თუ გამოგვერეოდა ღირებული შეჯიბრება. გუშინ პირველ დაფაზე **ბელა ხოტენაშვილი** თეთრებით ხვდებოდა უკრაინელ **მარია მუზიჩუკს** და გვქონდა იმედი, რომ გაიმარჯვებდა და ერთპიროვნულად ჩაუდგებოდა ცხრილს სათავეში. პარტია მეტად დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. დებიუტში ბელამ უკეთესი პოზიცია მიიღო, მაგრამ გასაძლიერებლად გვარიანი ჯაფა დაადგა. მარია კარგად იცავდა თავს. შუა თამაშში კი ჩვენებურმა მარწუხები მოუშვა და მეტოქეს ვითარების გამოსწორების საშუალება მისცა. მარია, ეტყობა, უკომპრომისო მოჭადრაკეა და იოლად არ ეგუება ყაიმსაც კი, ამიტომ აქტიურობას ცდილობდა. ბელამაც არ დაანება და თავადაც მოიძია შეტევის რესურსები. ამ ორმხრივ ბრძოლა-ძიებაში, თითქოს მოსაგები გზები ორივე მხარეს ამოეწურა, მაგრამ ყაიმზე არ თანხმდებოდნენ. ხოტენაშვილს ენდშპილში ორი კუ ჰყავდა მეტოქის კუსა და მხედრის წინააღმდეგ და იმედიც ამიტომ არ დაელია. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ქართველმა დიდოსტატმა აიძულა მეტოქე შეცდომა დაეშვა და მოსაგები გზებიც გამოჩნდა. თუმცა ფინიშამდე მისასვლელად ისეთი რთული გზით მოუწია სვლამ, რომ მიაღწევდა თუ არა მიზანს, ვერ იტყოდი. მუზიჩუკს შეეძლო ყაიმის მიღწევა და თანაც არაერთხელ, მაგრამ ეტყობა გადაიღალა და გაუმართლებელმა სვლებმა, საბოლოოდ მარცხამდე მიიყვანა. გადაღლა არ არის გასაკვირი, რადგანაც ეს პარტია ჯერჯერობით ყველაზე ხანგრძლივი გამოდგა ტურნირზე და დიდი შანსია, რომ ასეთადაც დარჩეს. მეტოქეებმა 5 საათი და 20 წუთი ითამაშეს და 134 სვლა გააკეთეს!

ბელას გალიდერება ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ დღეს მას ბევრად რთული გამოცდის ჩაბარება მოუწევს მარიას დას **ანა მუზიჩუკს** ხვდება. ცხადია, ანა სარევანშოდ იქნება განწყობილი. ანამ გუშინ შავებით დაამარცხა სომეხი **სირანუშ ანდრიასიანი,** 3,5 ქულა გაუხდა და მეორე მეოთხე ადგილებს იყოფს **ნანა ძაგნიძესა** და **მაკა ფურცელაძესთან** ერთად. ძაგნიძემ ძალიან დაძაბულ ბრძოლაში მოუგო თეთრებით **სოფიკო ხუხაშვილს.** სოფიკომ თავიდან კარგად წარმართა პარტია, მაგრამ შუა თამაშში ერთი უპატიებელი შეცდომა დაუშვა და მყისიერად წააგო, ძაგნიძე ასეთ შანსებს ხელიდან არ უშვებს...

ერთ რამედ ღირდა **სალომე მელიას** და მაკა ფურცელაძის დაპირისპირების ხილვა. თეთრებით მელია იყო და დებიუტი კარგადაც გაითამაშა; შავებს პრობლემები შეექმნათ, თუმცა მელიამ უპირატესობის გამოყენება ვერ შეძლო და დათმო ინიციატივა. მაკამ საკმაოდ რთული და ტაქტიკურად დახუნძლული ლაბირინთიდან საუკეთესო გამოსავალი იპოვა და დიდი ნაბიჯი გადადგა ლიდერობისკენ. ფურცელაძე დღეს თეთრებით ძაგნიძეს ხვდება და თუ მოიგო, გვარიან სარგებელს ნახავს.

კვლავ გვაოცებენ არადამაჯერებელი თამაშით საქართველოს ნაკრების წევრები და კანდიდატები. ხუხაშვილმა კი წააგო ძაგნიძესთან, მაგრამ **ნინო ხურციძემ** რომ ვერ მოუგო ვეტერან **თამარ ხმიადაშვილს** ეს არ ხვდება თვალს კარგად, ყაიმი დაფიქსირდა. ვერც **მაია ლომინეიშვილმა** აჯობა თეთრებით **ქეთი ნაწალაშვილს,** თუმც მთელი პარტია ფლობდა უპირატესობას, აქაც ყაიმი ვიხილეთ. ქულის გაყოფით დასრულდა შეხვედრა **სოფიკო გურამიშვილსა** და **ლელა ჯავახიშვილს** შორის. განსხვავება ის არის, რომ ლელა შავებით თამაშობდა. თუმცა ამ ყველაფერში ერთი საერთო მაინც იკვეთება ქართული საჭადრაკო სკოლის სიძლიერე, ვეტერანებიც გვარიან ძალას წარმოადგენენ და ახალგაზრდებიც. ამ ტალღაზე აუცილებელია აღვნიშნოთ **ნინო მელაშვილის** შესანიშნავი თამაში. მას 3 ქულა აქვს და გუშინ რუმინელი **ადინა მარია ჰამდუჩი** დაამარცხა. დღეს ნინო შავებით ხვდება ჯავახიშვილს და თუ მასაც დაუდგა მედგრად, ვგონებ, ნაკრების კანდიდატებშიც კი ჩაეწეროს.

მეხუთე ტურში სცენაზე ითამაშებენ: **ანა მუზიჩუკი(3,5)-ბელა ხოტენაშვილი(4); მაკა ფურცელაძე(3,5)-ნანა ძაგნიძე(3,5); მარია მუზიჩუკი(3)-ლილიტ მკრტჩიანი(3); ლილიტ გალოიანი(3)-ინგა ჭარხალაშვილი(3); ნინო ბაციაშვილი(3)-ანა გავაშელი(3); ლელა ჯავახიშვილი(2,5)-ნინო მელაშვილი(3); მირანდა მიქაძე(2,5)-მაია ლომინეიშვილი(2,5); მერი არაბიძე(2,5)-სალომე მელია(2,5).**

**ზვიად შათირიშვილი**

სამბო

მხოლოდ ტექნიკური შედეგები

## საქართველოს პირადი თასის გათამაშება (დიდები). ქ. თბილისი

### 52 კგ

1. ნუკრი ბერაია (ფოთი)
2. ლაშა ლატარია (ფოთი)
3. გივი ნადარეიშვილი (ფოთი)
3. ლაშა ჭიჭინაძე (ქუთაისი)

### 57 კგ

1. გენადი ჩირგაძე (ქუთაისი)
2. დიტო მულაძე (ხაშური)
3. მურად მურადოვი (თბილისი)
3. ნიკა თებიაშვილი (თბილისი)

### 62 კგ

1. მინდია ლილუაშვილი (ზესტაფონი)
2. ილია ტყეშელაშვილი (ქუთაისი)
3. ზვიად ოდიშაშვილი (კასპი)
3. მიშა მეკოკიშვილი (საგარეჯო)

### 68 კგ

1. ვალერი გიგიბერია (ფოთი)
2. პაატა დოლიაშვილი (თიანეთი)
3. გიორგი გოშიაშვილი (თბილისი)
3. მერაბ შარაული (გორი)

### 74 კგ

1. ბექა იმერლიშვილი (გარდაბანი)
2. დათო ბარამია (თბილისი)
3. ხვიჩა წიკლაური (მცხეთა)
3. ოთარ ახალაია (ზუგდიდი)

### 82 კგ

1. ნიკა კუცია (ფოთი)
2. იოსებ ჩილინდრიშვილი (გორი)
3. ნოდარ კუდუხაშვილი (გორი)
3. ვალერი გუგავა (თბილისი)

### 90 კგ

1. პაატა ლვინიაშვილი (გორი)
2. ლაშა გურული (ქუთაისი)
3. სანდრო სტეფნაძე (თბილისი)
3. გიორგი ცოციაშვილი (მცხეთა)

### 100 კგ

1. გიორგი ბოლოთაშვილი (გორი)
2. ალექსი მაისურაძე (რუსთავი)
3. დიმიტრი ტურაშვილი (საგარეჯო)
3. შმაგი ნაკაიძე (თბილისი)

### +100 კგ

1. ზურაბ ტოპესაშვილი (საგარეჯო)
2. არჩილ ასტამაძე (გორი)
3. ვალერი იმერლიშვილი (თელავი)
3. ილია მაჭავარიანი (გორი)

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. II მატჩი

# ორლანდო უშანსოდ ჩანს



"ორლანდომ" ისევ ვერ შეძლო თავის საკლუბო ისტორიაში NBA-ის ფინალური სერიის პირველი მატჩის მოგება. "მეჯიქის" კალათბურთელებმა შეხვედრის ძირითად დროში მოგების შანსი გაუშვეს, ოვერტაიმში კი მასპინძლებმა იძალეს. მესამე მატჩი ორლანდოში თბილისის დროით ოთხშაბათ დილით გაიმართება.

2009 წლის ფინალის პირველ შეხვედრაში "ლეიკერსმა" **დუაიტ ჰოვარდის** განეიტრალებითა და შეტევაში მეტოქის უხეირო თამაშის ("მეჯიქმა" თამაშიდან ტყორცნების 30 პროცენტი გამოიყენა) წყალობით მოიგო. ამჯერად, "ორლანდოს" ლიდერის წინააღმდეგ **ენდრიუ ბინუმისა** და **პაუ გასოლის** ორმაგმა მეურვეობამ მხოლოდ დასაწყისში მოიტანა შედეგი: ჰოვარდს ხან ბურთს უფარებდნენ, ხან თავად არღვევდა სამი წამის წესს. ერთადერთი, რასაც ფლორიდელთა მე-12 ნომერი კარგად აკეთებდა, საკუთარი ფარიდან ბურთის მოხსნა იყო. ეს რომ არა, **სტენ ვან განდის** ბიჭები პირველ მეოთხედში თანაბარ ანგარიშს ვერ ეღირსებოდნენ.

შეტევაში ვერც "ლეიკერსი" ბრწყინავდა. მაგალითად, მისმა ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** პირველ ნახევარში მხოლოდ ექვსი ქულა დააგროვა. კალიფორნიელთა მცველს ისევე მკაცრად მეურვეობდნენ, როგორც ჰოვარდს. მიუხედავად ამისა, მეორე მეოთხედის დასრულებიდან 2 წუთით ადრე, კობიმ ფინალურ სერიაში პირველი სამქულიანი ჩააგდო და თავისი გუნდი ყველაზე დიდი სხვაობით დააწინაურა - 36:29. მაგრამ ბრაიანტის ერთ სამქულიანს "ორლანდოს" ფორვარდმა **რაშარდ ლუისმა** ორით უპასუხა. სულ მის ანგარიშზე 12 წუთში ოთხი ზუსტი სამქულიანი და გუნდის მიერ დაგროვილი 20 ქულიდან 18 ქულა მოდიოდა.

დიდი შესვენების შემდეგ, "ლეიკერსის" მთავარმა მწვრთნელმა **ფილ ჯექსონმა** ლუისის მიმართ მეტი ყურადღების გამოჩენა მოითხოვა. რაშარდი ნაწილობრივ შეაჩერეს, სამაგიეროდ, მეტი თავისუფლება მიიღეს **ჰეიდო თურქოგლუმ** და ჰოვარდმა (ბინუმს ოთხი პერსონალური დაუგროვდა). "ორლანდოს" ცენტრმა ერთხელ **დერეკ ფიშერსაც** კი ჩაუჭრა, თუმცა ამისთვის სამად მოკეცვამ მოუწია. ხოლო, როცა გასოლს დაუფარა და ბურთიანად მთელი მოედანი გაიარა, სუპერმენმა დაგვიმტკიცა, რომ არც ეფექტური სლემ-დანკი დავიწყებია. ბრაიანტმა მომენტალურად ანალოგიური შეტევით უპასუხა ჰოვარდს. და მაინც, იმავე დუაიტისა და თურქოგლუს მონდომებით, სამი მეოთხედის შემდეგ წინ მაინც "ორლანდო" იყო - 65:63.

ამ ფაქტმა, როგორც ჩანს, ძალიან გააბრაზა ბრაიანტი. "ლეიკერსის" სუპერვარსკვლავმა მოჭარბებული ემოციებისგან ერთხელ ბლოკ-შოტიც კი დაუყენა ჰოვარდს! ეს იყო, ალბათ, მატჩის საუკეთესო მომენტი, ისევე როგორც ის დაფარება, რომელმაც კობი ბრაიანტი დააზარალა. ლაპარაკია მომენტზე, რომელსაც ძირითადი დროის ბოლო წამზე ჰქონდა ადგილი. ანგარიში იყო 88:88, როცა კალიფორნიელთა ლიდერი სრულიად ღია პოზიციაზე გაიყვანეს, საიდანაც ბურთის აცილება შეუძლებელი იყო. მაგრამ კობის ზურგს უკან მოულოდნელად თურქოგლუ აფრინდა და სუფთად დაუფარა ბრაიანტს, რის შემდეგაც თავად დაეუფლა ბურთს... და თამაშის დროც ამოიწურა.

თუმცა მსაჯებმა ვიდეოგამეორებისას დაადგინეს, რომ ბრაიანტზე ბლოკ-შოტის შემდეგ, საფინალო სირენამდე კიდევ 0.6 წამი რჩებოდა. თურქოგლუმ გვერდითი ხაზიდან იდეალური პასი მიაწოდა "ლეიკერსის" ფარქვეშ მდგარ **კორტნი ლის**, მაგრამ სტუმრთა მცველმა სასწაულებრივ ვერ შეძლო ამ ბურთის ჩაგდება. დაინიშნა ოვერტაიმი.

დამატებითი დრო გუნდებმა ფრთხილად დაიწყეს - ძალიან დიდი იყო თითოეული შეცდომის ფასი. გადამწყვეტი აღმოჩნდა მომენტი, როცა **ჯეი ჯეი რედიკმა** მოუმზადებელი სამქულიანი ისროლა და ააცილა, რის შემდეგაც "ლეიკერსი" 7:0 გაიქცა და კომფორტული უპირატესობა მოიპოვა – 97:91.

მაგრამ ეს არ იყო დასასრული. ბოლოსკენ, რაშარდ ლუისმა მატჩში თავისი მეექვსე სამქულიანი ჩააგდო და სამ ქულამდე შეამცირა ანგარიში – 96:99. "ორლანდომ" პრესინგს მიმართა, მაგრამ ფოლის გარეშე ვერ შეძლო **ლამარ ოდომის** შეჩერება, რომელმაც ორი ზუსტი საჯარიმოთი მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

**ლეიკერსი–ორლანდო 101:96 (ო)**

**15:15, 25:20, 23:30, 25:23, 13:8**

ლ: ბრაიანტი (29+8 პასი), გასოლი (24+10 მოხსნა), ფიშერი (12), არიზა (8+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბინუმი (5) - ოდომი (19+8 მოხსნა+3 დაფარება), ფარმარი (4), უოლტონი (0), ვუიაჩიჩი (0), ბრაუნი (0).

ო: ლუისი (34+11 მოხსნა), თურქოგლუ (22+6 მოხსნა), ჰოვარდი (17+16 მოხსნა+4 დაფარება+4 ჩაჭრა), ლი (2) - რედიკი (5), პიეტრუსი (4), ნელსონი (4), გორტატი (4), ბეტი (2).

სერია: 2:0

# ბუზერმა თქვა, იუტას დავტოვებო

საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა ამერიკულმა პრესამ. "იუტა ჯაზის" ლიდერის, ფორვარდ **კარლოს ბუზერის** განცხადებით, ის ამ ზაფხულს კლუბის გამოცვლას აპირებს. როგორც ბუზერი ამბობს, კარიერას "დეტროიტში" ან "ნიუ ჯერსიში" გააგრძელებს. "პისტონზს" საკმარისი თანხა გააჩნია სახელფასო ბიუჯეტში და თავისუფლად შეუძლია კალათბურთელის შეძენა, რაც შეეხება "ნიუ ჯერსის", მას კარლოსის ხელში ჩასაგდებად გაცვლის განხორციელება მოუწევს.

გასული სეზონის ნახევარზე მეტი ბუზერს ტრავმის გამო გაუცდა. მან 37 მატჩში საშუალოდ 16.2 ქულა და 10.4 მოხსნა დააგროვა.

■ ■ ■

გაზეთ The Boston Globe-ის ინფორმაციით, "ბოსტონ სელტიქსის" ყოფილი ფორვარდი **ანტუან უოკერი** ბოლო წლების განმავლობაში პირველად შევიდა საუკეთესო ფორმაში და მომავალი სეზონიდან კარიერის განახლება აქვს განზრახული.

შარშან, უოკერი "მინესოტადან" "მემფისში" დრაფტის დღეს განხორციელებული ტრეიდის შედეგად გადავიდა, თუმცა "გრიზლისმა" მალე დაითხოვა ვეტერანი, რომელსაც ახალ კლუბში ერთი თამაშის ჩატარებაც არ ღირსებია.

■ ■ ■

"ლოს ანჯელეს ლეიკერსისა" და "ორლანდო მეჯიქის" ფინალური სერიის მეორე მატჩის წინ, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა **დევიდ სტერნმა** გამოაცხადა, რომ 2011 წელს, "ყველა ვარსკვლავის მატჩი" ლოს ანჯელესში გაიმართება.

NBA-ის საუკეთესო კალათბურთელების საიუბილეო, რიგით მე-60 შოუ 2011 წლის 20 თებერვალს Staples Center-ში ჩატარდება. აქამდე, ლოს ანჯელესი ოთხჯერ (1963, 1972, 1983, 2004) მასპინძლობდა "ოლ სტარს".

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩი** | |
| **UNDER 21** | |
| ინგლისი-აზერბაიჯანი | 7:0 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ტროლჰატანი-ანგელჰოლმი | 1:2 |
| სირიანსკა-სუნდსვალი | 1:2 |
| **ბრაზილია** | |
| კრუზეირო-ინტერნასიონალი | 1:1 |
| ფლუმინენსე-ბოტაფოგო | 1:0 |
| გოიაში-ბარუერი | 2:2 |
| **აშშ** | |
| ნიუ ინგლენდი-ნიუ იორკი | 4:0 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევრობასკეტი** | |
| **ქალები** | |
| სლოვაკეთი-ჩეხეთი | 65:58 |
| თურქეთი-ლიტვა | 69:66 |
| ისრაელი-იტალია | 64:75 |
| ესპანეთი-უკრაინა | 85:59 |
| პოლონეთი-საბერძნეთი | 62:60 |
| სერბეთი-რუსეთი | 37:72 |
| ლატვია-უნგრეთი | 76:59 |
| საფრანგეთი-ბელარუსი | 63:61 (ო) |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ჰალე** | |
| ტურსუნოვი-კუნიცინი | 7:5, 6:4 |
| ჰანესკუ-ბეკერი | 4:6, 4:6 |
| ბერდიხი-ჰერნიხი | 6:4, 7:5 |
| სერა-სელა | 1:6, 6:4, 6:2 |
| ჰაასი-კუბეკი | 6:2, 6:2 |
| ყიკელი-შუტლერი | 3:6, 4:6 |
| **ATP. ლონდონი** | |
| ვლიეგენ-მაიერი | 7:6, 6:4 |
| გარსია ლოპესი-ლუ | 6:1, 6:1 |
| [illegible]-მიულერი | 3:6, 6:7 |
| ფ. ლოპესი-კენდრიკი | 7:6, 7:6 |
| სეპი-ჯინეპრი | 5:7, 7:6, 6:3 |
| ლოდრა-კოროლიოვი | 6:3, 6:4 |
| ლუბიჩიჩი-სტახოვსკი | 4:6, 6:4, 6:4 |
| მინარი-ისტომინი | 6:3, 1:6, 2:6 |
| ჰიუიტი-შვანკი | 6:1, 6:0 |
| შარდი-კერი | 6:7, 4:6 |
| ანდერსონი-ფონინი | 6:3, 7:6 |
| ბაღდატისი-უორდი | 6:2, 6:3 |
| ჟილი-ხიმენო ტრავერო | 6:1, 6:3 |
| დიმიტროვი-ნავარო | 6:4, 4:6, 6:3 |
| იუჟნი-ერნანდესი | 6:4, 6:2 |
| მალისე-ანდუხარი | 6:0, 6:0 |
| მატიო-პაველი | 6:4, 7:6 |
| რეინოლდსი-გოლუბევი | 2:6, 6:4, 6:7 |
| ტიპსარევიჩი-მაუ | 0:6, 4:6 |
| **WTA. ბირმინგემი** | |
| კავადაი-დიტი | 6:2, 7:6 |
| გოვორცოვა-ჩანი | 7:6, 6:2 |
| გროტი-კინგი | 6:4, 6:4 |
| შარაპოვა-დუბუა | 6:4, 6:2 |
| ვიკმაიერი-სევასტოვა | 6:4, 6:3 |
| მატეკი-გლეტჩი | 6:7, 3:6 |
| რიბარიკოვა-ამანმურადოვა | 6:4, 6:4 |
| საუთი-ო'ბრაიენი | 6:4, 1:6, 7:6 |
| ტანასუგარნი-კუანი | 7:6, 6:1 |
| ბალტაჩა-სტუპი | 6:3, 6:4 |
| ვინჩი-ბრემონი | 6:3, 6:2 |
| უ. რადვანსკა-კირილენკო | 6:3, 6:3 |

TV პროგრამა

**9 ივნისი. სამშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:30** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**08:35** საფრანგეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
**10:10** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ფინეთი-ლიხტენშტაინი.
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. რენი-მარსელი.
**14:10** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მანჩესტერ იუნაიტედი.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:20** საფრანგეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
**17:50** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბაიერნი.
**19:35** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:00** მინი-ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი.
**20:40** ესპანეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
**22:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**22:30** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. რომა-კლუჟი.
**00:30** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ლიტვა-რუმინეთი.
**02:20** საფრანგეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
**03:50** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**04:55** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ჩელსი.

**EUROSPORT**

**10:35** ოლიმპიური დღიური. ტელეჟურნალი.
**11:00** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩების მიმოხილვა.
**12:00** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-თურქეთი.
**13:00** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. სერბეთი-ავსტრია.
**13:45** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ლიტვა-რუმინეთი.
**14:30** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-დანია.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. I დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
**17:15** ველოსპორტი. Criterium du Dauphine Libere. III ეტაპი (LIVE).
**19:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. I დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
**22:45** პროფესიული კრივი. IBF-ის ვერსია. საშუალო წონა. ა. აბრაჰამი (გერმანია)-ლ. საიმონი (აშშ). კილი. გერმანია.
**23:00** პროფესიული კრივი. ევროპის ჩემპიონატი. მძიმე წონა. მ. ჰუკი (გერმანია)-ვ. რუსალი (აფრიკანა). გერმანია.
**01:00** ნაოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. მალტა.
**01:30** ველოსპორტი. Criterium du Dauphine Libere. III ეტაპი.
**03:15** ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** რაგბი. მსოფლიოს ჩემპიონატი (ახალგაზრდები). არგენტინა-ურუგვაი. იაპონია (LIVE).
**13:45** ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. სტამბოლი. თურქეთი.
**14:30** ახალი ამბები.
**15:00** პლაჟის რაგბი. საჩვენებელი ტურნირი. საფრანგეთი.
**15:30** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ლიტვა-რუმინეთი.
**16:15** კრიკეტი. World Twenty 20. ჯგუფური ტურნირი. პაკისტანი-ჰოლანდია. ბრიტანეთი (LIVE).
**19:30** მოტოკროსი. მსოფლიოს ჩემპიონატი. საფრანგეთი.
**20:30** კრიკეტი. World Twenty 20. ჯგუფური ტურნირი. ახალი ზელანდია-სამხრეთ აფრიკა. ბრიტანეთი (LIVE).
**23:30** ახალი ამბები.
**23:45** რაგბი. მსოფლიოს ჩემპიონატი (ახალგაზრდები). ირლანდია-ახალი ზელანდია. იაპონია.
**01:00** ახალი ამბები.

კრივი

# ჯორჯ ფორმენ III

ლეგენდარული ამერიკელი მოკრივის **ჯორჯ ფორმენის** ვაჟი – **ჯორჯ ფორმენ მესამე** მამის კვალს დაადგა და პროფესიულ კრივში მოსინჯა ძალები.

უმცროსმა ფორმენმა პროფესიულ რინგზე პირველი ბრძოლა ვინმე **კლაიდ უივერის** წინააღმდეგ გამართა და პირველივე რაუნდში მისი ნოკაუტით დამარცხება შეძლო.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ახალგაზრდა მოკრივე განაცხადში ასე იყო შეყვანილი - ჯორჯ ფორმენ III. საქმე ისაა, რომ ჯორჯ ფორმენს ექვსი ვაჟი ჰყავს და ყველას ჯორჯი ჰქვია (!!!). სწორედ ამიტომაც ჰყავს სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს დანომრილი თავისი შვილები.

აქვე დავამატებთ, რომ ჯორჯ ფორმენ III სუპერმძიმე წონაში გამოდის და ის მამამისის მეთვალყურეობის ქვეშ ვარჯიშობს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# მარია ბოიფრენდს ეჩხუბა

თითქმის ათთვიანი უთამაშებლობის მიუხედავად, კვირას დასრულებულ როლან გაროსზე **მარია შარაპოვამ** საკმაოდ მაღალ შედეგს მიაღწია - მეოთხედფინალში გავიდა და იქ სლოვაკ **დომინიკა ციბულკოვასთან** დამარცხდა. არადა, რუსი ჩოგბურთელის გუნდიდან გაჟონა ინფორმაციამ იმის თაობაზე, რომ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი არცთუ ისე კარგი განწყობით ჩავიდა პარიზში.

საქმე ისაა, რომ მარია თავის ბოიფრენდს, ამერიკელ **ჩარლზ ებერსოლს** ეჩხუბა. ჩარლზმა, რომელიც უმსხვილესი სატელევიზიო მაგნატის შვილია, ორჯერ დააგვიანა მარიასთან პაემანზე. პირველ შემთხვევაში ის საქმიან შეხვედრაზე შეყოვნდა, მეორედ კი საავტომობილო საცობში გაიჭედა. ორივეჯერ ებერსოლს მობილური ტელეფონი დამჯდარი ჰქონდა და ამის გამო ვერ შეძლო სატრფოს გაფრთხილება. გაბრაზებული მარია მეორე პაემანზე ჩარლზს აღარ დაელოდა და შინ წავიდა.

შარაპოვას გუნდის ერთ-ერთმა ინკოგნიტო წევრმა განაცხადა, რომ მარია და ჩარლზი სამი კვირაა არ შეხვედრიან ერთმანეთს. მათ მხოლოდ სატელეფონო კონტაქტი აქვთ და ისიც ძალიან იშვიათად. როგორც ჩანს, ის გრძნობა, რომელიც შარაპოვას თავიდან ჰქონდა ებერსოლის მიმართ, ნელ-ნელა ქრება. არადა, წყვილის ურთიერთობის საწყის ეტაპზე მარიამ დროებით ვარჯიშები მიაგდო და დიდ ჩოგბურთში დაბრუნება გადადო.

ჩოგბურთელის მამა - **იური შარაპოვი** არ იწონებდა მარიასა და ჩარლზის კავშირს. ამან კი ის გამოიწვია, რომ მამა-შვილ შარაპოვებს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ახლა კი თურმე ყველაფერი ძველებურად ყოფილა - იურის ოჯახში იდილია დაბრუნდა. ევროპაში გამომგზავრებამდე მარიამ მამას განუცხადა, რომ ჩოგბურთი მის ცხოვრებაში კვლავ პირველ ადგილზე დგას.





# ფედერერის გიჟი ფანი

როლან გაროსზე **როჯერ ფედერერისა** და **რობინ სიოდერლინგის** ფინალური მატჩის მშვიდი მსვლელობა უცნობმა მამაკაცმა შეაფერხა, რომელმაც დაცვის სამსახურის წარმომადგენლებს გვერდი აუარა და კორტზე შეიჭრა.

როგორც შემდეგ გაირკვა, ეს მამაკაცი ცნობილი სპორტული ხულიგანი ყოფილა, რომელიც საკუთარ თავს **ჯიმი ჯამპს** უწოდებს. შეგახსენებთ, რომ ინციდენტი მეორე სეტში მოხდა - როცა ფედერერი მოწოდების მიღებისთვის ემზადებოდა, კორტზე შევარდა მამაკაცი, რომელსაც შვეიცარიის დროშის ფერებით გაწყობილი ტანსაცმელი ეცვა, ხელში კი საფეხბურთო კლუბ "ბარსელონას" დროშა ეჭირა. ჯიმი შეეცადა ფედერერისთვის თავზე წითელი ქუდი ჩამოეფხატა, შემდეგ კი კარგა ხანს არბენინა დაცვის თანამშრომლები. საბოლოოდ, ჯიმი ჯამპი კორტიდან ოთხმა კაცმა გაიტანა.

როგორც მოგვიანებით ამ სკანდალის მომწყობმა განაცხადა, მას როჯერ ფედერერის მიმართ პატივისცემის, ხოლო **რაფაელ ნადალის** მისამართით უკმაყოფილების გამოხატვა სურდა. ცნობისთვის, ესპანელი ჩოგბურთელი მადრიდის "რეალს" გულშემატკივრობს.

ახლა, ხულიგანი პოლიციაშია დაკავებული და თუ საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაცია მასზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოისურვებს, ჯიმი ჯამპს 12-თვიანი პატიმრობა ემუქრება.



# დელ პოტროს ახალი გატაცება

არგენტინელ **ხუან მარტინ დელ პოტროს** ახალი რომანი აქვს. მსოფლიოს მეხუთე ჩოგანის მორიგი გატაცებაა პოპულარული არგენტინელი მოდელი **ლუსიანა სალასარი**, რომელსაც მამაკაცებისთვის განკუთვნილ ჟურნალებში არაერთი შიშველი ფოტოსესია გამოუქვეყნებია.

არგენტინული პრესის ინფორმაციით, დელ პოტრომ რომანის გაბმა სცადა პოპულარულ მოდელთან და მომღერალთან - **კამილა ველასკოსთან**, მაგრამ ხელი მოეცარა. ზუსტად ამ დროს, ჩოგბურთელი ლუსიანას მკლავებში აღმოჩნდა. ეს მოდელი იმით არის გამორჩეული, რომ მუდმივად სპორტსმენების საზოგადოებაში ხედავენ. ბოლო დროს, მისი მსხვერპლი გახდა რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელი და აგრეთვე, არგენტინის ნაკრების ერთ-ერთი მორაგბე.

და მაინც, სალასარს განსაკუთრებით ჩოგბურთელები იზიდავს. არგენტინელ ლამაზმანს სპორტის ამ სახეობის მრავალ წარმომადგენელთან ჰქონია რომანი. ლუსიანას ყოფილ შეყვარებულთა რიცხვში არიან - **მარსელო რიოსი, გასტონ გაუდიო, ნიკოლას მასუ, ფერნანდო გონსალესი**... და აი, ახლა გონას ყურადღება წლევანდელი როლან გაროსის ნახევარფინალისტმა ხუან მარტინ დელ პოტრომ მიიპყრო.

თავად ჩოგბურთელი არ ადასტურებს ახალი შეყვარებულის გამოჩენის ფაქტს, თუმცა არგენტინული ბულვარული გამოცემები დარწმუნებულნი არიან, რომ ხუან მარტინი და ლუსიანა დაახლოებით ორი კვირაა ერთად არიან.



# ანასა და იაგრის ჩოგბურთი



ჩეხური ჰოკეის ლეგენდამ **იარომირ იაგრმა** და 28 წლის რუსმა ჩოგბურთელმა **ანა კურნიკოვამ** ჰოკეისტის სამშობლოში ჩოგბურთი ითამაშეს.

კურნიკოვა, რომელმაც 2003 წელს დაასრულა კარიერა, აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საჩვენებელ მატჩში. ამჯერად, მისი მორიგი გაჩერება ჩეხეთის ქალაქი ბრნო გახლდათ.

ჩოგბურთის თამაშის დროს, კურნიკოვა და იაგრი აქტიურად პოზირებდნენ ფოტოგრაფების წინაშე, რითაც ჟურნალისტებს გარკვეული ეჭვი გაუჩნდათ, რომ ამ ორ ადამიანს მხოლოდ საქმიანი ურთიერთობები არ უნდა აკავშირებდესო, მაგრამ ნაგანოს ოლიმპიურმა ჩემპიონმა სწრაფად გააქარწყლა მათი ვარაუდები. *"არც კი ვიცი, ანა აქ როგორ აღმოჩნდა"*, - იხუმრა ჰოკეისტმა, რითაც ჟურნალისტები გაამხიარულა.

ჩოგბურთის დასრულების შემდეგ, იაგრმა და კურნიკოვამ გოლფის სათამაშო მოედანზე გადაინაცვლეს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, ნარბებისა და ნამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge